# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

№ 38 (5639)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## თუ არგუმენტი ქარსა და წვიმაზე ძლიერია



ჩეხეთში ენდობიან, ჩვენში – არა

2

## საქართველო უქართველებოდ?!

4

## ბინძური მეთოდებით „გახსნილი" საქმე

9

## გრძნობა მამულის მოყვრისა

14



კუზიანი სამართალი

2

## ხელმოწერა გააყალბეს და ბიზნესმენი ცარიელზე დასვეს

განსჯა

3

## თუ საჭიროდ მიიჩნია, თხასავითაც გაგყიდის



15

## 240 000 ნარკომანი ისედაც გაუბედურებულ საქართველოში?!

## მთავრობა გადაწყვეტილებებს სახელმწიფოს და მოსახლეობის ინტერესების შეჯერებით უნდა იღებდეს!

6-8



● კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია: მამაჩემის მკვლელები დადიან დღეს არა ჩეჩნეთში, არა მის დედაქალაქ გროზნოში, არამედ დადიან საქართველოში

● მერია კორუფციულ გარიგებებზეა გადასული და სრული პასუხისმგებლობაც მას დაეკისრება



№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

⊙ კანონმდებლები

# თუ არგუმენტი ქარსა და წვიმაზე ძლიერია

## ჩეხეთში ენდობიან, ჩვენში – არა

**გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ პლენარული სხდომის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის თაობაზე ოპოზიციამ და უმრავლესობამ კონსენსუსს მიაღწიეს. დილიდან პარლამენტში ამ საკითხზე განცხადებები კეთდებოდა. ოპოზიციის მოთხოვნა, ჯგუფისთვის საგამოძიებო უფლებების მინიჭების შესახებ, არ დაკმაყოფილდა, თუმცა მას ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევის შესწავლის უფლება მიეცა. ჯგუფის მთავარი ამოცანაა პარლამენტს რეკომენდაციები წარუდგინოს, რათა საკუთრების დაცვის მხრივ დამატებითი საკანონმდებლო გარანტიები შეიქმნას.**

დავით გამყრელიძე კვლავ იმ პოზიციაზე რჩება, რომ საკუთრების ხელყოფასთან დაკავშირებით, საგამოძიებო კომისიის შექმნა ბევრად უფრო ადეკვატური იქნებოდა, რადგან საგამოძიებო კომისია არა მარტო ამ ფაქტებზე, არამედ ცალკეული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობაზეც იმსჯელებდა. **„როცა შეიცვლება ეს უმრავლესობა, ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით ამ საკითხს“**, – განაცხადა გამყრელიძემ.

როცა თქვენ ხელისუფლებაში მოხვალთ, ამ საკითხებთან მიბრუნება არ დაგჭირდებათ, ამას ჩვენი ხელისუფლება გააკეთებსო, უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ. მან თქვა, რომ, თუ შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები ამ საქმეში კონკრეტული თანამდებობის პირების ბრალეულობას დაამტკიცებს, ამას ხელისუფლების მხრიდანაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება და ის, ვინც დასასჯელია, აუცილებლად დაისჯება.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე წარმატება მიღწეულია – ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნით გამოსწორდება საკანონმდებლო ბაზა და მის წევრებს ცალკეული ფაქტების შესწავლის საშუალება მიეცემათ. ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარე იქნება. მასში ფრაქციის ხელმძღვანელები შევლენ. საინტერესოა, რომ გუშინწინ ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარესა და უმრავლესობის წევრებთან სათათბიროდ ოპოზიციიდან მხოლოდ დავით ზურაბიშვილი მივიდა. მრეწველებმა თქვეს, ჩვენ არავის მივუპატიჟებივართო. ასეა თუ ისე, საკითხი დადებითად გადაწყდა და ეს, უდაოდ, მისასალმებელია.



გუშინ პლენარულ სხდომაზე ოპოზიციამ კიდევ ერთი საკითხი დასვა – ფიქრია ჩიხრაძემ მოითხოვა, საკომიტეტო მოსმენაზე შესაბამისი თანამდებობის პირები გამოცხადდნენ და აეროპორტის სახურავის დაზიანების გამო ინფორმაცია მოგვაწოდონო. ოპოზიციას აინტერესებს, რატომ ინგრევა ჩვენი ახალი აეროპორტი ასე წარამარა, რატომ ვერ უძლებს ქარს და წვიმას. თუ სამუშაოები კვალიფიციურად არ შესრულებულა, რაში დაიხარჯა ამდენი თანხა და ა. შ. ეს უმრავლესობასაც ძალიან უნდა აინტერესებდეს და, ალბათ, აინტერესებს კიდეც. თუმცა, უმრავლესობის წევრმა ბიძინა ბრეგაძემ განაცხადა, რომ **„არაფერი დრამატული ამაში არ არის. ჩეხეთის აეროპორტს ძლიერმა ქარმა სახურავი გადახადა, მაგრამ ჩეხეთის პარლამენტის ოპოზიციას ამ საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნა არ მოუთხოვია“.**

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩეხეთის ოპოზიცია მმართველ პარტიას ძალიან ენდობა...

**მზია გელენავა**

⊙ კუზიანი სამართალი

# რიტორიკული შეკითხვები ხელისუფლებას

**ჩვენი ხელისუფლება ყოველივე ქართულ-ხალხურს, ანუ ეროვნულს კი დაერია, მაგრამ, თავისდაუნებურად, ხშირად სწორედ ამ ხალხურს ვერ აღწევს ხოლმე თავს. უფრო მეტიც – აჭარბებს კიდეც. დასტური? თუნდაც, ანდაზა შინაურ მღვდელზე, შენდობა რომ არა აქვს. შინაურებს ხომ მართლაც ბდღვირი ადინა – წაგლიჯა, დაუნგრია, გააჩანაგა. უცხოელ ბიზნესმენებსაც გადასწვდა. თან იმას გაიძახიან, ინვესტორები მოვიზიდოთ, უცხოელ ბიზნესმენებს ყველა პირობა შევუქმნათ სამუშაოდო, თან კი... ქონებასართმევენ.**

ოღონდ, აქაც გამორჩევაა: თუ ხეირი ნახეს, ჯანი გავარდეს, აეროპორტიც დაგვამხონ თავზე, მაგრამ, თუ არავინ მოიმადლიერა...

ალბათ, კანადის მოქალაქე არაბმა ბიზნესმენმა ჰუსეინ ალიმაც ისე ააწყო ჩვენში თამბაქოს ბიზნესი, რომ „კრიშისთვის“ არ უზრუნია. ჰოდა, რაც მოგვივა დავითაო, დასძახეს ზემოდან და საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერთა თქმით, ცარიელზე დასვეს.

თავის დროზე სახალხო დამცველს მოუთხოვია ამ საქმის გამოსაძიებლად სათანადო საპარლამენტო კომისიის შექმნა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანო ამ მოთხოვნას არ დათანხმებია.

მიზეზი? „დემოკრატიული ფრონტის“ წევრთა მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიების თავმჯდომარეებს ლევან ბეჟაშვილსა და ელენე თევდორაძეს ჰუსეინ ალი ისე უარყოფითად დაუხასიათებიათ, რომ პარლამენტი ამის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილა. თანაც, ისიც „დაუსაბუთებიათ“, რომ ასეთი კომისიის შესაქმნელი პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები გამოკვეთილი არ არისო.

### ხელმოწერა გააყალბეს და ბიზნესმენი ცარიელზე დასვეს

„დემოკრატიული ფრონტი“ კი ამტკიცებს, რომ იყო და მერე როგორიო: გენპროკურატურამ მავანთ გააყალბებინა ბიზნესმენის ხელმოწერები. ამ მავანთ დანაშაული აღიარეს კიდეც, მაგრამ ჰუსეინ ალის ქონება მაინც გაუყიდესო.

ოპოზიციონერთა თქმით, ამით ხელისუფლება იყო დაინტერესებული და პროკურატურასაც ზემოდან მაგრად დააწვნენ. თანაც, კარგა ზემოდან. სხვაგვარად ეს საკითხი წლების მანძილზე ასე გაურკვეველი ვერ დარჩებოდაო. მით უფრო, რომ საკითხის შესწავლის პირობა ვინმეს კი არა, თავად „სამართლიანობის მედროშეს“ გიგა ბოკერიას მიუცია.

ვისთვის – გარკვეულია და ვისთვის კი – გაურკვეველი. ვისთვისაც ყველაფერი ცხადზე უცხადესია, იმან რაღა უნდა არკვიოს, ხოლო ისინი, ვისთვისაც გაურკვეველია და გარკვევა სურთ, გენერალურ პროკურატურას სამი შეკითხვით მიმართავენ: **1. რატომ არ დაინტერესდა იმ პირების ვინაობით, ვინც ჰუსეინ ალის ხელმოწერა გააყალბეს? 2. რატომ არ დაინტერესდა იმათი ვინაობით, ვისი ზეწოლის გამოც გააყალბეს მათ ზემოთქმული ხელმოწერა და ვინ იყო ამ გაყალბებით დაინტერესებული? 3. რატომ არა და არ დადგა ამ ხნის მანძილზე ჰუსეინ ალისთვის კომპენსაციის გადახდის საკითხი?**

ვშიშობ, ეს შეკითხვები, ისევე, როგორც ხელისუფლებისთვის დასმული ბევრი სხვა შეკითხვაც, რიტორიკულად დარჩება...

**კოტე სარალიძე**

⊙ ვერის ბაღიც გაიყიდა?!

# ვის ჩავცხოთ აგური?

## იქ 7-სართულიანი შენობა უნდა წამოჭიმონ ბობოლებისთვის, 1 კვ/მ ფართი, სავარაუდოდ, 2600 დოლარი ეღირება

**„თუ ვინმე გაბედავს და ბაღის ან სკვერის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობას წამოიწყებს, მას აგური მოხვდება თავში“, – ამ სიტყვებით გამოვიდა ქალაქის მერი გიგი უგულავა ერთ-ერთი უკანასკნელი მშენებლობის აღმოჩენისას.**

გუშინ კი გაირკვა, რომ ვერის ბაღის ტერიტორიის ნაწილი ერთ-ერთ კერძო კომპანიას შეუსყიდია. ამ ტერიტორიაზე მდგარი შენობა დაანგრიეს და ახლა „ნიადაგი“ უკვე მზად არის ახალი მშენებლობის დასაწყებად.

„აცხადებენ, რომ ეს ტერიტორია გაიყიდა და 7-სართულიანი სახლი შენდება შეძლებული ადამიანებისთვის, რომლის 1 კვ/მ 2600 დოლარი ეღირება“, – გვითხრა ვერის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

აშკარაა, რომ კომპანია მერიისა და ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე შიგ ბაღში, თანაც ასეთ პრესტიჟულ ადგილზე ვერაფერს შეიძენდა.

„ჩვენ პრეტენზია კერძო კომპანიებთან კი არ გვაქვს, არამედ მერიასთან, რომელსაც მწვანე რეკრეაციული ზონებისა და ბაღების განკარგვის უფლება აქვს. მერია კორუფციულ გარიგებებზეა გადასული და სრული პასუხისმგებლობაც მას დაეკისრება. ეს ხალხის ტერიტორიაა. აქ ჩვენი ბავშვები ისვენებენ, ხალისობენ და არ შეიძლება მათ ეს ადგილი წაართვან. ბოლოს სუნთქვის საშუალებაც აღარ გვექნება. ამაზე თავად კომპანიებიც უნდა დაფიქრდნენ, – განაცხადა შეკრებაზე მოსულმა „თანასწორობის ინსტიტუტის“ ერთ-ერთმა წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

ვერელებმა და აქციაზე მისულმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გულისწყრომა გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება, ქალაქის მერია ერთს ამბობს და სულ სხვას აკეთებს. თუ მათი ბიზნესინტერესებია გარეული, ისინი არც კანონს აგდებენ არაფრად და არც ხალხს.

**სოფიო გოგლიძე**

⊙ გამოძიებას მოითხოვს

# ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიებას ტაბუ ადევს?

## დაიკითხონ შევარდნაძე, ბალუაშვილი, ბაბილაშვილი, იოსელიანი, ლომინაძე და სხვები

**საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წლების წინათ გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. სამწუხაროდ, დღემდე კითხვა: ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს? – პასუხგაუცემელია.**

საიდუმლოებითაა მოცული ზვიად გამსახურდიას საფლავის ადგილსამყოფელიც. მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე დღის წინათ მისმა ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ მოულოდნელი და შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა – საზოგადოებრიობას ამცნო, რომ ქალაქ გროზნოში მდებარე პირველი პრეზიდენტის საფლავი განადგურებულია, ხოლო მისი ნეშტი – დაკარგული. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და რამდენიმე ვერსია თუ ბრალდება გაჩნდა. პირველი პრეზიდენტის საფლავის ადგილმდებარეობას სპეციალური კომისია იკვლევს და, იმედია, ახლო მომავალში შედეგიც იქნება.

ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში დევნილობაში მყოფმა ახმედ ზაკაევმა გვამცნო, ზვიად გამსახურდიას ნეშტი საიმედო ადგილზეა გადასვენებულიო. საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი ამას უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ „ბევრმა წყალმა ჩაიარა“, მაგრამ ეს ფაქტი დღემდე გამოუძიებელია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მავანთ ამაზე ტაბუ აქვთ დადებული.

მართალია, აღნიშნული ფაქტის გამოძიების საკითხი არც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დამდგარა, მაგრამ დღეს ვინ უნდა აფერხებდეს გამოძიების დაწყებას? ვის წისქვილზე ასხამს წყალს ეს?



გუშინ პარტია „თავისუფლების“ ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ პრესკონფერენცია გამართა. იგი პროკურატურისგან ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს და აცხადებს, რომ მზადაა ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან და პროკურატურას საქმის მასალები გადასცეს. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლება პირველი პრეზიდენტის მკვლელებს ხელს აფარებს.

– მამაჩემის მკვლელები დადიან დღეს არა ჩეჩნეთში, არა მის დედაქალაქ გროზნოში, არამედ დადიან საქართველოში და ამიტომაც, კატეგორიულად მოვითხოვ, დაიკითხონ შევარდნაძე, ბალუაშვილი, ბაბილაშვილი, იოსელიანი, ლომინაძე და სხვებიც, – განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

**მაია ხორგუაშვილი**

მომდევნო საპრეზიდენტო ევროვოიაჟია. ცხადია, არხეინად ჯდომა ვერაფერ ხეირს დაგვაყრის, ოღონდ... თავადაც რამდენჯერ იყო „ქალაქს“ და სხვადასხვა ოფიციალურმა დელეგაციამაც რამდენჯერ ტკეპნა და ტკეპნა ევროსაბჭოსა თუ ეუთოს „გზანი წამებისანი“, მაგრამ იქიდან რა ჩამოიტანეს? არც არაფერი, ბუნდოვანი დაპირებებისა და მხურვალე სიტყვიერი თანადგომის გარდა

OSCE

◉ განსჯა

# სამკითხაოდ გვიდგას საქმე?!

## თუ საჭიროდ მიიჩნია, თხასავითაც გაგყიდის

*მომდევნო საპრეზიდენტო ევროვოიაჟია. ცხადია, არხეინად ჯდომა ვერაფერ ხეირს დაგვაყრის, ოღონდ... თავადაც რამდენჯერ იყო „ქალაქს“ და სხვადასხვა ოფიციალურმა დელეგაციამაც რამდენჯერ ტკეპნა და ტკეპნა ევროსაბჭოსა თუ ეუთოს „გზანი წამებისანი“, მაგრამ იქიდან რა ჩამოიტანეს? არც არაფერი, ბუნდოვანი დაპირებებისა და მხურვალე სიტყვიერი თანადგომის გარდა. ამ ხეირისთვის კი, ვგონებ, ასეულ-ათასობით ვალუტის ხარჯვა არა ღირდა. ისიც სათქმელია, ამდენმა ოფლის ღვრამ, ლამის ცაში გამოკიდებამ პირუკუ შედეგიც რომ გამოიღო – ჩვენთა „დიდ-დიდთა“ პოლიტიკოსთა გამო, დიპლომატიაში ტალეირანობაზეც ყაბულს ჰა და ჰა რომ არიან, ციცო! თითიც კარგა მაგრა დაგვიქნიეს, ერთი ადგილის თამაშს მორჩით, ვის უყირავდებით, რო უყირავდებითო...*



სიმართლეს ვერსაით წაუხვალ – მსოფლიოს კვლავ ორი ძალა მართავს: აშშ და სსრკ-ს მემკვიდრე – რუსეთის ფედერაცია. ეს ევროსაბჭოები, ეუთოები და გაეროც, ფაქტობრივად, ფიქცია, ე. წ. მსოფლიო დემოკრატიის ბუტაფორიებია და სხვა არაფერი. მართლადაც ჭრიდნენ! უძალო სამართალი რის მაქნისია? ძალა კი, თუნდაც უსამართლო, აღმართს ხნავდა და ხნავს კიდეც.

ორივე ზესახელმწიფო ამ ხელოვნებას სრულყოფილად ფლობს და ჯობნაზეა, ვინ უფრო მეტს დაითრევს. მაგრამ არის დაპირისპირების უჩინარი ზღვარი, რასაც არც ერთი არ გადავა. დანარჩენი მსოფლიოს ზურგსუკან გარიგებებიც ჩვეული ამბავია. საერთაშორისო პოლიტიკაში უმთავრესი პირადი ინტერესია და არც ერთი სახელმწიფო არ დათმობს თავის ეროვნულ ინტერესებს სხვა, თუნდაც ცამდე მართალი ქვეყნის დასაცავად.

ამიტომ საკითხი ასე დგას – აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს შენი ინტერესი? თუ აქვს, ისევ და ისევ თავისი ინტერესების გათვალისწინებით წაგეხმარება. ეგაა და ეგ. ამასთან, ამ ინტერესმა მეტოქე სახელმწიფოსთან შესაძლო შეჯახებას ან თუნდაც გართულებებს უნდა გადასძლიოს, თორემ იმ თავის ინტერესებზე მყისვე დაიბანს ხელს და, თუ საჭიროდ მიიჩნია, თხასავითაც გაგყიდის. დასტურად კოდორის ამბების გამო აშშ-ისა და რუსეთის კორეის თაობაზე გარიგებაც საკმარისია.

ეუთო თუ ევროსაბჭო იმას იქმს, რაც, აშშ-სა და რუსეთის ნების გათვალისწინებით, უპირველესად, ევროპის ქვეყნებს წაადგება. საქართველოს ევროპელები ჯერხანობით თავის ოჯახის წევრად ვერ აღიქვამენ და უმეტესად აზიიდან მოჩრჩავ კუდ აღიქვამენ, ფეხი რომ გამოუყვია, მეც ნახირ-ნახიროო.

მაშ, რა აზრი აქვს წინა თუ ამჟამინდელ ევროპულ „მომლოცველობას?“ ალბათ, ის, რომ თავი არ დაავიწყებინო. შეძახილმა ხე გაახმოოს მნიშვნელობის შემობრუნებით, ეგებ, ამდენმა შეძახილმა საერთაშორისო სამართლის ხე ააყვავოსო. ოღონდ, აყვავებულმა – ნაყოფიც უნდა გამოისხას. არადა, „ხილის რამდენმა სეზონმა“ ისე ჩაიარა, ნაყოფს ვერ ვეღირსეთ. თუმცა, ყვავილიც რომ სანატრელი გაგვიხადა?

გაეროს, ეუთოსა თუ ევროკავშირის მიღებული ყველა დოკუმენტი პრაქტიკულად უმაქნისია. გინდაც ჭიპზე გავსკდეთ ძახილით, მხარს გვიჭერენ, მხარს გვიჭერენო, რეალურად ბიჯი მაინც თუ წავდგით წინ სეპარატისტული აფხაზეთისა თუ ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებისკენ? კონფლიქტების გაყინვა სწორედ ჩვენს მტრებს აძლევს ხელს და ისეთი სუნი ტრიალებს, ეს არც თუ ირეალური უნდა იყოს.

ზემოთქმული მით უფრო სავარაუდოა, როცა აშშ-ის ზოგი ექსპერტი ირწმუნება, ამერიკაში არავინ დამჯდარა და გამოუკვლევია, სახელდობრ რა უნდა აშშ-ს კავკასიასა და, უშუალოდ, საქართველოშიო. დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს შორის, ფაქტობრივად, არაფრის გამო, უფრო ზუსტად, ამბიციის გამო. კი, ორივე უნდა იყოს კავკასიაში, მაგრამ რატომ უნდათ, ეს არ უწყიან. აშშ იმიტომ მივიდა საქართველოში, რომ იქ სხვა არავინ იყო. საამისოდ ყოვლად მოუმზადებელი აღმოჩნდა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ არ იციან ქართული კულტურა, ისტორია, ენა. ამიტომაც ცდებიან წარამარა. თუ ამერიკა რომელიმე ქვეყანაში შესვლას გადაწყვეტს, წინასწარ სწავლობს მის ისტორიას, კულტურას, ენას, საქართველოში ასე არ ყოფილა. სუმბურულობა კი აშშ-ს განზრახვების ზედაპირულობის, ფუჭი ამბიციურობის დასტურიაო, ასკვნიან ექსპერტები.



თეთრ სახლს სტაბილურობა უნდა. რისა და ვის ხარჯზე, ეს სულაც არ ეხახვება. იმასაც ფიქრობს, რომ რუსეთი აფხაზეთსა და შიდა ქართლს უფრო მეტს გაუკეთებს, ვიდრე ყოვლად უქონელი საქართველო. ხალხს ცხოვრება უნდა, ხოლო მისი სოციალური მდგომარეობის გამოსწორების გარანტი სწორედ რომ რუსეთია. სად მისი შესაძლებლობანი და სად – ჩვენი...

რაკი აშშ-ში ასეც ფიქრობენ, სავარაუდოდ, ევროკავშირში, ეუთოსა და გაეროშიც „ქონავს“ ეს აზრი მით უფრო, რუსეთის ჩაწოდებითაც. ბუშისა და მისი პარტიის წირვა გამოყვანილია. თუ ახლაც კი, იმ ბუშის მმართველობისას, საქართველომ რომ აღაფრთოვანა და პირადადაც მრავალჯერ დაპირდა თანადგომას ჩვენს პრეზიდენტს, ხელში მაინც არაფერი გვიჭირავს, რას უნდა ველოდოთ აშშ-ის ახალი ხელისუფლების ბუშის საგარეო პოლიტიკასთან პოლარულად დაპირისპირებული კურსისგან? მართალია, დაპირისპირება მაინცდამაინც საქართველოს მიმართ დამოკიდებულების უარესობისკენ შეცვლას სულაც არ ნიშნავს, მაგრამ სამკითხაოდ გვაქვს საქმე?

**კონსტანტინე გურგენიძე**

◉ ინფორმაცია

### ნოღაიდელი კონფლიქტის ზონას სტუმრობდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას სტუმრობდა. ზურაბ ნოღაიდელი შიდა ქართლის გუბერნატორთან ერთად დიდი ლიახვის ხეობაში შემოვლითი გზით ჩავიდა.**

**პრემიერ-მინისტრმა სოფელ თამარაშენში მშენებარე კულტურის სახლი მოინახულა.**

**კულტურის სახლს სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი“ აშენებს. როგორც მშენებლები აცხადებენ, სამშენებლო სამუშაოები ორი თვის ვადაში უნდა დასრულდეს, თუმცა, მათივე თქმით, მკაცრი ზამთრის გამოამვადებში ჩატევა ცოტა რთული იქნება.**

**გარდა კულტურის სახლისა, ზურაბ ნოღაიდელმა სოფელ კეხვში დაათვალიერა საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სპორტული დარბაზის მშენებლობა და წყალსადენის ძველი შენობა, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზიანდა.**

**ნოღაიდელის განცხადებით, კონფლიქტის ზონაში 10 მილიონი ლარის ინვესტიციის ჩადებაა გათვალისწინებული. აქედან, 5 მილიონი ხეობების გაზიფიცირებას მოხმარდება.**

**შიდა ქართლის გუბერნატორის მიხეილ ქარელის თქმით, გაზის მაგისტრალის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ლიახვის ხეობის 9 ქართული სოფელი ბუნებრივ აირს გაზის ამ მაგისტრალიდან მიიღებს.**

**რაც შეეხება პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებს, აღნიშნული ხეობების მოსახლეობა ბუნებრივი აირით გორისა და ქარელის რაიონის გაზმომარაგების სისტემიდან იქნება უზრუნველყოფილი.**

**ქარელის თქმით, საქართველოს მთავრობამ ოსურ მხარეს გაზის ოსური სოფლებისთვის მიწოდებაც შესთავაზა, თუმცა მათ ამწინადადებაზე უარი განაცხადეს.**

### უმრავლესობის წევრი ტლაშაძე – უგულავას წინააღმდეგ

**დედაქალაქის მერს გიგი უგულავას დეპუტატის იგნორირებაში კიდევ ერთხელ ადანაშაულებენ.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თეო ტლაშაძემ გააკეთა.**

**დეპუტატმა გაიხსენა პრეზიდენტის მიერ მინისტრების მიმართ გამოთქმული საყვედური სატელეფონო ზარების უპასუხოდ დატოვების შესახებ და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეა, გიგი უგულავასთან ტელეფონით დაკავშირებას უშედეგოდ ცდილობს.**

**„მერს ტელეფონით შეტყობინებაც გავუგზავნე, თუმცა რეაგირება არც ამას მოჰყოლია“, – აღნიშნა მან.**

**დეპუტატის განცხადების შემდეგ კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ.**

**„იმ პირისგან, ვისაც თეო ტლაშაძის პრეტენზია ეხებოდა, დეპუტატისთვის გამოხმაურებას დაბეჯითებით მოვითხოვ“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.**

**დეპუტატის იგნორირებაში გიგი უგულავა გასულ კვირას „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრმა მამუკა კაციტაძემაც დაადანაშაულა. მაშინ კაციტაძემ განაცხადა, რომ მერისგან კითხვაზე, თუ რის საფუძველზე მოხდა მეტრო „გოცირიძესათნ“ შენობის დემონტაჟი, პასუხი ვერ მიიღო.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ პრესკონფერენცია

# 570 ათასი ევრო – დევნილთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებს

## მთავარია, თანხა ადრესატამდე მივიდეს

**საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რობინ ლიდელმა გუშინ სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.**

წარმოადგინეს ამ ორგანიზაციათა ის პროექტები, რაც ევროკავშირმა დააფინანსა.

ღია კონკურსის შედეგად, ევროკავშირის გრანტი ოთხმა ადგილობრივმა და ორმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ მოიპოვა. „საჩინომ“ (იმერეთიძ, ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურმა ცენტრმა (აჭარაძ, „წალენჯიხის ინვალიდთა ასოციაციამ“, განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის ცენტრმა, „შერიგების ცენტრმა“ (დიდი ბრიტანეთიძ და „ლტოლვილთა დანიის საბჭომ“.

ამ პროგრამის განხორციელებისთვის ევროკავშირმა 570 000 ევრო გამოყო. ამით ევროკომისიამ ხელი უნდა შეუწყოს დევნილთა ინტეგრირებას საზოგადოებრიობაში და მათ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას.

პროექტის მიზანიც სწორედ ის არის, რომ გაიზარდოს დევნილთა შესაძლებლობები, რათა ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეძლონ ყოფითი პრობლემების უფრო ქმედითად გადაჭრა, ეკონომიკური, ბიზნეს-საქმიანობის წარმართვა, აიმაღლონ პროფესიული მომზადება, უფასო იურიდიული მომსახურებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროექტების განხორციელება იანვრიდანვე დაიწყეს. პროგრამა ორწლიანია.

რობინ ლიდელის განმარტებით, არასამთავრობო სექტორის დაფინანსებით ევროკომისია ხელს შეუწყობს სამოქალაქო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის წარმართვას დევნილებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და მათი სოციალური დაცვის საკითხებზე.

ასოციაცია „საჩინოს“ წარმომადგენელმა **ხათუნა ხურციძემ** გვითხრა: – ვაპირებთ დევნილთა პრობლემების შესახებ საჯარო კამპანიის წარმართვას, ჩვენი პარტნიორია თავისუფალ ჟურნალისტთა ასოციაცია „მეოთხე“, რომელიც ახორციელებს ჟურნალისტთა პროფესიულ დაოსტატებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. „საჩინო“ იმერეთის რეგიონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციაა. ჩვენი მისია ადამიანთა უფლებების დაცვა, ანტიკორუფციული კლიმატის შექმნა და კონკრეტულ სამართალდარღვევაზე რეაგირებაა. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის მიზნით, ხელისუფლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასმედიას შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი პრიორიტეტია.

**ამ ბოლო დროს მართლაც საგრძნობლად გააქტიურდა დევნილთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციები. მათს გასაძლიერებლად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები თანხებს არ იშურებენ. მთავარია, თანხა ადრესატამდე მივიდეს და რეალური შედეგი დავინახოთ.**

**ლია ჭიღლაძე**

№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

# ჩვენ

● საიდუმლო არც ის არის, რომ ტენდერი, როგორც ასეთი, არ შემდგარა. პრეტენდენტები ჯერ კიდევ ტენდერამდე გაცხრილეს. მათ შორის მეტად სოლიდური უცხოური ფირმები, აი, ისინი კი ნამდვილად გადაიხდიდნენ სრულ თანხას. მაშასადამე, გადახდისუნარიანი მოთხოვნა მაინც იყო, მაგრამ, რატომღაც პირდაპირი წესით გაყიდვა ამჯობინეს



## ◎ ინფორმაცია

### არველაძე ესტონეთს ეწვია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე ოფიციალური ვიზიტით ესტონეთის დედაქალაქ ტალინში იმყოფება.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, მინისტრი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობს.

კონფერენციას, რომელიც გუშინ გაიხსნა, ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილიც ესწრება.

საერთაშორისო ფორუმს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტი და შვედეთის განვითარების მინისტრი გუნილა კარლსონი დაესწრებიან.

გიორგი არველაძე ესტონეთის პრემიერ-მინისტრს ანდრუს ანსიპს შეხვდა. „ესტონეთი საქართველოსთვის მაგალითს წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლები, მეწარმეებისთვის ხელსაყრელი გარემო იქმნება“, — აღნიშნა გიორგი არველაძემ შეხვედრაზე.

### დეპუტატი დაცვას ითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი, ლანჩხუთის მაჟორიტარი ბიძინა გუჯაბიძე ნინო ბურჯანაძეს ოპოზიციონერი მაჟორიტარი დეპუტატების დაცვას სთხოვს.

როგორც გუჯაბიძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, პარლამენტის სხდომის პარალელურად, ლანჩხუთის საკრებულოს სხდომა მიმდინარეობს, საკრებულოს წევრებს კი მისი სადეპუტატო ბიუროს დაფინანსების შემცირება აქვთ დავალებული.

დეპუტატის თქმით, მის მიმართ „სანქციები“ მას შემდეგ ამოქმედდა, რაც ადგილობრივ გაზეთში ხელისუფლება გააკრიტიკა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები კანონის თანახმად უნდა მოქმედებდნენ და არა იმის მიხედვით, თუ რომელი ფრაქციის წევრია დეპუტატი.

ამასთან, ბურჯანაძემ თხოვნით მიმართა დეპუტატს, მსგავსი პრობლემების შესახებ საჯაროდ მხოლოდ საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში განაცხადოს.

ინტერპრესნიუსი

### პროექტი პარლამენტში გაიგზავნა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მომზადებული „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის“ პროექტი საქართველოს მთავრობამ მოიწონა და განსახილველად პარლამენტში გადააგზავნა.

კანონის ახალი პროექტის მომზადების მიზანი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაა.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებად — პრობაციის ეროვნულ სამსახურად ჩამოყალიბდება, შესაბამისად, გაიზრდება სამსახურის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის ხარისხი.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◎ სიზმარ იყო, ზღაპარ იყო?!

# აკი, კორუფცია

## რომ მეგონა, დამესიზმრა-მეთქი, თურმე ცხადი ყოფილა!!!

**კოშმარი დამესიზმრა. თითქოს გაზეთის მთავარი რედაქტორი ვიყავი. ამას კიდევ რა უშავს. საქმე ის არის, რომ მე, როგორც რედაქტორი, ეკონომიკის მინისტრს ვესტუმრე გასასაუბრებლად. შევდივარ, თავაზიანად ვესალმები. მინისტრიც თავაზიანად მესალმება. მერე მე, ბუნებით მშვიდი ადამიანი, შეიძლება ითქვას, მორიდებულიც კი, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. საწყალ მინისტრს ქორივით დავაცხერი და პირდაპირ, მოურიდებლად დავუსვი კითხვა: „როგორ მოხდა, რომ რუსთაველის პროსპექტზე (№42ძ მდებარე ხუთსართულიანი შენობა ახლახან სულ რაღაც 5,5 მილიონ დოლარად გაიყიდა?“**

მინისტრს წარბიც არ შეუხრია. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა, ენერგიულმა კაცმა.

— რა უნდა აგიხსნათ? — გაიკვირვა მინისტრმა, — შენობა ტენდერზე გაიტანეს და მართლაც 5,5 მლნ დოლარად გაიყიდა. ყველაფერი გამჭვირვალედ, კანონის ფარგლებში გაკეთდა. მიუღია ადრე სახელმწიფოს მილიონები პრივატიზაციით? ნაქურჩალიც არ რგებია.

— მართალია, არ რგებია, ბატონო მინისტრო, — დავუდასტურე მეც, — ზემოხსენებული შენობის გვერდით 500 მ² ფართობი ასეთივე სარდაფით სულ რაღაც 18 ათას დოლარად გაყიდეს წინა რეჟიმის დროს.

— აი, ხომ ხედავთ, — გაიბადრა მინისტრი, — ახლა კი მილიონობით შემოსავალს ვითვლით. ახლა, საქინფორმის დიდი ვალიც არ დაგავიწყდეთ... ტენდერის პირობებით მესაკუთრემ უნდა დაფაროს იგი, — ხავსს ეჭიდება მინისტრი.

— მართალს ბრძანებთ. დაახლოებით 300 ათასი დოლარი. რადგან ეს ვალი თავად ახსენეთ, საკითხავია, საიდან დაედო ამხელა ვალი!

— ეს საკითხი სცდება ჩემს კომპეტენციას.

— არ ვაპირებ თქვენთან დავას, მაგრამ იგი მთლიანად გენპროკურატურის კომპეტენციაშია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სრულ ინფორმაციას ფლობს, ყურსაც არ იბერტყავს. ამიტომ, ცხადია, რჩება კითხვები, რომლებზეც პასუხია გასაცემი.

— რას გულისხმობთ? — აღელდა მინისტრი.

— განა ამ ფასად ღირდა ასეთი შენობის გაყიდვა?

— ჩემო კარგო, — მეუბნება მინისტრი, — გახსოვდეთ, ეს ხომ საბაზრო ეკონომიკაა. შენობა იქნებ ასი მილიონიც ღირდეს, მაგრამ ამდენი არავის არ შემოუთავაზებია. თქვენ, მგონი, მაინცდამაინც ვერ უნდა ერკვეოდეთ ბაზრის ფუნდამენტურ კანონებში. ფასის მასშტაბს, მიწოდების ფასს კარნახობს გადახდისუნარიანი მოთხოვნა. თუ არ არის მოთხოვნა, ფასიც მცირდება. ეს პროცესები, ასე ვთქვათ, ავტომატური რეჟიმით, საბაზრო კონიუნქტურის შინაგანი კანონებით წესრიგდება. ვინც ეს არ იცის, ამის არაფერი ესმის.

— ასეთი რეჟიმის დროსაც კი, — არ ვიშლი ჩემსას, — ყოველთვის არსებობს ის, ვინც ღილაკს აჭერს თითს.

— რა ღილაკს, — დაიძაბა მინისტრი, — ჩვენ, სახელდობრ, რაზე ვლაპარაკობთ?

— სიტყვამ მოიტანა და, შენობა იმავე ხალხმა იყიდა, ვინც ადრე გვერდით მდებარე ფართობი შეიძინა 18 ათასად.

— აი, თურმე რა! მე არ ვარ საქმის კურსში.

— როგორც ხედავთ, ბატონო მინისტრო, მეც შემიძლია რაღაცით გაგაკვირვოთ, — ალალად გავუღიმე ჩინოსანს, — გარდა ამისა, საიდუმლო არც ის არის, რომ ტენდერი, როგორც ასეთი, არ შემდგარა. პრეტენდენტები ჯერ კიდევ ტენდერამდე გაცხრილეს. მათ შორის მეტად სოლიდური უცხოური ფირმები, აი, ისინი კი ნამდვილად გადაიხდიდნენ სრულ თანხას. მაშასადამე, გადახდისუნარიანი მოთხოვნა მაინც იყო, მაგრამ, რატომღაც პირდაპირი წესით გაყიდვა ამჯობინეს.

— მე არაფერი ვიცი ამ დეტალების შესახებ. მაშინ ამ თანამდებობაზე არ ვიყავი, — თავს იცავდა მინისტრი.

— მართალი ბრძანდებით, — დავეთანხმე, — თქვენ ორიოდე თვის შემდეგ მოხვედით. ამიტომაც, თქვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება იცოდეთ, რა ხრიკი გამოიყენეს. ალბათ, გაგეცინებათ. გაითამაშეს სპეკულაცია საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის გარშემო, რომლის ბალანსზე ირიცხებოდა შენობა. აქაოდა, ეს კავკასიაში უძველესი საინფორმაციო სააგენტო 160 წლისაა და პატრიოტთა ღირსების საქმე და მოვალეობაა მისი შენარჩუნება, რადგაც უნდა დაგვიჯდესო. ეს კი, როგორც თავად ირწმუნებოდნენ, ხელეწიფება მხოლოდ ეროვნული ორიენტაციის მქონე, ანუ ადგილობრივ კომპანიას. არადა, აქ ახლა, როგორც მოგეხსენებათ, საინფორმაციოს ხსენებაც არ არის, ჯერჯერობით მხოლოდ ფირნიშილაა შემორჩენილი.

მინისტრი ისე აწრიალდა სავარძელში, თითქოს ცეცხლი შეუნთეო ვინმემო. მე კი უფრო ვაღვივებდი მას ჩემი ლაპარაკით.

— თქვენ ხომ თავად არაერთხელ გაგიცხადებიათ, — შევახსენე მე, — როდესაც სახელმწიფო კანცელარიის პრესსამსახურს ხელმძღვანელობდით, რომ საქინფორმი ანაქრონიზმი, წარსულის გადმონაშთია და სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა გათავისუფლებულიყო მიზანშეუწონელი ხარჯებისგან. მიაღწიეთ კიდეც მის ლიკვიდაციას. უნდა ითქვას, რომ საოცრად თანმიმდევრულიც იყავით.

— სავსებით სწორია, — გამოცოცხლდა მინისტრი, — და სახელმწიფო ბიუჯეტს დავუზოგე, სულ ცოტა 300 000 ლარი წელიწადში. ახლა ეს ახალი მესაკუთრის პრობლემაა. თუ უნდა, შეინარჩუნოს. მთავარია, რომ სააგენტო ქვეყნის ბიუჯეტს არ აწვეს ტვირთად.

— ჰო, მაგრამ, არც მთლად ასეა საქმე, — დავაზუსტე მე. — ეს უკვე მხოლოდ მფლობელის ნება-სურვილზე როდი იქნება დამოკიდებული, თუ მან სააგენტოს შენარჩუნების პირობით მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა.

„დამცინის ძაღლიშვილი, — გაუელვა მინისტრს, — კინწისკვრით უნდა გააგდო ეს თავხედი“.

— ყველაფერი კანონიერად გაკეთდა, — უხეშად გამაწყვეტინა, რითაც მაგრძნობინა, რომ აღარ აპირებდა საუბრის გაგრძელებას.

მაგრამ, მე „არ ვიმჩნევ“, რომ ჩემი თავიდან მოშორება სურთ და თავაზიანად განვაგრძობ საუბარს.

— ეჭვიც არ მეპარება, ბატონო მინისტრო, მით უკეთესი, მაგრამ აი, კიდევ ერთი არსებითი დეტალი: შენობის შეძენის შემდეგ, კომპანია „უორვიქშირი“ მაშინვე აგირავებს მას „თიბი სი ბანკში“, მაგრამ უკვე 10 მილიონ დოლარად.

— საიდან გაქვთ ეს ცნობები? მე არაფერი ვიცი, — ცდილობს ჩემს მოგერიებას მინისტრი, რომელიც გრძნობს, რომ კუთხეში იმწყვდევენ.

— საჯარო ინფორმაციაა: აი, ცნობა ქალაქის საგადასახადო ინსპექციიდან, სადაც შავით თეთრზე წერია...

მინისტრმა გამომტაცა ქაღალდი და ისე დააშტერდა, თითქოს, ყურადღებით სწავლობდა.

— მერე რა? — წარმოთქვა მან ბოლოსდაბოლოს, თან, ალბათ, გონებას ძაბავდა, როგორ დაეღწია თავი იდიოტური სიტუაციიდან.

— როგორ, მერე რა? ბანკს შეეძლო, უშუალოდ მიეღო მონაწილეობა ტენდერში და მაშინ ეს 10 მილიონი მთლიანად სახელმწიფოს დარჩებოდა.

— არ მიიღო მონაწილეობა, არ მოვიდა ტენდერზე. ეს ბიზნესია. ვინც მოასწრო, იმან გადაყლაპა. მაშასადამე, უვარგისი კომერსანტები არიან.

— უვარგისები არიან, — დავუდასტურე, — მაგრამ, იქნებ არც ისეთი უვარგისები. უბრალოდ, ზოგიერთი პოპულარული თამაშის წესები არ იციან. ვის გაუგია, რომ გირაოს თანხა ორჯერ აღემატებოდეს შენაძენის საბაზრო ფასს? ჩვეულებრივ, გირაო ობიექტის რეალური ღირებულების მესამედი, ზოგჯერ მეოთხედიც კია. გამოდის, რომ შენობა არანაკლებ 30 მილიონი დოლარი ღირს... არც ვიცი, რა ვიფიქრო.

— მოკლედ, რა გინდა, რის მიღწევას ლამობ? — საბოლოოდ კარგავს მოთმინებას მინისტრი.

მაგრამ არც ახლა დავყარე ფარ-



## ◎ SIC!

# საქართველო

**ჩემი მრავალჭირნახული მრავალსართულიანი სახლიდან კიდევ ერთი ქალბატონი გადაიხვეწა უცხოეთში.**

**შესანიშნავი ქალ-ვაჟის აღმზრდელი დედა, არა მარტო საკუთარი ოჯახის ბურჯი, ერთ დროს ლამის მთელი სოფლის ტოლა ეზოში მცხოვრებთა მოავკარგე, ყველასათვის საყვარელი ქალი იმ დროს წავიდა საშოვარზე, როდესაც მის შვილებს ჰაერზე მეტად სჭირდებოდათ.**

**არადა, რა ექნა, ჯან-ღონით სავსე ქმარი უმუშევარია, ბავშვები სკოლაში სწავლობენ და მტერ-მოყვარეც თავისებურად მისახედია.**

რომ შევიტყვე, უცხოეთისთვის ემზადებოდა, შევწუხდი. თუ სადმე ნაცნობი მეგულებოდა, გავიკითხ-გამოვიკითხე, იქნებ რამე სამსახური ვუშოვო-მეთქი. ჩემი ერთადერთი ქალიშვილი, ორი უმაღლესი განათლების მქონე, დამსახურებული პედაგოგი ხომ უცხოეთშია, ვიღაც დედაბერს ჭირისუფლობს. არადა, 18 წლისამ მეტალურგიაში მუშად რომ დავიწყე მუშაობა, მას შემდეგ მუხლი არ მომიყრია. ახლა რა, დამსახურებული ჟურნალისტი, მრავალი წიგნის ავტორი, მწერალი, 75 წლის ასაკში შვილის ხელის შემყურე დავრჩი, თუმცა მოუთმენლად ველი იმ ბედნიერ დღეს, შორეულ ქვეყანას რომ დატოვებს და დამიბრუნდება. ალბათ კიდევ ამიტომ, ჩემი მეზობლის თავგანწირვამ ორმაგად შემზარა. რომ ვერსად ვერაფერი გავაწყე, ვიფიქრე, ქალაქის თავკაცს ვთხოვ, იქნებ დამეხმაროს-მეთქი.

გაგიგონიათ, სათოფეზე ვერ გავეკარე. მავთულხლართი რას დაგაკლებს იმდენს, უცხვირპირო ჩინოვნიკთა გარემოცვას რაც შეუძლია, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

ეს უკვე მერამდენეა, სათვალავი დავკარგე. ჩემი რვასართულიანი სახლის ბინადარნი ლამის მსოფლიოს მოედნენ. ორი გერმანელი სიძე უკვე გვყავს, ერთი ფრანგი, ერთიც ბერძენი, სხვებისა არა ვიცი რა. ხუთი ჭაბუკი სკოლის მერხიდან ასხლეტილი რომ წავიდა, დღესაც ფეხი არ ჩამოუდგამთ. ვითომ მარტო გულიდან კი არა, ცნობიერებიდანაც ამოირეცხეს ყველაფერი აქაური?!

ჩვენს გაცუცრუკებულ სტატისტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ლამის იმდენივე ვართ, 1989 წლის აღწერისას რომ ვიყავით. მაშინ ხომ საქართველოს 5 მლნ. 443 ათასი მცხოვრებიდან ქართველთა რაოდენობამ 3 მლნ. 981 ათას კაცს გადააჭარბა. თუმცა სტატისტებსაც ვერ გაამტყუნებ. ზუსტი აღრიცხვა არც შეიძლება არსებობდეს. აკი, ჩემი ეზოდან გადახვეწილნიც, თითქმის უკლებლივ ყველანი ისევ აქ ითვლებიან. ისინი ხომ არალეგალურად წავიდნენ. თუმცა ეს რა სათქმელია. შარშანდელ არჩევნებში ჩემი რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი სიდედრიც ისე არხეინად მონაწილეობდა და ზოგიერთი ცოცხალისაგან განსხვავებით, ხმაც ღირსეულად მისცა.

ალალბედზე გამოვთვალე და ჩემი ეზოდან სულ მცირე, 47 ადამიანია საშოვარზე საზღვარგარეთ. ნახევარი მაინც რომ დაბრუნდეს... სამშობლოს ხომ ყველა ესაკლისება.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა, არცთუ ყმაწვილკაცმა, აქ რომ დაოჯახება ვერ მოახერხა, ერთობ ორიგინალურ ხერხს მიმართა. თვითონ ჰოლანდიაში წავიდა, ახლა ფულს აგროვებს, რომ მერე საცოლეს გამოუგზავნოს, წაიყვანოს და იქ დაქორწინდნენ. იცოცხლე, კარგია დაქორწინება, ვიდრე საბოლოო იმედიც გადაგეწურება ადამიანს, მაგრამ დაბრუნდებიან კი იქიდან უცხოობაში გადახვეწილთა შთამომავლები ან თავად ისინი?!

ჩემი ქალიშვილი აღშფოთებით მატყობინებს, რომ უცხო ქვეყნის იმ ერთ პატარა ქალაქში, სადაც ისაა, 550 ქართველი ქალი იტანს მტანჯველ შრომას, მხოლოდ იმისთვის, რომ აქ დარჩენილ ახლობლებს სარჩო-საბადებელი გაუჩინონ. რაც კიდევ უფრო სავალალოა, აქედან 15 იქაც უმუშევარია და საარსებო წყაროს ვერ შოუ-

№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

# ჩვენ

● გაიკითხეთ, ბენდუქიძის მიერ უნამუსოდ გაყიდულ ქარხნებში ან თუნდაც საზოგადოებრივ და საჯარო სამსახურებში რა უფლებებით სარგებლობენ მუშა-მოსამსახურეები!



◎ სიზმარ იყო, ზღაპარ იყო?!

# მოისპოო, ხალხო?!

ხმალი. „სრულიად არაფერი“, მხოლოდ თქვენი კომენტარი მინდა მივიღო, რათა ჩვენს მკითხველს ობიექტური ინფორმაცია ჰქონდეს.

— თავად შენ რა ვერსია გაქვს? — მინისტრი აშკარად გადავიდა მტრულ „შენობით“ მიმართვაზე.

— თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ. ვფიქრობ, ოფიციალურ თანხას, რომელიც ხაზინაში შევიდა, ბიჭებმა დაამატეს კიდევ სამიოდე მილიონი, ბუნებრივია, ქეშის სახით. სწორედ ეს მილიონები გადანაწილდა ჩინოვნიკთა ჯიბეებში. ბანკს ასეთი თანხის ქეშად დადება არ შეუძლია. ამიტომაც იგი სქემაში მეორე ნომრად ჩასვეს. მარტივი და ელეგანტური მაქინაციაა, განსაკუთრებით, როცა ყველას ესმის ერთმანეთის. სწორედ ამ მიზეზით მიაზრძანეს უცხოელები. მათ ხომ ამ წინადადებას ვერაფრით ვერ მოახვევდნენ თავს.

— აი, თურმე რა! მდიდარი ფანტაზია გქონია.

— თავად განსაჯეთ, — თავაზიანად ვუხსნი, — ბანკირები, შეშლილები თუ არ არიან, საეჭვო საქონელში 10 მილიონს არ გაიღებენ. შემფასებელ კომისიას შექმნიან, დამოუკიდებელ აუდიტორს ჩააბამენ, დოკუმენტების პაკეტს შექმნიან. სხვაგვარად არ ხდება. მით უმეტეს 10 მილიონია კონში ჩადებული. თორემ, რას იტყვიან ბანკის კლიენტები, იგივე აქციონერები და დამფუძნებლები, ბოლოსდაბოლოს ეროვნული ბანკი. ვინ მოისურვებს მათთან საქმე იქონიოს, თუ ისინი მილიონებს ქარს ატანენ? ბანკის რეპუტაცია შეილახება. ეს კატასტროფაა. არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ზემოხსენებული კომპანია „უორვიქშირი“ დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი სახელი გარიგებასთან დაკავშირებით არ ეხსენებინათ. მით უმეტეს მფლობელთა სახელები.

— ეს მათი უფლებაა, — უხალისოდ გამოსცრა მინისტრმა, — ინფორმაცია კონფიდენციალურია.

— შესაძლოა, — ვეთანხმები მე, — მაგრამ, ამბობენ, რომ მარტო ამ სამსახურისთვის მან 50 000 დოლარი დადო...

— ბრიყვული ჭორია! კანონით, მათ უფლება აქვთ, ასეთი პირობა წამოეყენებინათ და სამინისტრო ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

— კიდევ ამბობენ, რომ ამ კომპანიას არის ამოფარებული საბაჟოსა და კომისიის უწინდელი შემადგენლობა.

— ისევ ჭორი და ბინძური ცილისწამება! — გაცხარდა მინისტრი.

— ძალიან კარგი, სწორედ ასე ჩავწეროთ, — ვრთავ დიქტოფონს — თბილისელებისათვის, კარგად მოგეხსენებათ, სულ ერთი ნამდვილად არ არის, სახელდობრ, ვინ დაეუფლა ასეთ თვალშისაცემ შენობას, არქიტექტურის ძეგლს, თანაც დედაქალაქის ცენტრის შუაგულში, მერე კი, ჯერ მელანი ქაღალდზე შეშრალიც არ იყო, რომ ამ შენობით რაღაც მეტად უცნაურად დაიწყეს მანიპულირება.

— მოიცადე, ნუღარ ჩაწერ, — შემაჩერა მინისტრმა, — მოდი ასე მოვიქცეთ, ბევრი რამ, რაც ახლა მომახსენე, ჩემამდე ოფიციალურად ჯერ არ მოსულა, ამიტომ ზოგი რამ უნდა დაზუსტდეს. ყველაფერს თვალს ვერ მიადევნებ, ჩვენ ხომ არაერთი ასეთი ობიექტი გვაქვს. იქნებ სადღაც შეცდნენ ჩემი თანამშრომლები. შეიძლება არც შემცდარან. ჩვენ შენს ინფორმაციას შევამოწმებთ, განვიხილავთ და უახლოეს დროში ოფიციალურად გიპასუხებთ. საერთოდ კი, თითოეული შენობის შესახებ თუ განმარტებები და ინტერვიუები ვარიგე, როდისღა ვაკეთო ნამდვილი საქმე. ვთქვათ, სისტემური რეფორმები? — ხელით მონიშნა მინისტრმა თავისი ამოცანების სიგრძე-სიგანე.

— ასე ხდება ყოველთვის, — გულწრფელად შევწუხდი მე, — დიდი საქმეები მუდამ შთანთქავს ხოლმე პატარებს. მაგრამ ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, თუ მივიჩნევდით, რომ ნებისმიერი დიდი საქმე მხოლოდ პატარ-პატარა კონკრეტული საქმეებისგან შედგება.

თანამოსაუბრე ყურადღებით მაკვირდება, თითქოს ჩემს მიერ შეთავაზებული „პატარა საქმეების თეორიის“ ვარიანტის გააზრებას ცდილობს, მერე კი უცბად მეკითხება: „ვინ არის თქვენი გაზეთის გამომცემელი?“

— კი მაგრამ, რა საერთო აქვს ამას ჩვენს საუბართან, — ავღელდი მე.

— იცის ჩემთან შენი ვიზიტის შესახებ?

— იგი მენდობა, — იხტიბარს არ ვიტეხ, — ჩვენი ურთიერთობა ნდობაზეა დამყარებული.

მაგრამ ვფიქრობ, რომ მრუდზე მისწრებს, მჯობნის, როგორც ჩანს, ვერ ვეღირსები ოფიციალურ პასუხს, ჩვენი მკითხველი კი — ობიექტურ ინფორმაციას. გული დამწყდა, ნაღვლი შემომაწვა. უცბად ვიგრძენი, როგორ ავიწიე ჰაერში და ჭერთან დავეკიდე. ქვემოთ მინისტრის კაბინეტი კი არა, ავის მომასწავებელი აზვირთებული ტალღები ეხეთქებიან ერთმანეთს. მინდა გავფრინდე, მაგრამ არ შემიძლია. თითქოს მინის ხაფანგში ვარ გამომწყვდეული...

და აქ, მადლობა უფალს, გამომეღვიძა. საძაგელ გუნებაზე დავდექი. დათრგუნულად ვგრძნობდი თავს. სიგარეტს მოვუკიდე, ღრმად ჩავისუნთქე და გავიფიქრე: „რამ დამასიზმრა ახლა რაღაც კომპანია „უორვიქშირი“, „თი ბი სი ბანკი“, საქინფორმი, შენობა, 10 მილიონი დოლარი, კორუფციული გარიგება“... ნამდვილი დეტექტივია, რა! ალბათ, ამ დაწყევლილი ქაფშიას ბრალია, ათასჯერ ვთქვი, რომ ღამით არასოდეს შევჭამდი ქაფშიას. მეორე მხრივ, კალმახსა და ზუთხს „ნავერტელე“ ჩემი შემოსავალი რომ ვერ გაწვდება“?

სიზმარი კი კვლავ თვალწინ მიდგას. ვგრძნობ, ასე იოლად ვერ დავაღწევ მას თავს. ალბათ, მართლა მომიწევს საგადასახადო ინსპექციაში წარაწრალება. იქ არაფერი ამდაგვარის ხსენებაც არ იქნება, მაგრამ გულს ხომ მაინც დავიმშვიდებ.

ქალაქის საგადასახადო ინსპექციაში მაძლევენ „სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს“, რომელსაც ამშვენებს კომპანია „უორვიქშირ ესთეით ლიმითედის“, „თი ბი სი ბანკის“, შპს „საქინფორმის“, 10 მილიონი დოლარი გირაოს და გირაოს შესახებ ხელშეკრულების დადების თარიღის — 29.08.2006 წ., ანუ შენობის შეძენიდან სულ რამდენიმე დღეში და მისი ნომერი 652771-1 და ა. შ. სიზმარი ზუსტად ამიხდა. „კი მაგრამ, ეს როგორ მოხდა, — გავიფიქრე, — თავად ქვეყნის პრეზიდენტმა ხომ არაერთხელ განაცხადა, რომ ხელისუფლების ზედა ეშელონებში კორუფციას ბოლო მოეღო. იქნებ, ეს სულაც არ არის ზედა ეშელონები და საშუალო თუ საშუალოზე დაბალი ეშელონები იჩენენ სიმკვირცხლეს და ჩალიჩობენ რისკის ფასად“.

კიდევ მახსოვს, ერთმა მინისტრმა, თანაც არა უბრალომ, არამედ სახელმწიფო მინისტრმა, საპრივატიზაციო ეპოპეის ახალი ეტაპის გახსნისას, ეფექტიანი რეკლამა გაუკეთა თავის კრედოს. „ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, სინდისის გარდა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაგვარწმუნა, რომ ჩინოვნიკების სინდისი ამიერიდან დანაშაულებრივი საქონელი აღარ იქნება და მაღალი ზნეობის სფეროებში ინავარდებს.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ახალი საპრივატიზაციო საქმეები, რომლებიც უფრო დახვეწილი, ეშმაკური და ხარჯიანი გახდა, მაინც იოლად აღწევენ ზეციურ სიმაღლეებს, სადაც დაფარფატებენ ზნეობრივად კრისტალური სუბსტანციები და მათ ყიდვა-გაყიდვის ცოდვიან ჭაობში უბიძგებენ.

იქნებ კიდეც ვცდებოდეთ შეფასებაში, მაგრამ რაც ხდებოდა და ხდება რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ბედკრული სარედაქციო შენობის გარშემო, სხვა დასკვნების გამოტანის საშუალებას არ გვიტოვებს.

დაახლოებით ასი კაცი, რომლებიც „უძველესის და ყველაზე სახელგანთქმულის“ წარმომადგენლები იყვნენ, უბრალოდ პანღურით გამოყარეს ქუჩაში, რათა სანუკვარი შენობა გაეთავისუფლებინათ. ამ ადამიანებს კი კუთვნილი ხელფასიც არ გადაუხადეს. ან როგორ უნდა გადაეხადათ, როდესაც საინფორმაციო სააგენტოს დირექციას უკვე შეჭმული ჰქონდა იგი ისე, როგორც სხვა დანარჩენი, თუმცა მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია არც მაშინ, არც მერე.

**ალბათ, მართლაც დროა, მხოლოდ ცხადში და არა სიზმარში, ეკონომიკური ბლოკის მინისტრებმა იკადრონ და განუმარტონ საზოგადოებას, რა ხდება ამ პატარა („სულ რაღაც“ 30-მილიონიანძ, მაგრამ არცთუ ჩვეულებრივ საქმესთან დაკავშირებით.**



**ამირან მგელაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების ეროვნული სააგენტო**

◎ SIC!

# უქართველებოდ?!

ლოგს. ღამით შუქი რომ აინთება, გული ეომიკვდება, მეზობლობით, სიყვარულით, თანადგომით გამორჩეული ჩემი რვასართულიანი შენობა საბოლოოდ ჩაბნელებულია. და განა მარტო ჩემს კორპუსში, მთელ ქვეყანაში ოჯახი არ არის, ერთი ან ორი წევრი უცხოეთში არ ჰყავდეს გადახვეწილი. ასეა, საქართველოში დღეს ხომ სტატისტიკა არ არსებობს, თუ რამდენია წასული, რამდენი დარჩა და გადასახვეწად კიდევ რამდენს ამზადებს ქვეყანას სარეველასავით მოდებული უმუშევრობა და სიდუხჭირე. ბინასაც დაუნანებლად ყიდიან, რომ გზის ფული იშოვონ.



მარტო საბერძნეთში, ისიც ისევე არალეგალურად, როგორც ჩემი მეზობელი ქალბატონი წავიდა, საზღვარზე გადასვლა 3 ათას ხუთასი ევრო ღირს. სამანს რომ გადახვალ, მერე ვილაა შენი პატრონი, რა გზით უნდა იშოვო სამუშაო? დაუდგე ვილაცას მონა-მოსამსახურედ? თუმცა აქ დარჩენილებიც მონები არ ვართ?!

აბა **გაიკითხეთ, ბენდუქიძის მიერ უნამუსოდ გაყიდულ ქარხნებში ან თუნდაც საზოგადოებრივ და საჯარო სამსახურებში რა უფლებებით სარგებლობენ მუშა-მოსამსახურეები!**

**კარგი დედის შვილი ხარ და, უკმაყოფილება გამოხატე! ეგრევე მოგისვრიან. რა ადამიანის უფლებები, რა კანონები, დღეს ქართველი კაცი საქართველოში ყველაზე უუფლებოა, დამცირებული და შეურაცხყოფილი.**

**ან სადღა არიან ოპოზიციური პარტიები, ერის მოჭირნახულენი, სამშობლოსთვის უანგაროდ რომ დაიხარჯებიან. განა ეგაა მამულიშვილობა, ჯიხურებს რომ დასდევენ? კი ბატონო, იმათი პატრონებიც საპატრონოა, უკანონობა უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ ქვეყანა რომ იცლება, ნუთუ ამისთვის ვიდექით ნოემბრის იმ ქარ-ყინულიან დღეებში პარლამენტის წინ, ნუთუ მეტის ღირსი არაა საქართველო?!**

**როდემდე, როდემდე, როდემდე? ვინღაა გამკითხავი?!**

**გივი ჯახუა**

◎ ინფორმაცია

## განათლების სამინისტრო ტენდერს აცხადებს

**საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტრო „პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად ტენდერს აცხადებს.**

**როგორც განათლების სამინისტროდან იტყობინებიან, ტენდერის შედეგად შეძენილი იქნება 426 კომპიუტერი, 61 პრინტერი, 249 უწყვეტი კვების წყარო, ციფრული პროექტორები, ციფრული ფოტოაპარატი და ვიდეო აპარატურა, სერვერი, 2 514 მაგიდა, 3 594 სკამი და სხვა.**

**განათლების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას განცხადებით, პროფესიული განათლება სისტემის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული კომპონენტია.**

**„წელს დასრულდება პროფესიული განათლების 11 ცენტრის სრული მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაცია. განახლებულ ცენტრებში ყოველწლიურად 4-დან 8 ათასამდე ახალგაზრდა და ზრდასრული ადამიანი მიიღებს პროფესიულ განათლებას“, — აღნიშნა ლომაიამ.**

**მისივე თქმით, 2007 წლის სექტემბრიდან კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი და განახლებული 11 პროფესიული ცენტრი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ამოქმედდება. მათ შორის - თბილისში, რუსთავში, ზუგდიდში, ქუთაისში, ახალციხეში, ქობულეთში, გურჯაანსა და მესტიაში.**

**ინტერპრესნიუსი**

## გამოქვეყნდა ტესტირების შედეგები

**დირექტორობის მსურველ კანდიდატებს შედეგების გაგება და საკუთარი ნამუშევრის ასლის ნახვა ეროვნული გამოცდების ვებგვერდზე, საძიებო სისტემის გრაფაში სახელის, გვარისა და პირადობის მოწმობის პირადი ნომრის მითითების შემდეგ, ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში შეუძლიათ.**

**ტესტირების ყველაზე მაღალი კონკურსი ხაშურში, ქუთაისში, თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ზუგდიდში გამოვლინდა. რეგიონებში, სადაც დირექტორობის კანდიდატი ვერ შეირჩა, კონკურსის მეორე რაუნდი შემოდგომისთვის ჩატარდება. კონკურსანტებს, ვინც მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა, გამოცდაზე მიღებული დადებითი შეფასება შეენახებათ და მომდევნო გამოცდაზე შესაბამისი გამოცდის ჩაბარება არ მოუწევთ.**

**ტესტირება ზოგად, პროფესიულ უნარებში, ფუნქციურ წერასა და სამართალში 5200-მდე კონკურსანტს ჩაუტარდა. მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად მათ თითო გამოცდაში 30%-ზე მეტი ქულა უნდა მოეგროვებინათ. კონკურსანტებს სააპელაციო განაცხადის შეტანა საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, შედეგების გამოცხადებიდან 5 დღის განმავლობაში შეუძლიათ.**

**ХО-ЭОВ-ЭНО**

# ეკონომიკა

● რუსთავი ქვეყნისათვის განსაკუთრებულად სტრატეგიული ქალაქია. ეს კარგად უწყოდა დიდმა მეფე დავით ალმაშენებელმა. სწორედ ამიტომ ჯერ ბოსტანქალაქი, ანუ საუფლისწულო, თბილისზე 15 წლით ადრე გაათავისუფლა თურქ-სელჩუკებისაგან



## ◉ ინფორმაცია

### აფხაზები არჩევნებისთვის საგანგებოდ ემზადებიან

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლება ოთხი მარტის ე.წ. საპარლამენტო არჩევნებისთვის საგანგებოდ ემზადება. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გალის რაიონში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა.

მისი თქმით, გალის რაიონში შეყვანილია დამატებითი ძალები. დაახლოებით 200-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში გადანაწილდა.

ამასთან, იგი არც ადასტურებს და არც უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ სოხუმში დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშისა და „ვიცე-პრეზიდენტ" რაულ ხაჯიმბას მომხრეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა.

თუმცა, კილანავა ადასტურებს, რომ მათ მომხრეებს შორის გარკვეული დაპირისპირება არსებობს.

მისივე ცნობით, ე.წ. საარჩევნო კომისიაში უკვე რეგისტრირებულია დეპუტატობის 115 კანდიდატი, ხოლო რამდენიმე კანდიდატმა თავისი კანდიდატურა უკვე მოხსნა.

ინტერპრესნიუსი

### ბაღაფში მოჯაჯირების შთამომავლებს ეპატიჟება

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ აფხაზეთის „მთავრობა" თურქეთში გადასახლებული მოჯაჯირების შთამომავლების აფხაზეთში დაბრუნების საკითხზე მუშაობის შეწყვეტას არ აპირებს.

„ჩვენ ვაგებთ ახალ გზებს, ვალამაზებთ ქალაქებს და ამას ყოველივეს იმ მოქალაქეთათვის ვაკეთებთ, რომლებმაც თავისუფალ აფხაზეთში უნდა იცხოვრონ. ამიტომაც ჩვენი ძმები აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში", — აცხადებს სერგეი ბაღაფში და აფხაზურ საზოგადოებას თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

„მათ უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ ისინი გვჭირდება. თურქეთში ვიზიტისას ამ საკითხს მათ წინაშე აუცილებლად დავაყენებ", — ამბობს სერგეი ბაღაფში და დასძენს, რომ მიმდინარე წელს აფხაზეთის „სახელმწიფო ბიუჯეტში" რეპატრიანტთა დასახმარებლად 1 მილიონი აშშ დოლარი გამოიყოფა.

„ამ თანხას სამშობლოში დაბრუნებული მოჯაჯირების შთამომავლები საცხოვრებელი სახლების შესაძენად და სხვა საჭიროებისამებრ გამოიყენებენ", — აცხადებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი.

### ხაჯიმბა არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშსა და ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შორის უთანხმოება გუშინ გამთენიისას სოხუმის ცენტრში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომელიც 4 მარტს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

ცნობილი ხდება, რომ რაულ ხაჯიმბას მომხრეებმა კანდიდატურები მოხსნეს და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში სულ 35 დეპუტატის ადგილია. ბაღაფშის სურვილია, რომ 35-ვე იყოს მისი მომხრე.

ამასთან დაკავშირებით გუშინ ზუგდიდში ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი თორნიკე კილანავამ სპეციალური ბრიფინგი გამართა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ მხარე

*ამ ათიოდე წლის წინათ ჩემი მეგობარი მერაბ ზამბახიძე, რომელსაც გარდაბანში სოფლის მეურნეობა ებარა, კოლეგებთან ერთად ისრაელში მიიწვიეს ერთთვიანი მივლინებით, გამოცდილების გასაზიარებლად. რა თქმა უნდა, ეს ჰუმანიტარული თანადგომა იყო ებრაელების მხრიდან. მთელი ხარჯები მათ გაიღეს. იმხანად კიდევ რამდენიმე ჯგუფი გაემგზავრა საქართველოდან.*

*იქიდან უამრავი კონსპექტითა და მდიდარი შთაბეჭდილებით დაბრუნებულმა ძმაკაცმა, აღტაცებას რომ ვერ მალავდა, გულისტკივილით მითხრა, ისრაელს მარტო ქვემო ქართლი რომ მისცა, მთელს ევროპას შეინახავდაო. ის დიდი ენთუზიაზმით კიდევაც ცდილობდა იქაური გამოცდილების რეალიზებას, მაგრამ ვინ აცალა: პრეზიდენტმა შევარდნაძემ მაშინ ქარხნები გამდიდრების მანიით შეპყრობილ დირექტორებს მიუგდო საჯიჯგნად, მეურნეობები — გუბერნატორებს, ათწლობით ნაფერები სოფლები — რწმუნებულებს და გაანადგურეს კიდევაც. არადა, ისრაელის მოუსავლიან მიწებზე ჩვენებური მეურნეობის მსგავსი ტიპუცები შეუქმნიათ, ბოსტნეულის თითოეულ ძირს წვეთ-წვეთი წყლით კვებავენ თურმე და მოსავალი ისეთი მოჰყავთ, დაიწუნება კი არა, ბევრ ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანას შეშურდება.*

*გარდაბანსა და მარნეულში კი ორი-სამი მოსავალი ლამის თავისით მოდის, მაგრამ...*

*რა თქმა უნდა, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულთან ზურაბ მელიქიშვილთან საუბარი მაინც რუსთავით დავიწყეთ, ქალაქით, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თავისი მძლავრი ინდუსტრიით იწონებდა თავს, არათუ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მის ფარგლებს გარეთაც სახელი გაუთქვა ქართულ ფოლადს, აწარმოებდა მილებს, ამწეპროდუქციას, ქიმიურ ნაწარმს, ყვაოდა და თავს იწონებდა თავისი შემოქმედი ადამიანებით, საინჟინრო ინტელექტით, მაღალი პროფესიონალიზმით, მედიცინით.*

# დაიბრუნებს რუსთავი მეორე ინდუსტრიული ცენტრის ფუნქციას?

**—შევარდნაძის ხელისუფლებამ რუსთავი, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, მედროვეებს, მეჯართეებს, ვიგინდარებს მიუგდო. ანგრევდნენ, ნაკუწ-ნაკუწ ანაწილებდნენ, ყიდდნენ და სასწაულად იმდენი მაინც გადარჩა, თუ ამიერიდან გონივრულად მოვიხმართ, ნახევარ საქართველოს შეინახავს.**

— მეტალურგიული ქარხანა, სს „აზოტი", ეს დიდი პოტენციალია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის და ხელისუფლება პრიორიტეტად მიიჩნევს მათ ამოქმედებას, — გვეუბნება **ზურაბ მელიქიშვილი,** — ყველასათვის ცნობილია, რომ მეტალურგიაში მოვიდა ახალი ინვესტორი და გარწმუნებთ, მისი სახით ქარხანას უნარიანი პატრონი გამოუჩნდა. ამდენად, სრული ციკლიდან უკვე მოქმედებენ მილსაგლინავი და მილამდიდავი საამქროები, დაიწყეს ცემენტის წარმოება და არ წყდება სხვა საამქროთა აღდგენითი სამუშაოები. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს წვრილსორტული საამქროს რეკონსტრუქცია, რომელიც უახლოეს ორ თვეში დაიწყებს სხვადასხვა დეფიციტური სამშენებლო მასალის, ძირითადად არმატურის წარმოებას. არც ისე შორეულ პერსპექტივად დაგვისახეს ელექტროფოლადსადნობი ღუმელის შემოტანა და მისი მონტაჟის დაწყება. მეტალურგიულ ქარხანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი ფოლადი, რომ ღირსეული კონკურენცია გასწიოს მსოფლიო ბაზარზე. და ეს მოხდება არაუგვიანეს 2008 წლისა. ამავე პერიოდში ქარხანას უკვე ეყოლება ხუთიდან ექვსი ათასამდე მუშა-მოსამსახურე.

ასევე დიდი ღონისძიებები ხორციელდება „აზოტში". იქაც მიმდინარეობს იმ წარმოებების რეაბილიტაცია, რომლებიც წლობით უქმად იდგნენ და იძარცვებოდნენ.

**— „აზოტი" გაზის უდიდესი მომხმარებელია. ხომ არ შეექმნა პრობლემები რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი გამწვავებული ურთიერთობების გამო?**

—სახელმწიფომ თავიდანვე გაითვალისწინა მოსალოდნელი პრობლემა. ჩვენთვის მთავარია, სოფლის მეურნეობას არ მოაკლდეს აზოტოვანი სასუქები. ამასთან, სამი ათასამდე ადამიანის უმუშევრად დატოვებაც არ ეგებოდა და ხელისუფლებამ თანადგომა აღმოუჩინა კოლექტივს.

არის კიდევ უფრო დიდი პერსპექტივაც. რუსთავის სამრეწველო პოტენციალით სულ უფრო და უფრო ინტერესდებიან ინვესტორები. ჩვენ თანამშრომლობას გვთავაზობს 6 მსხვილი კომპანია, თუმცა ჯერ არ მინდა, მათი ვინაობა და საქმიანობა დავაკონკრეტო. ერთს ვიტყვი, ახლო მომავალში ქალაქს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი რამდენიმე საწარმო შეემატება. აქ მთავარია ადამიანთა დასაქმება. ჩვენ გვყავანან უდიდესი პროფესიონალიზმის მქონე ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-მოსამსახურეები. ასე რომ, რუსთავი დაიბრუნებს თავის მდიდარ ტრადიციას.

**—დრო ჩქარა გადის, იშვიათი სპეციალობის კადრები, რომელთაც უდიდესი სკოლა გაიარეს, საუბარია მეტალურგებზე, ბოლო თხუთმეტი წელია, კარგავენ თავიანთ ფუნქციას. ზოგმა ბაზარს მიაშურა, ზოგიც წავიდა ამ ქვეყნიდან...**

—თვით მეტალურგები დაინტერესდნენ ამ საქმით. მათ საკუთარი რესურს-ცენტრი შექმნეს. ქალაქში არსებული ტექ-სასწავლებლები აქტიურად ჩაებნენ პროფესიათა შენარჩუნების საქმეში და, უნდა გითხრათ, ახალგაზრდებიც დაინტერესდნენ, სიამოვნებით სწავლობენ იშვიათ სპეციალობებს. ჩვენ არ დავკარგავთ არც ერთ პროფესიონალს. ვეტერანებს კი საშუალება მიეცემათ, გამოცდილება გაუზიარონ ახალგაზრდებს, შეასწავლონ და დარაზმონ მორიგი ცვლა.



აქვე მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლებამ თავიდანვე გამოყო პრიორიტეტები. ეს იყო გზების განახლება, ენერგეტიკული დარგის აღორძინება, კრიმინალური სამყაროს გავლენისაგან გათავისუფლება, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა. შედეგი ისაა, რომ ჩვენი ქვეყანა ახლა იმაზე ბევრად უფრო მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, ვიდრე ეს ოდესმე იყო.

**—ბატონო ზურაბ, ქვემო ქართლის 6 სასოფლო-სამეურნეო რაიონი თბილისის ბეღელი რომაა, ეს არახალია. აქ ორი-სამი მოსავლის აღება რომ შეიძლება წელიწადში, ესეც ყველა აქაურმა გლეხმა იცის. სამწუხარო კი ისაა, რომ ჩვენი ბაზარი გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციით. ქართველი კაცი უცხოურ კიტრსა და პომიდორს რომ მიირთმევს, ეს მართლაც სამარცხვინოა. მე მახსოვს მარტო გარდაბნის რაიონში 130 ათასი ტონა ბოსტნეული მოჰყავდათ, მარნეულიდან და ბოლნისიდან საადრეო კარტოფილით დატვირთული ვაგონები გადიოდა ქვეყნის გარეთ...**

— ისევე როგორც სამრეწველო საწარმოები, სოფლის მეურნეობაც დანგრეული დაგვხვდა. სამი წელი არც ისე დიდი დროა, ყველაფერი რომ მოასწრო. ჩვენ ახლა უკვე ვიწყებთ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში იქაურობისთვის დამახასიათებელი ტრადიციული დარგების აღორძინებას. დავიწყებთ მარნეულით. იქ გლეხების 60-70 პროცენტი ორიენტირებული იყო პომიდვრის წარმოებაზე, მაგრამ საკონსერვო ქარხანა, რომელიც ამ პროდუქციის ძირითადი შემსყიდველი გახლდათ, განადგურდა. დღეს აქ შემოსულია ქართულ-შვედური კომპანია და მოკლე დროში ქარხანა კვლავ მიიღებს გადასამუშავებლად წლის მოსავალს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 10 ათას ოჯახს გაუჩნდება დამატებითი შემოსავლის წყარო და, შესაბამისად, სტიმული, რომ აწარმოოს მეტი ბოსტნეული, ხოლო ქართული ბაზარი გაჯერდება ადგილობრივი წარმოებისა და მრავალმხრივი ასორტიმენტის ტომატ-პასტებით.

ჩვენ ვეპატიჟებით მეწარმეებს, მოდით, გამოიყენეთ ის მდიდარი რესურსები, რომლებიც რეგიონში არსებობს. გარდაბანში არის აქამდე უმოქმედო საკონსერვო ქარხანა, არადა, იქ დიდი პოტენციალია. ჩვენ მზად ვართ, შევუქმნათ მათ ყველა პირობა, რომ განავითარონ თავიანთი ბიზნესი. გაგვყავს გზები, ვქმნით უსაფრთხო სიტუაციას. ერთი სიტყვით, აკეთონ თავიანთი საქმე და, რაც მთავარია, დაასაქმონ ადამიანები.

დიდი პერსპექტივაა წალკასა და დმანისში მეცხოვრეობის განვითარებისთვის. წალკას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. მალე დავიწყებთ თბილისი-წალკის გზის მშენებლობას, რასაც მილიონები მოხმარდება. მთლიანად გამოცოცხლდება თეთრი წყარო და მისი მიმდებარე სოფლები.

ჩვენს რეგიონს არა მარტო სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, არამედ ტურიზმის განვითარების უდიდესი პერსპექტივაც აქვს. მაგალითისთვის, რად ღირს თუნდაც დმანისი და მისი ისტორიულ-არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობანი.

თეთრი წყარო სასმელი და სარწყავი წყლის უქონლობის გამო ლამის დაცარიელდა, მაგრამ ეს პრობლემა მალე მოეხსნება. თითქმის 22 სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. ჩვენ საამისო საშუალებები გამოვნახეთ.

**— ბატონო ზურაბ, საქართველო რომ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, ეს მსოფლიო ექსპერტებმა ხმამაღლა განაცხადეს. ჩვენი ქვეყანა მოიხსენიება იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც 2050 წლისთვის არსებობას შეწყვეტენ. ამ პროცესმა რუსთავშიც მწვავედ იჩინა თავი. მარტო იმ რვასართულიანი სახლიდან, რომელშიც მე ვცხოვრობ, 40-ზე მეტი კაცია წასული საზღვარგარეთ საშოვარზე, უმეტესობა კი ახალგაზრდები. წასვლისას ყიდიან საცხოვრებელ ბინებს და ამით უკან დასაბრუნებელ გზას სამუდამოდ იჭრიან. მათ ადგილს კი სხვები და რაც ყველაზე საგანგაშოა, უმეტესწილად უცხოტომელები იკავებენ. თუ ყოველივე ამ ტემპით გაგრძელდა, რუსთავი ალბათ კიდევ ერთი ავტონომიური წარმონაქმნის დედაქალაქი გახდება.**

—მე მესმის თქვენი, მაგრამ, მოდით, დავიწყოთ იქიდან, როგორი საქართველო გვერგო მემკვიდრეობით. რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როდესაც ჩვენ მოვედით? დანგრეული ეკონომიკა, განადგურებული ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა, კორუფცია, გაწუკითხაობა სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა სფეროში. ასობით ათასი ადამიანი სწორედ ამ მიზეზით წავიდა სხვა ქვეყნებში.

ჩვენ დავიწყეთ ნულიდან, გამოვყავით პრიორიტეტები და თანმიმდევრულად ვწყვეტთ ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს, რაც უსათუოდ შეაჩერებს ემიგრაციას. დღეს არ შემიძლია იმის თქმა, რომ მიზანს უკვე მივაღწიეთ, მაგრამ საგრძნობლად რომ მივუახლოვდით, ეს ცხადია.

დიდი იმედია ის, რომ მეტალურგია აღსდგება და 5 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდება. მალე გესაუბრებით მომავალ 6 ქარხანაზე, რომლებსაც დიდი პერსპექტივა ექნება. ის, რომ ჩვენ გამოგვიჩნდა საშუალება და ქვემო ქართლში თანამედროვე ტიპის 5 საავადმყოფო აშენდება, მათ შორის რუსთავში რეგიონალური საავადმყოფო, მისასალმებელი არაა? ერთ ფაქტსაც დაგისახელებთ: 2003 წელს, როდესაც მე პირველად გავხდი რწმუნებული, ქვემო ქართლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 17 მლნ. ლარს. ერთი მილი რომ დაზიანებულიყო, იმის შეკეთების საშუალება არ გვქონდა, 16-ლარიანი პენსიები არ რიგდებოდა. დღეს რეგიონის ბიუჯეტი 77-78 მილიონს აღემატება და ამ ციფრის გაზრდას გამუდმებით ვეცდებით... ამ თანხით თუ რას გავაკეთებთ, ამის შესახებ წლის ბოლოს მოგახსენებთ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყველაფერს ვილონებთ იმისათვის, რომ არამცთუ გარბოდნენ ჩვენგან, პირიქით, უკან მოვიხმოთ სამშობლოს მონატრებული ჩვენიანები და ისინიც სიამოვნებით წამოვლენ, როცა მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლას დაინახავენ.

**—არადა, შესანიშნავი, უნიჭიერესი, ენერგიული, ყოველმხრივ შემკული ახალგაზრდა თაობა მოდის. თქვენ რომ მათ ეხმარებით, ესეც ცნობილია ჩემთვის. ჩემთან მოვიდნენ ახალგაზრდა შემოქმედთა ერთი ჯგუფის წევრები, რომლებსაც დაეხმარეთ რუსთავში ახალგაზრდული ცენტრის შექმნაში.**

—მართლაც საინტერესო იდეა შემოგვთავაზეს და მალე გაცხადდება მათი ჩანაფიქრი. მე მათთვის ყველაფერს გავაკეთებ. ახალგაზრდობაზე, მათ მომავალზე, პერსპექტივაზე ზრუნვა ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

**პრეზიდენტის რწმუნებულმა კიდევ ბევრი საინტერესო რამ გვითხრა თავის სამომავლო გეგმებზე, მაგრამ ერთ საგაზეთო ინტერვიუში მათ ვერაფრით ჩავტევთ. ამიტომ საუბარიც აქ შევწყვიტეთ. ხომ გაგიგონიათ, წინწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და დანარჩენიც იმ დროისათვის გადავდოთ.**

**გივი ჯახუა**

*P. S. და ბოლოს, რუსთავი ქვეყნისათვის განსაკუთრებულად სტრატეგიული ქალაქია. ეს კარგად უწყოდა დიდმა მეფე დავით ალმაშენებელმა. სწორედ ამიტომ ჯერ ბოსტანქალაქი, ანუ საუფლისწულო, თბილისზე 15 წლით ადრე გაათავისუფლა თურქ-სელჩუკებისაგან. მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ძალიან შორიდან განჭვრიტა იოსებ სტალინმა. ჯერ კიდევ გაგანია ომის დროს, სწორედ ამ ნაქალაქარზე, რომლის შესახებ საქართველოში თითქმის არავინ უწყოდა, დაბეჯითებით მოითხოვა მეტალურგიული ქარხნის აშენება. დიახ, ეს სტალინმა გააკეთა, თორემ რუსებმა ქვეყანა დაგვინგრიეს და ქალაქს რომ არ აგვიშენებდნენ, ამას რაღა თქმა უნდა. ამიტომაც ხელისუფლებამ განსაკუთრებით უნდა იზრუნოს რუსთავზე.*

*გ. ჯ.*

**იმ დღეს ზეთისხილის კორომს შევაფარეთ თავი, სადაც გლეხმა ბერიკაცმა ღვინო მოგვართვა. ესპანელთ ჩვეულებად მოსდევთ ყოველგვარ ამინდში ღვინის სმა, ასე რომ, ვერც გაგანია სიცხე უშლით ხელს — უკვე არა ერთი და ორი საუკუნეა, რაც ამ წესსა და რიგს ულალატოდ იცავენ**



## ჩვენი ბიბლიოთეკა

თითო ფინჯანი შავი ყავა დავლიეთ, ზეითუნიანი პური მივაყოლეთ და გზას გავუდექით. მივხვდი, რომ რონსევალი პატარა მივარდნილი ქალაქი არ იყო, როგორც თავდაპირველად მეგონა: იმხანად, როცა სანტიაგო-დე-კომპოსტელას უამრავი ლოცვადმავალი მიაწყდა, იქ, რონსევალში, იდგა იმ მხარეში ყველაზე უფრო დიდი მონასტერი, რომელიც მიწებს თვით ნავარის საზღვრამდე ფლობდა. ამის კვალი დღევანდლამდეა შემორჩენილი — აქა-იქ კიდევ შეხვდებით სახლებს, ადრე სამონასტრო სავანეს რომ ეკუთვნოდა. ერთადერთი „საერო“ ნაგებობა ტავერნა იყო, სადაც ღამე გავატარეთ.

ნისლში სამონასტრო ეკლესიამდე მივედით. შევედით. რამდენიმე თეთრსპეტაკად მოსილი მონაზონი მოვიხილეთ. ისინი დილის პირველ მესას ასრულებდნენ. გაგებით არც ერთი სიტყვა არ გამეგებოდა, რამეთუ ისინი ბასკურად ლოცულობდნენ. პეტრუსი მერხზე ჩამოჯდა და თავის გვერდით დაჯდომა მთხოვა.

ეკლესია თავისი სიგანე-სიმაღლით უზარმაზარი იყო და იქ გამოფენილ ხელოვნების ფასდაუდებელ ნაწარმოებთ თვლა არა ჰქონდა. პეტრუსმა ჩურჩულით მითხრა, რომ ეს საუფლო სახლი პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მეფეთა და დედოფალთა შემოწირულობით აეშენებინათ, ხოლო ადგილი ასაშენებლად ოდესღაც თვით კარლ დიდს შეერჩია. მთავარ საკურთხეველთან რონსევალელ ყოვლად წმინდა ქალწულს — რომლის ხატი ვერცხლისგან იყო ჩამოსხმული, სახე კი კეთილშობილი ჯიშის ხეთაგან გამოეკვეთათ — ხელთ სპეკალთაგან ქმნილი ყვავილებით დამშვენებული რტო ეჭირა. საკმლის სურნელმა თუ კილამონმა, დიდებულმა გოთიკამ და მლოცველთა გუნდმა ისეთ მდგომარეობაში ჩამაგდო, ადრე ტრადიციის რიტუალთა შესრულებისას რომ განვიცდიდი ხოლმე.

— მოგვი სადღაა? — მოვიკითხე, პეტრუსის მიერ წინადღეს ნათქვამი რომ გამახსენდა.

მან უსიტყვოდ წამისყოფით მიმანიშნა ერთ ხეხელა, შუახნის სათვალიან მონაზონზე, რომელიც მთავარ საკურთხეველს გარშემოვლებულ გრძელ მერხზე სხვებთან ერთად იჯდა. ნუთუ შესაძლებელია: ბერი ერთჟამიერად მოგვიც იყოს? ძალიან მინდოდა, რომ ეს მესა რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, მაგრამ პეტრუსმა ხომ მითხრა, დროის დინებას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ განვსაზღვრავთო, და ჩემი გულის მღრღნელი მოუთმენლობის წყალობით მსახურება ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

როცა ბოლოსა და ბოლოს უკანასკნელი სიტყვები მიწყდა, პეტრუსმა მერხზე მიმატოვა და თვითონ მონაზონთა კვალდაკვალ უკანა კარით გავიდა. ვათვალიერებდი ტაძრის ბრწყინვალე მორთულ-მოკაზმულობას და მესმოდა, რომ უნდა მელოცა, მაგრამ ლიტონი სიტყვით ღვთის მოწოდებას ვერა და ვერ ვახერხებდი. მთელი გულისყური ვერაფერზე ვერ გადამქონდა: წმინდანთა გამოსახულებანი იმ უსასრულოდ შორეულ დროებათა კუთვნილებად მეჩვენებოდნენ, რომელი დროებანიც ჩავლილია და აღარცროდის აღარ დაბრუნდებიან, როგორც რომ კვლავ აღარცროდის აღარ დადგება სანტიაგოს გზის ოქროს საუკუნე.

პეტრუსი კარებში გამოჩნდა და უსიტყვოდ მიმიხმო.

მონასტრის შიდა ბაღში შევედით. შუაში შადრევანი იდგა, ქვის ფიალის ქიმზე ჩამომჯდარი გვიცდიდა სათვალიანი მონაზონი.

— მამაო ჰავიერ, ეს ის პილიგრიმია, რომელზეც გელაპარაკეთ, — წარმადგინა პეტრუსმა.

მონაზონმა ხელი გამომიწოდა; მივემშვიდობეთ ერთმანეთს, და გავჩუმდით. ველოდებოდი, ცოტაც და, რაღაცა მოხდება-მეთქი, მარტო მამლების ყივილი და ხანაც იმ ქორ-ბურაულთა კიპკიპი ისმოდა, ყოველდღიური ნადირობისთვის გასაფრენად რომ ემზადებოდნენ. მონაზონი გაუგებარი გამომეტყველებით შემომცქეროდა — დაახლოებით ისევე, როგორც მადამ დებრილი, როცა ძველი სიტყვა წარმოვთქვი, — და, ბოლოს, მაინც პირველმა დაარღვია ხანიერი და შემღონებელი დუმილი:

— ვგონებ, ძვირფასო, ცოტა არ იყოს, ადრე დაგიწყია ტრადიციის საფეხურთა ავლა.

უკვე ოცდათვრამეტი წლისა ვარ და სუყველა ორდალია* პატიოსნად გამოვიარე-მეთქი, მივუგე.

— სუყველა, ოღონდ ერთის გამოკლებით — უკანასკნელისა და ყოვლის უფრო მნიშვნელოვნის გარდა, — წართქვა მან, და ისევ ისე გულგრილად მიმზერდა. — უიმისოდ კი, რაც რამ გისწავლია, არცრად არა ღირს.

— მაგიტომაც ვადგივარ სანტიაგოს გზას.

— ეგ არცრის საწინდარია. გამომყევით.

პეტრუსი ბაღში დარჩა, მე კი მამა ჰავიერს ავედევნე. რამდენიმე დახურული ტალანი რომ გავიარეთ და გვერდი ავუქციეთ იმ ტაგრუცს, სადაც მეფე სანჩო მძლავრის ნეშტი ესვენა, ერთ მცირე საჟამნოში მოვხვდით, რომელიც რონსევალის მონასტრის ძირითად შენობათაგან რამდენადმე მოშორებით იდგა.

შიგ არცრა იყო, ერთი მაგიდის გარდა, რომელზედაც წიგნი და მახვილი ეწყო. მაგრამ ის ჩემი მახვილი არ ყოფილა.

მონაზონი მაგიდას მიუჯდა, ჩემთვის დაჯდომა არ შემოუთავაზებია. მერე ერთი ბლუჯა რაღაც ბალახი მოივარგა და ცეცხლი წაუკიდა, საჟამნო კვამლის მსუბუქმა სურნელმა მოიცვა. წამისწამ მომხდარი სულ უფრო და უფრო მახსენებდა მადამ დებრილთან შეხვედრას.

— უწინარესად უნდა გაგაფრთხილოთ, — წართქვა მამა ჰავიერმა. — წმინდა იაკობის გზა ოთხთაგან მხოლოდ ერთია. ეს ყვავის გზაა. თქვენთვის ძლიერების მომნიჭებელი კია, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარი არ არის.

— დანარჩენი სამი რომელიღაა?

— ორი მაინც ცნობილია თქვენთვის. პირველი იერუსალიმის, ანუ გულის, გრაალის გზაა: ის სასწაულთა ქმნის უნარს განიჭებს. მეორე რომის, ანუ ჯვრის გზა სხვა სოფელ-ქვეყნებთან ურთიერთობას გასწავლის.

ერთი აგურიღა გვაკლია, და ბანქოს დასტაც მთლიანად შეივსებოდა-მეთქი, — გავიხუმრე.

— მართალი ბრძანდებით, — გაიცინა მამა ჰავიერმა. — ეგ საიდუმლო გზაა. თუკი ოდესმე მოგიხდათ მაგ გზით სიარული, კრინტი არ უნდა დაძრათ, ვალდებული ხართ. ჯერ მაგას თავი დავანებოთ. სად არის თქვენი ნიჟარები?

ტავარჯუხი გავხსენი და ვიზიტაციის ღვთისმშობლის ხატიანი ნიჟარები ამოვიღე. მონაზონმა ისინი მაგიდაზე დააწყო, ხელები ზედ მიმოატარა, ნებისყოფა სრულად დაძაბა და, შენც ეგევე გაიმეორეო, მთხოვა. კეთილსურნელება სულ უფრო მძაფრდებოდა, თვალები გახელილი გვქონდა. და უცებ შევამჩნიე, რომ ზუსტად იგივე მოვლენა ხდებოდა, რაც იტატიაიაში* — სამივე ნიჟარაში შუქი ჩადგა, რომელიც არცრას არ ასინათებდა. მამა ჰავიერის ხორხიდან ამოსულმა ხმამ წართქვა:

— სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქ იქნება.

ეს იყო ფრაზა ბიბლიიდან. ხმა კი განაგრძობდა:




— ხოლო სადაც გულია, ქრისტეს მეორედ მოსვლის აკვანიც აქ იქნება. ვითარცა ეს ნიჟარები, ლოცვადმავალიც მხოლოდ და მხოლოდ გარსია. ოდეს გარსი გაიხევა, რაც ცხოვრების ზედა ფენაა, თავად ცხოვრება გამოჩნდება, რაც აგაპესგან* შედგება.

როგორც კი მონაზონმა ხელები მოაშორა, ნათება გაქრა. მერე ჩემი სახელი, მაგიდაზე რომ წიგნი იდო, იქ ჩაწერა. მთელ სანტიაგოს გზაზე ჩემი სახელი სამად სამჯერ დაინუსხა — მადამ დებრილის წიგნში, მამა ჰავიერის წიგნში და — უკვე მერე — ძლევამოსილების წიგნში ჩემივე ხელით.

— მორჩა და გათავდა, — ჩაილაპარაკა მონაზონმა. — გზა ხსნილი გაქვს. ყოვლადწმინდა ქალწულმა რონსევალელმა და წმინდა იაკობმა დაგლოცონ.

— სანტიაგოს გზა მთელ ესპანეთში ყვითლად არის აღნიშნული, — წართქვა მან, როცა ისევ იქ მივბრუნდით, სადაც პეტრუსი გველოდა. — უკეთუ გზა აგებნეთ, ამ ნიშანთ დაუწყეთ ძებნა — ხეებზე, ქვებზე, გზის მაჩვენებლებზე, — გიწაღმართებენ, სწორ გეზს გაპოვნინებენ.

— ეგ არ მაშინებს, კარგი ყოლაუზი მყავს.

— ეცადე, რომ უწინარესად საკუთარი თავის იმედი გქონდეს. მაშინ, ალბათ, აღარ მოგიხდება ექვსი დღე ზედიზედ პირენეებში ტრიალი.

ჩანს, პეტრუსს უკვე ეთქვა ჩემი დაუდევრობის ამბავი.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს, და ჩვენ ჩვენს გზას დავემწყემსეთ. რონსევალიდან რომ გამოვდიოდით, ნისლი უკვე მთლად გაიფანტა. თვალწინ ლარივით სწორი გზა გადაგვეჭიმა, და ყვითელ ნიშანთ დავუწყე ძებნა, რომელთა შესახებაც პადრე ჰავიერმა გაიხსენა. ტავარჯუხს დამძიმება შევატყვე — მართალია, პეტრუსმა დამიშალა, არ გინდაო, მაგრამ ტავერნაში ერთი ბოთლი ღვინო მაინც ვიყიდე. რონსევალის შემდეგ მთელი ჩვენი გზის სიგრძეზე კიდევ ბევრი ქალაქი უნდა შეგვხვდეს, თუმცა ჭერქვეშ ძილი თითქმის აღარსად არ მომიწევს.

— პეტრუს, რატომ იყო, რომ პადრე ჰავიერი ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეს მოსვლა ახლა ხდებოდეს?

— ეგრეა, ეგრე. ეგ მუდამ ხდება. ამაშია შენი მახვილის საიდუმლოება.

— და კიდევ... მგონი, მოგვს შეგახვედრებო, გრძნეულსაო, მითხარი, სინამდვილეში კი მონაზონს შევხვდი. რა აქვს საერთო კათოლიკურ ეკლესიასთან მაგიას?

პასუხად პეტრუსმა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

— ყველაფერი.

## სისასტიკე

— აგერ აქ, ამ ადგილას გაიგმირა სიყვარული, — თქვა გლეხმა ბერიკაცმა და თითი კლდის ძირას შეყუჟულ პატარა სალოცავისკენ გაიშვირა.

ხუთი დღე ზედიზედ მუხლი არ ჩაგვიხრია, გაჩერებით მხოლოდ იმის გულისთვის შევჩერდით, რათა ცოტა წაგვეხემსა და წაგვეძინა. პეტრუსი თავის ცხოვრებაზე ბევრს არას მიყვებოდა, უფრო მეტად ბრაზილიასა და ჩემს სამუშაოზე მეკითხებოდა. ხშირად მეუბნებოდა, რომ მოსწონდა ჩემი ქვეყანა, და კორკოვადოს მთაზე ხელებგაშლილი ქრისტე მაცხოვარი ბევრად უფრო ესათნოებოდა, ვინემ ჯვარცმულად გამოსახული. პეტრუსი ყველაფრის მიმართ იჩენდა გულისყურს, მაგრამ მეტადრე ბრაზილიელ დიაცთ უტრიალებდა, ესპანელი ქალებივით ლამაზები არიან თუ არაო, კითხულობდა ცნობისმოყვარეობააატანილი. სიცხე იმხანად მართლაც გაუსაძლისი დაიჭირა, და თითქმის სუყველა სახემს-სასაუზმესა და პატარა სოფელში, გზად სადაც კი ვჩერდებოდით, ხალხი ერთპირად გვალვას უჩიოდა. პაპანაქებისა გამო ესპანელებსავით ჩვენც სიესტის დაცვა დავიწყეთ და დღის ორი საათიდან ოთხამდე ვისვენებდით, როცა მზე ნამეტნავად აჭერდა.

იმ დღეს ზეთისხილის კორომს შევაფარეთ თავი, სადაც გლეხმა ბერიკაცმა ღვინო მოგვართვა. ესპანელთ ჩვეულებად მოსდევთ ყოველგვარ ამინდში ღვინის სმა, ასე რომ, ვერც გაგანია სიცხე უშლით ხელს — უკვე არა ერთი და ორი საუკუნეა, რაც ამ წესსა და რიგს ულალატოდ იცავენ.

— რა იგულისხმეთ, აქ სიყვარული გაიგმირაო, რომ თქვით? — დავეკითხე ბერიკაცს, რადგან მომეჩვენა, რომ ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი.

— მრავალი საუკუნის წინათ სანტიაგოს გზით ერთი ლოცვადმავალი პრინცესა, სახელ-გვარად ფელიცია აკვიტანელი, უკან რომ ბრუნდებოდა, უცაბედად ყველაფერს დაეუარა დედამიწის ზურგზე და საცხოვრებლად აქ დარჩენა გადაწყვიტა. აქ სიყვარული გაიგმირა-მეთქი, რომ ვთქვი, ის იყო, იმაზე ვთქვი — მთელი თავისი სიმდიდრე უქონელთ დაურიგა, თავად კი უმწეოთა მოვლა-პატრონობას მიჰყო ხელი.

პეტრუსი თითქოს გულგრილად კი იქცეოდა, ბერიკაცს ვითომ ყურს არ უგდებდა, მაგრამ, თუთუნს მოსაწევად რომ იმზადებდა, შევატყვე, რომ სმენად იყო ქცეული.

— და მაშინ პრინცესას მამამ თავისი ვაჟი, ჰერცოგი გილიერმო, გაგზავნა დის შინ წასაყვანად. ფელიციამ კი უარი სტკიცა, არ გამოგყვებიო. რაკი დაყოლიების იმედი გადაეწურა, გაშმაგებულმა ჰერცოგმა ლვიძლი და პირდაპირ ემაგ ეკლესიაში გაგმირა, აქედან რომ მოჩანს. ეგ ეკლესია კი ფელიციამ თავისი ხელით ააგო, რათა ადგილი ჰქონოდა, სადაც უპოვართ უწამლებდა და ღმერთს ლოცვას აღუვლენდა.

როცა ჰერცოგი გონს მოეგო და მიხვდა, რაც ჩაიდინა, ადგა და მოსანანიებლად რომში წავიდა პაპათან. პაპმა საკანონოდ, ანუ ცოდვის შესანანებელ გადასახადად, იმავე სანტიაგოს გზით წმინდა ადგილთა მოლოცვა განუწესა. და სწორედ მაშინ მოხდა ფრიად საგულისყურო რამ: ჰერცოგი უკვე უკან რომ ბრუნდებოდა, ზუსტად ამ ადგილას ანაზდად იგივე დაემართა, რაც ერთხელ იმის დას მოუვიდა. აქედან ფეხი აღარ მოუცვლია, ფელიციას აშენებულ მაგ ეკლესიაში დარჩა და მთელი სიცოცხლე ღარიბ-ღატაკთ შეეწეოდა.

— ეგ ნაცვალგების კანონია, — გაიცინა პეტრუსმა.

ბერიკაცმა ჩემს ეტიკს ვერ გაუგო, მაგრამ მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა. გზადაგზა ჩვენ არაერთხელ მოგვსვლია თეოლოგიური კამათი ღვთისა და ადამიანის ურთიერთობაზე. ტრადიციაში მუდამ არის უფალთან კავშირი, თუმც სულაც არა უბრალო-მეთქი, ჩემსაზე ვიდექი ხოლმე. უფლისკენ მიმავალ გზას არცრა საერთო არა აქვს სანტიაგოს გზით იმ ლოცვადმავლობასთან, — თავის მღვდლებ-მოგვებიანად, ბოშებ-ეშმაკებიანად და სასწაულმოქმედ წმინდანებიანად — რასაც ამჟამად ვასრულებთ-მეთქი, ვეუბნებოდი. მეჩვენებოდა, რომ ეს ყოველივე პრიმიტიული და ქრისტიანობასთან ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული იყო. გულს მაკლდა ის ხიბლი, ლაზათი და აღტყინება, ტრადიციის რიტუალთ რომ ახასიათებდა. პეტრუსი სულ იმის მტკიცებაში იყო, სანტიაგოს გზის მთავარი ღირსება სისადავეაო. ამ გზით სიარული სუყველას ფეხეწიფება, რამეთუ თავისი არსით გასაგებია სულაც არა დიდ სიბრძნეში გაწაფული ჩვეულებრივი ადამიანისთვის, და ამიტომაც მხოლოდ ასეთ გზას შეუძლია ჩვენი უფალთან მიყვანაო.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 32-37.

* ორდალია — შუა საუკუნეებში ბრალდებულის გამოცდა ცეცხლით, გახურებული შანთით და მდუღარე წყლით. ვინც წამებას გაუძლებდა, უდანაშაულოდ ჩათვლიდნენ. ცნება გაჩნდა წმინდა ტრიბუნალის, ანუ ინკვიზიციის ხანაში.

* იტატიაია — აგულიას ნეგრას (შავი ნემსების) მწვერვალის მეორე სახელწოდება (ბრაზილია).

* აგაპე — ანტიკური ცნებაა, მოყვასის სიყვარულს ნიშნავს. ბერძნულ ფილოსოფიაში განასხვავებდნენ „აგაპე“-ს ცნებას, როგორც მოყვასის საკეთილდღეოდ მიმართულ მოქმედ სიყვარულს, და „ეროს“-ის ცნებას, როგორც კმაყოფილების მომგვრელ ვნებიან სიყვარულს.

# ეკონომიკა

**სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს უმწეო მოსახლეობისათვის ტარიფის გარკვეული ნაწილის კომპენსაცია (სუბსიდირება) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალურად შექმნილი ფონდიდან**





## ინფორმაცია

### დაეხმარებიან კი დედოფლისწყაროელებს?

პარლამენტის წევრი მარიკა დათუაშვილი დედოფლისწყაროს მოსახლეობისთვის, მიწის გადასახადის გადაუხდელობის გამო, დაკისრებული საურავების ჩამოწერას ითხოვს.

როგორც დათუაშვილი განმარტავს, საქმე ეხება 2000 წლის მიწის გადასახადს. გვალვის გამო, 2000 წელი, დედოფლისწყაროში სტიქიური უბედურების წლად გამოცხადდა. შესაბამისად, პრეზიდენტის ბრძანებით, მოსახლეობა ამ წელს მიწის გადასახადისგან გათავისუფლდა.

მარიკა დათუაშვილის თქმით, წლების განმავლობაში დაგროვილმა საურავმა ძირითად თანხას გადააჭარბა, რის დაფარვაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

როგორც პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე [illegible] განმარტავს, კომიტეტი ამ საკითხზე მუშაობს, მთავრობის პოზიციაც ჩამოყალიბებულია და პრობლემა მალე მოგვარდება.

### საბაჟოზე სიტუაცია ვერ დარეგულირდება თუ...

ამერიკის სავაჭრო პალატის საბაჟო ექსპერტი გიორგი პერტაია მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მხრიდან საბაჟო დეპარტამენტის შეფის შეცვლა საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე სიტუაციას ვერ დაარეგულირებს თუ თავად სისტემა არ მოწესრიგდება.

გიორგი პერტაია საუბრისას განმარტავს, რომ საბაჟო პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით მეწარმეებს თავისებური ხედვა გააჩნიათ.

„პროცედურების გამარტივებით მეწარმეები არიან დაინტერესებულნი, თუმცა ამავე დროს მათ საბაჟო კონტროლის დაკარგვის ეშინიათ. მართალია ამას პირდაპირ არავინ აცხადებს, თუმცა საქმეში ჩახედული ადამიანისათვის ეს იოლად მისახვედრია. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მეთოდები, რომლითაც პროცედურები მარტივდება, მაგრამ არა საბაჟო კონტროლის შესუსტების ხარჯზე — მაგალითად რისკის მენეჯმენტის დაფუძნებით. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამჟამად საბაჟოზე მომუშავეთაგან ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისაც საერთოდ ესმის თუ რას ნიშნავს ეს“, — აცხადებს გიორგი პერტაია.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ თუ კი საბაჟო პროცედურები უფრო არ დაიხვეწება, მაშინ მეწარმეებისათვის სიტუაცია უფრო დამძიმდება ვიდრე ეს ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებამდე იყო.

ХИ-ЭЙ-ЭНИ

### კრედიტორები საპროტესტო აქციებს მართავენ

ჭიათურაში სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ კრედიტორები საპროტესტო აქციებს მართავენ. გამორიცხული არ არის, რომ მათ რკინიგზაც გადაკეტონ და ამით საწარმოს მუშაობაში ხელი შეუშალონ.

აქციის მონაწილეები სააქციო საზოგადოების ახალ მეპატრონეებსა და ხელისუფლებას იმ თანხებს სთხოვენ, რომელიც კრედიტორებს, როგორც დაზარალებულებს ეკუთვნით.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა დროს, „ჭიათურმანგანუმის“ მიერ წიაღისეულის მოპოვებისას 500-მდე კრედიტორს კარმიდამო დაუზიანდა. სახელმწიფომ მათი ვალი 15 წლის წინ აღიარა, რისთვისაც 15 მილიონი ლარი უნდა გამოყოფილიყო.

ამ დრომდე დაფარულია მხოლოდ 4 მილიონი ლარი. კრედიტორები დანარჩენი თანხის გადახდას ითხოვენ.

ინტერპრესნიუსი

## ჩვენ და ენერგეტიკა

*უცხოეთის ქვეყნების პროგრესული მთავრობები ბრმად არ იზიარებენ საბაზრო ეკონომიკის ფილოსოფიას, ისინი თავად აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნისა და ხალხისთვის ეკონომიურად და სოციალურად მომგებიანი პროგრამების განხორციელებაში. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ სწორი ფისკალური პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს ქვეყანაში ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, გარემოს დაცვასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.*

*მრავალ ქვეყანაში დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის სახელმწიფო გამოყოფს სუბსიდიებს ენერგოდამზოგი და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, კომერციალიზაციის დაჩქარების მიზნით კი ხშირად ფინანსდება ახალი ტექნოლოგიების სადემონსტრაციო პროექტები.*

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის გენადი მესხიას აზრით, ენერგოდაზოგვის ღონისძიებების მასშტაბური განხორციელებით შესაძლებელია საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება და უმწეო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. **ექსპერტთა შეფასებით ქვეყანაში შეიძლება 25-30 პროცენტი ელექტროენერგიის დაზოგვა, პიკის საათებში სიმძლავრის დეფიციტის შემცირება, ტარიფის მნიშვნელოვანი კომპენსაცია, გარემოს დაბინძურების, სამამულო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და სხვა.**

გენადი მესხიას მიაჩნია, რომ საქართველოს ენერგოსექტორში გატარებულმა არაპროგრესულმა რეფორმამ და სხვა ნეგატიურმა ფაქტორებმა გამოიწვიეს ელექტროენერგიის ტარიფის პერმანენტული ზრდა. ბოლო 9 წლის განმავლობაში ტარიფი გაიზარდა: თბილისში 300 პროცენტით, ხოლო რეგიონებში — 260 პროცენტით. ტარიფის ბოლო მასშტაბური გაზრდა, ბუნებრივია, უარყოფითად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე და მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე. ამ უკანასკნელების რაოდენობა ქვეყანაში მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტია, უმწეო ოჯახების 42 პროცენტის შემოსავლები საარსებო მინიმუმის 40-პროცენტიან ზღვარზე დაბალია და ისინი ფაქტობრივად, შიმშილობენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ელექტროენერგიაზე ყველაზე დიდი ტარიფი საქართველოშია.

საცალო ტარიფის გაზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გენერაციის და განაწილების ტარიფების კრებსითი მაჩვენებლების გაზრდამ. კერძოდ, 2006 წლის 15 ივნისიდან გენერაციის ტარიფი გაიზარდა 1,633 თეთრით ერთ კილოვატ/საათში ხოლო რეგიონებში — 3,612 თეთრით. ელექტროენერგიის ტარიფის ბოლო გაზრდა თბილისში 30 პროცენტით, ხოლო რეგიონებში 75 პროცენტით, გამოწვეული იყო ობიექტური და ხელოვნური მიზეზებით. ობიექტური — თბოელექტროსადგურების მიერ ძვირადღირებული ელექტროენერგიის წარმოება და ბუნებრივ გაზზე ფასის გაზრდა, გაზოტურბინების ამოქმედება და სს „რაო-თელასის“ მიერ აბონენტების გამრიცხველიანებაზე გაწეული ინვესტიციები. არაობიექტური — ენერგოობიექტების ტარიფების ხელოვნური გაზრდა მათი პრივატიზაციის ხელშეწყობის (მყიდველის დაინტერესების) მიზნით და სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებით 317,42 მილიონი დოლარით გაზრდის მოტივაციით. (ახალი მონაცემებით 427 მილიონი დოლარით).

ელექტროენერგიის ტარიფი თბილისში გაიზარდა ერთ კილოვატ/საათში 2,143 თეთრით, მასში ხელოვნურად მომატებული წილი შეადგენს 0.563 თეთრს, ხოლო რეგიონებში — 5,2 თეთრს, და მასში ხელოვნურად გაზრდილი წილი 4,2 თეთრია.

საექსპერტო შეფასებით კი ტარიფი საქართველოს რეგიონებში არ უნდა გაზრდილიყო 1,02-ზე, ხოლო თბილისში — 1,58 თეთრზე მეტად. **ამასთან, როგორც გენადი მესხია აცხადებს, მარტივი გათვლები ცხადყოფს, რომ სემეკმა ტარიფის ხელოვნური გაზრდით მომხმარებელი პოტენციურად დააზარალა წელიწადში 317,73 მილიონი ლარით.**

საქართველოში ტარიფის დადგენის ძირითადი ორიენტირები არის ინვესტიციების მოზიდვა და ენერგოობიექტების გასხვისებისათვის ხელშეწყობა, **მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე კი არავინ ზრუნავს. ასეთი სატარიფო პოლიტიკა უახლოეს მომავალში უარყოფით შედეგებს მოიტანს, ვინაიდან მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავლები გაცილებით ნაკლებია საარსებო მინიმუმზე. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში შემცირდება ელექტროენერგიის მოხმარება და გადამხდელთა რაოდენობა, გაიზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება და პროტესტი. ენერგოსექტორს კი მნიშვნელოვნად შეუმცირდება შემოსავალი,** — აცხადებს მესხია.

ტარიფის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ფასების ზრდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ცხოვრების ისედაც მძიმე პირობები, ხოლო ეროვნული პროდუქცია გაცილებით კონკურენტუნარო გახდა მსოფლიო ბაზარზე.

ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით ჩნდება გარკვეული კითხვები: **რამდენად გააუარესებს ყოველივე ქვეყანაში ცხოვრების დონეს? რამდენად დაზარალდება ქვეყნის ეკონომიკა? ქვეყნის ენერგეტიკული, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების არაეფექტიანმა მართვამ ხომ არ განაპირობა საქართველოს, როგორც ტარიფის ლიდერის „პოზიცია“ პოსტსაბჭოურ სივრცეში? როდის და რა ვადით მიიღებს ტარიფის გაზრდის კომპენსაციას უმწეო მოსახლეობა? როდემდე უნდა იხადოს მომხმარებელმა ელექტროენერგიის საფასური არაობიექტური-მძარცველური ტარიფით, რომლის დადგენის მოდელი კრიტიკას ვერ უძლებს? როდის დაიხვეწება ელექტროენერგიის ტარიფის დადგენის მეთოდოლოგია და განისაზღვრება სამომხმარებლო ტარიფის ოპტიმალური სიდიდე? ვინ აწარმოებს საქართველოში ენერგოსექტორის და სემეკის მონიტორინგს? ენერგოსექტორში არსებულ ხარვეზებზე და ნეგატიურ მოვლენებზე ვინ აგებს პასუხს?**

ამ კითხვებზე გენადი მესხია ასე პასუხობს:

საქართველოს „ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის სრულყოფით, ენერგოსისტემის ახალი, პროგრესული მოდელის დანერგვით, ელექტროენერგიის ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის დახვეწით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ენერგეტიკისა და ეკონომიკის დინამიკური განვითარება და მოსახლეობის რეალური სოციალური დაცვა.

**სამომხმარებლო ტარიფის დადგენის მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ იდეოლოგიას: ელექტროენერგიის საცალო ტარიფი კომპლექსური სიდიდეა, იგი სხვადასხვა პარამეტრსა და ფაქტორზეა დამოკიდებული და, ამიტომ, სისტემურად უნდა განისაზღვროს. ის უნდა ითვალისწინებდეს საცალო ტარიფის სიდიდეს, ერთ სულ მოსახლეზე (ან შინამეურნეზე) საშუალო თვიურ შემოსავალს, ქვეყანაში არსებულ საარსებო მინიმუმს, შინამეურნის მიერ თვიურ მოხმარებულ ნორმირებულ ელექტროენერგიის ოდენობასა და შინამეურნეების კატეგორიებს სულადობის მიხედვით (ერთ-კაციანი, 2-კაციანი,... 10-კაციანი და მეტი).**

ექსპერტების პროგნოზირებით, 2015-20 წწ. ქვეყნის ელექტრობალანსში თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილი მნიშვნელოვნად გაიზრდება, ამასთანეთუ გავითვალისწინებთ ბუნებრივი გაზის ფასის 2,14-ჯერ გაზრდას და სხვა ფაქტორებს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ყოველივე გაზრდის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს. თუ რამდენი იქნება იგი ქვეყანაში მოქმედი ხელოვნურად გაზრდილი ტარიფის სიდიდის რევიზიის შედეგების გათვალისწინებით, ცალკე კვლევის საგანია.

სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს უმწეო მოსახლეობისათვის ტარიფის გარკვეული ნაწილის კომპენსაცია (სუბსიდირება) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალურად შექმნილი ფონდიდან.

ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტმა დაავალა მთავრობას და სემეკს, გარდამავალ პერიოდში შეიმუშაონ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ტარიფის გაზრდის საკომპენსაციო ღონისძიებები. პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ეხმიანება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის №113/116 გადაწყვეტილებას — **„ეთხოვოს საქართველოს მთავრობას ელექტროენერგიის გარანტირებული, სტაბილური და გონივრული ღონისძიებები“.**

ამჟამად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარების სახსრებს მთავრობა და სემეკი ორი წყაროდან აპირებს: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიებით და ელექტროენერგიაზე პროგრესული გადასახადის დაწესებით.

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით დახმარება გაეწევა უმწეო მოსახლეობას. რა მოცულობით და რა პერიოდის განმავლობაში იქნება ეს დახმარება, ახლო მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ უდავოა, მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების ფონდის შესაძლებლობები მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული.

**შპს „როტორ-ლაითის“ მიერ დამუშავებული არაკომერციული პროექტი „ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის კომპენსაცია სოციალურად დაუცველი შინამეურნეობისთვის“ ეხმიანება მთავრობისთვის მიცემულ საქართველოს პრეზიდენტის დავალებას. პროექტის მიხედვით, თითოეულ სოციალურად დაუცველ შინამეურნეს უსასყიდლოდ გადაეცემა 15 ათასი საათის რესურსის მქონე ორ-ორი ცალი ენერგოდამზოგი ნათურა 2-წლიანი საგარანტიო მომსახურებით. ქვეყნის მასშტაბით 400 ათასი უმწეო ოჯახი 6 წლის განმავლობაში ყოველთვიურად საშუალოდ დაზოგავს 4,84-5,4 ლარს, რაც უზრუნველყოფს ტარიფის გაზრდის სრულ კომპენსაციას. მოსახლეობის ბიუჯეტის ჯამური დანაზოგი იქნება 167 მილიონი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის რეალიზაციით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიები 8-9-ჯერ უფრო ეფექტიანად იქნება გამოყენებული. ქვეყანაში ყოველწლიურად დაიზოგება 163,5 მილიონი კილოვატ/საათი ელექტროენერგია, პიკის საათებში 64 მეგავატით შემცირდება სიმძლავრის დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად განამტკიცებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას.**

„სამომხმარებლო ტარიფის გაზრდის კომპენსაციის“ პროექტის რეალიზაციით აბონენტი, რომელიც თვეში მოიხმარს 50 კილოვატ/საათ ელექტროენერგიას, მისთვის ტარიფის კომპენსაციის სიდიდე კილოვატ/საათზე 8,2 თეთრს შეადგენს. თუ მოიხმარს 100 კილოვატ/საათს, მაშინ ტარიფის კომპენსაციის სიდიდე იქნება 4,6 თეთრი, 200 კილოვატ/საათის მოხმარების შემთხვევაში — 2,7 თეთრი, 300 კილოვატ/საათის — 1,8 თეთრი, 400 კილოვატ/საათის — 1,5 თეთრი და ა.შ. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ პროექტის რეალიზაციით შესაძლებელია ტარიფის მნიშვნელოვანი კომპენსაცია. მიღებული ეფექტი მეტია მათთვის, ვინც ცოტა ელექტროენერგიას ხარჯავს, ეს კი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უმეტესი ნაწილია. უდავოა, რომ პროექტს სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ეფექტთან ერთად დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. **თითოეული შინამეურნე ყოველთვიურად საშუალოდ დაზოგავს: 50-100 კილოვატ/საათის ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში — 4,6 ლარს; 101-300 — 5,44 ლარს, ხოლო 300-ის ზევით მოხმარების შემთხვევაში — 6 ლარს;**

პროექტში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თვითდაფინანსების მექანიზმი. ამისათვის საჭიროა, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიები მოხმარდეს პროექტის სასტარტო ღირებულების დაფინანსებას, კერძოდ ენერგოდამზოგი ნათურების შესყიდვა-დარიგების ხარჯებს და სახელმწიფო გადასახადების, ასევე პროექტის რეალიზაციით, ძვირად ღირებულების დაფინანსებას, კერძოდ ენერგოდამზოგი ნათურების შესყიდვა-დარიგების ხარჯების და სახელმწიფო გადასახადების დაფარვას. **გარდა ამისა ძვირად ღირებული ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების შედეგად, წარმოების შეწონილ ტარიფში შექმნილი რეზერვით 2,5 წელიწადში მოხდება სახელმწიფოს მიერ გაღებული სუბსიდიების ბიუჯეტში დაბრუნება.** ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის რეალიზაციით ელექტროენერგიის ტარიფი მომხმარებლისათვის რჩება უცვლელი და, ბუნებრივია, არც ერთი მომხმარებელი არ დაზარალდება.

2006 წლის აგვისტოში, „სახალხო“ პროექტი ორგანიზაციული, სამართლებრივი და ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გადავეცით ენერგეტიკის მინისტრს ბატონ ნ. გილაურს და სემეკის თავმჯდომარეს ბატონ გ. თავაძეს. გასაკვირია მაგრამ პროექტს დღემდე ბლოკავენ. აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოებას უნდა განემარტოს: **რატომ არ შედის მთავრობის ინტერესებში ელექტროენერგიის დაზოგვა? პიკის საათებში სიმძლავრის დეფიციტის შემცირება? სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ტარიფის გაზრდის კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მინიმიზაციით ანდა ეფექტიანი გამოყენებით? რატომ არ ასრულებს მთავრობა სრულფასოვნად საქართველოს პრეზიდენტის დავალებას? რატომ ავიწყდება მთავრობას, რომ ის ხალხის მიერაა დაქირავებული და რომ მისი უმთავრესი მოვალეობაა მაქსიმალურად ეფექტურად შეაჯეროს სახელმწიფოს და მოსახლეობის ინტერესები? — ასეთია გენადი მესხიას პოზიცია.**

ესაუბრა

ოთარ ტურაბელიძე

## შუქის ცენტრი

**მთავრობა გადაწყვეტილებებს სახელმწიფოს და მოსახლეობის ინტერესების შეჯერებით უნდა იღებდეს!**



# დღევანდელობა

● სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, წარსულში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულ პირთან პირობითი მსჯავრის დადებით საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ შეიძლება. ხაშურელმა გამომძიებლებმა კი გელაშვილის შემთხვევაში უგულებელყვეს ეს მოთხოვნა



◎ ხელოვნება

## ისტორია ყველაფერს იმახსოვრებს

**26 თებერვალს თბილისში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთიანი ყარაბახის ქალაქ ხოჯალოში მომხდარი ტრაგედიის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენის ჩვენება „გენოციდი ხოჯალოში", რომელიც მოამზადა ჰეიდარ ალიევის სახელობის ფონდმა. აქვე გაიმართა აგრეთვე განთქმული აზერბაიჯანელი მხატვრის ფუად კაფარას ნაშრომების გამოფენა და ხოჯალოს ტრაგედიასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ კადრებზე აგებული ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიციის „მიწის კვნესა — ხოჯალოს" პრემიერა.**

1992 წლის 25-26 თებერვლის ღამეს სეპარატისტულმა სომხურმა სამხედრო ფორმირებებმა მთიან ყარაბახში მიწასთან გაასწორეს მთელი სოფელი. 2500 ადამიანი იძულებული იყო, გაქცეულიყო თავისი მშობლიური კუთხიდან ქალაქ აგდამის მიმართულებით (სადაც მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანელია), რათა თავი გადაერჩინა. თუმცა ვერ მოასწრეს — სეპარატისტულად განწყობილი სამხედრო ფორმირებები სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

აზერბაიჯანის ეროვნულმა კრებამ 26 თებერვალი გამოაცხადა ხოჯალოს გენოციდის დღედ. აზერბაიჯანის მოსახლეობა ყოველწლიურად სწორედ ამ დღეს 17 საათზე წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს ხოჯალოს მსხვერპლის ხსოვნას.



მარჯანიშვილის თეატრში გუშინწინდელი ღონისძიების ორგანიზატორი იყო აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში. სტუმართა შორის იყვნენ აზერბაიჯანული და ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსების — თურქეთის, ლიტვის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის ელჩები... საღამო გახსნა საქართველოში აზერბაიჯანის სრულუფლებიანმა ელჩმა ნამიგ ალიევმა. მან თქვა, რომ ხოჯალოს ტრაგედიის დამნაშავეები, მისი ორგანიზატორები და შემსრულებლები უნდა დაისაჯონ. არ უნდა არსებობდეს დაუსჯელი დანაშაული. XX საუკუნემ ბევრი სისხლიანი მოვლენა ნახა, ერთ-ერთია ხოჯალოს ტრაგედია. მაგრამ, ასე თუ ისე, ყველა დამნაშავე დაისჯება არა მარტო თავისი სინდისის, არამედ საერთაშორისო სამართლის წინაშეც.

ისტორია ყველაფერს იმახსოვრებს.

**ნინელი ფერაპონტოვა**



**სურათზე: ხოჯალოს ტრაგედიისადმი მიძღვნილი ექსპონატები.**

◎ მადლობა

## ფეხის მოკვეთას გადამარჩინეს

**ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ, მომცეთ საშუალება, თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მოვახსენო ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის მთელ მედპერსონალს, განსაკუთრებით კი ქირურგებს ივანე წულუკიძეს, ვიქტორ ზარქუას, ალექსანდრე ბეთანელს და სამედიცინო დას ქეთევან მელოშვილს.**

ორიოდ სიტყვით, რაც შემემთხვა.

მიწია საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლების სიმძიმემ. დიაგნოზით მარჯვენა ფეხი უნდა მოეკვეთათ. ზემოთ მოხსენიებულმა სპეციალისტებმა კი ვირტუოზულად გამიკეთეს საჩინო ვენის ოპერაცია და კვლავ მყარად ვდგავარ ორივე ფეხზე.

პროფესიონალიზმი-პროფესიონალიზმად, მაგრამ ამ სიდუხჭირეში იმდენი სითბო, ყურადღება, მზრუნველობა მივიღე მათგან, თავადაც არა მჯეროდა, რომ ოპერაციას უფასოდ მიტარებდნენ. ადამიანებო, მოყვასის სიყვარული სულიერი მდგომარეობაა. ჩემს გადამრჩენებს ღმერთმა უხვად უბოძა ეს მართლაც ღვთიური ნიჭი. მერწმუნეთ, იმ მოძველებულ, ალაგ-ალაგ მინგრეულ-მონგრეულ ჰოსპიტალში ისე გემსახურებიან და ისე გევლებიან თავს, უცხოურ კინოფილმებში რომ გვინახავს მხოლოდ.

აფერუმ, თქვენს ცოდნას და გულისხმიერებას, ჩემო ძვირფასნო!

**ნუგზარ მაისურაძე,**
**საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლების ვეტერანი**

◎ ინფორმაცია

## ახალი ლაბორატორია — გორში

**ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გორის რაიონის სოფელ სკრაში „ქართლის საცდელი საკონსულტაციო ცენტრის" მშენებლობა მიმდინარეობს.**

**საცდელ-საკონსულტაციო ცენტრის ლაბორატორიაში ნიადაგის ანალიზები გაკეთდება, განისაზღვრება ხილის ნაყოფში შაქრის ვიტამინების და სხვა ნივთიერებების შემცველობები. კვლევების ჩატარების შემდეგ, მცენარეებში მიმდინარე ბიოქიმიური ცვლილებები შეისწავლება.**

**მიმდინარე სამუშაოები 2006 წლის სექტემბერში დაიწყო და 2007 წლის აპრილში დასრულდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია ქარელის „სოფლმშენკომპლექსი" ასრულებს. ცენტრში მეტეოროლოგიური სადგური და კომპიუტერებით აღჭურვილი ლაბორატორია მოეწყობა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ მართლმსაჯულება

## ბინძური მეთოდებით „გახსნილი" საქმე

**ხაშურის პოლიციამ დააკავა რაინდი ლაბაძე, გიორგი ნებაძე, მამუკა შველიძე და ზაზა ზუმბაძე. მათ ბრალი წაუყენეს ახალციხესა და აწყურში მომხდარ რამდენიმე ყაჩაღურ თავდასხმაში ჯგუფურად მონაწილეობისათვის. როგორც ეჭვმიტანილთა დამცველები აცხადებენ, დაკავებულთათვის საქმის „აკიდების" ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ხაშურში ბოლო დროს ყაჩაღობების ფაქტებმა იმატა, საქმეებს კი ვერ ხსნიან, რის გამოც სამართალდამცველებს „ზემოდან" მკაცრად დაუქნიეს თითი.**

„ოთხეულთან" ვერავითარმა მეთოდმა ვერ გაჭრა. ისინი აღიარებით ჩვენებებს არ იძლეოდნენ. მაშინ პოლიციამ იერიში დაზარალებულებზე მიიტანა. ლომიძეს, რომელსაც საჩივარი ჰქონდა შეტანილი მისთვის მანქანის წართმევის თაობაზე, გამომძიებლებმა ოთხივე დაკავებულის სურათი დაუდეს და წინასწარი გამოძიების დროს, აიძულეს იგი „ამოეცნო" თავდამსხმელები. იმ მომენტში ლომიძემ ეს გააკეთა. თუმცა, სასამართლოზე მოწმედ დაბარებულმა უარყო პირველი ჩვენება და საჯაროდ განაცხადა, რომ ყაჩაღების „ამოცნობას" მას გამომძიებელი აძალებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულს ემუქრებოდნენ კიდევაც.

სიტუაციის მოულოდნელი შემობრუნების გამო გამოძიებამ ახალი მოწმის ძებნა დაიწყო. იმ დღეებში ხაშურელმა სამართალდამცავებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ადრე ორჯერ ნასამართლევი გელა გელაშვილი. იგი ამჯერადაც ყაჩაღობაში იყო ეჭვმიტანილი. გელაშვილთან ორგანოს თანამშრომლები საპროცესო შეთანხმებაზე წავიდნენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი ამხელდა ოთხ დაკავებულს სხვადასხვა ყაჩაღურ თავდასხმებში. გამომძიებლების კარნახით გელაშვილმა მისცა განთქმითი ჩვენებები ყაჩაღურ თავდასხმებში ერთობლივად მონაწილეობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ განსასჯელს არ იცნობდა.

სასამართლოზე მოწმედ მოყვანილმა გელაშვილმა დუმილის უფლება გამოიყენა და არ მისცა ჩვენებები ეჭვმიტანილების წინააღმდეგ. პოლიცია გელაშვილს ველარ დააბრუნებდა საკანში, რადგანაც მასთან საპროცესო შეთანხმება ოფიციალურად იყო შეთანხმებული და თანხაც ბანკში იყო შეტანილი. გელაშვილმა პოლიცია მოატყუა.

მოწმეებისგან იმედგაცრუებულმა სამართალდამცავებმა დაიწყეს ნივთმტკიცებების „შეგროვება". მათ ლაბაძის მანქანა გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს თმის რამდენიმე ღერი, რომელიც გამოძიების ვარაუდით, დაზარალებულების უნდა ყოფილიყო. ექსპერტიზამ ვერ დაადასტურა ნაპოვნის დაზარალებულთან იდენტურობა. მან მხოლოდ სავარაუდო პასუხი გასცა — შესაძლებელიაო. როდესაც დასკვნა სავარაუდოა, ის მტკიცებულებად არ გამოიყენება.

როცა არც აქ გაუმართლათ, პოლიციამ დაკავებულ „ოთხეულზე" დაიწყო მუშაობა. მათ უნდოდათ, რომელიმე მათგანი დაეყოლიებინათ საპროცესო გარიგებაზე, სამაგიეროდ კი მისგან განთქმითი ჩვენება აეღოთ. ასეთად მათ შველიძე შეარჩიეს. მას რამდენიმე ჩვენებაზე მოაწერინეს ხელი. როდესაც საქმე-საქმეზე მივიდა, მრავალგზის მოტყუებულმა სამართალდამცავებმა შველიძის „გადაგდება" სცადეს და მას საპროცესო გარიგებაზე უარი უთხრეს. საპასუხოდ შველიძემ მიცემულ ჩვენებებზე უარი განაცხადა. ახალ ჩვენებაში არჩევნა, ყველა მის მიერ ხელმოწერილი ჩვენება დაწერილია გამომძიებლის მიერ და „თავისი დაწერილის" წაკითხვის გარეშე, ფიზიკური და მორალური ზეწოლის ქვეშ აწერინებდნენ ხელს. ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ჩვენებები არ არის განსასჯელის მიერ დაწერილი.

როგორც ირკვევა, ხაშურელი სამართალდამცავები მწყრალად არიან სისხლის სამართლის კოდექსთან. ამ საქმის შეთითხვნის დროს დაირღვა უამრავი საპროცესო ნორმა, აცხადებენ დაკავებულების ახლობლები. გარდა პროცესუალური დარღვევებისა, გამომძიებლები ახდენენ კანონის იგნორირებას, რასაც დაუფარავად აწერენ ხელს.

„ოთხეულის" საქმეს იძიებდა გამომძიებელი ავთო სამსონიძე. რეალურად კი მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვას, ავტომანქანების ამოღებას, შემთხვევის ადგილის დათვალიერებას აწარმოებდა ოპერთანამშრომელი ჩხუტუნიძე. იგი ამას თავადვე ადასტურებს მის მიერვე შედგენილ ოქმებზე ხელის მოწერით.



სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით გამომძიებელს (მით უმეტეს „ოპერს"ძ, რომელიც საგამოძიებო ჯგუფში არ არის, ან არა აქვს პროკურორის ოფიციალური დავალება, არ შეუძლია ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების წარმოება. ამავე კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლადაა მიჩნეული.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, წარსულში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულ პირთან პირობითი მსჯავრის დადებით საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ შეიძლება. ხაშურელმა გამომძიებლებმა კი გელაშვილის შემთხვევაში უგულებელყვეს ეს მოთხოვნა. ლაბაძის, ნებაძის, შველიძისა და ზუმბაძის ახლობლებს ეს კიდევ უფრო უმყარებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ სამართალდამცავები ყოველგვარ დარღვევებზე წავიდოდნენ, რათა მათი ახლობლებისათვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანათ.

სასამართლო პროცესზე „შეუვალმა" პროკურორმა განსასჯელთათვის 19-25 წლით პატიმრობა მოითხოვა, საქმე იმდენად თეთრი ძაფებით იყო ნაკერი, რომ მოსამართლე კუკური კოჭორაძე იძულებული გახდა, მათთვის რამდენიმე ყაჩაღობისა და ჯგუფური ყაჩაღობის ფაქტები მოეხსნა და თითოეულისათვის სასჯელის ვადა 7 წელი დაეწესებინა.

მსჯავრდებულების ახლობლები აღშფოთებულნი არიან განაჩენით. მათი განცხადებით, საქმეში არ არსებობს ბრალეულობის დამამტკიცებელი არც ერთი ჩვენება (მოწმე, დაზარალებულიძ, გარდა გელაშვილისა, რომელმაც სასამართლოზე თავი უდანაშაულოდ ცნო და დუმილის უფლება გამოიყენა.

მიუხედავად იმისა, რომ მომთხოვნმა პროკურორმა მკაცრი სასჯელები მოითხოვა, მას რატომღაც მხედველობიდან გამორჩა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც გამოძიების პროცესში შეთითხნეს ისეთი ბრალდებები, თვით მათმა მორჩილმა მოსამართლემაც რომ მოუხსნა განსასჯელებს.

**ზაზა ბილიხოძე**



● „ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება დემოკრატიის ილუზიას ქმნის უცხოელი მეთვალყურეებისთვის, ქვეყნისშიდა ცხოვრებაში კი აშკარა დიქტატურაა დამყარებული

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში 27 თებერვალს შეხვდა ნატოს ხელმძღვანელებს. თბილისში ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, რადგან ჯერ კიდევ თებერვლის დამდეგს ალიანსის გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა პირველად განაცხადა საჯაროდ, რომ 2009 წლისთვის შესაძლებელია საქართველოს ინტეგრაცია ნატოში. როგორ გავლენას მოახდენს ალიანსში საქართველოს შესაძლო გაწევრიანება რუსეთთან ურთიერთობაზე? ამის თაობაზე „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტი მიხეილ ვიგნანსკი ესაუბრა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს კონსტანტინე კემულარიას.*



# „არ არის სწორი, როცა საქართველოს ნეიტრალიტეტს სთავაზობენ“

— საქართველოს შესვლა ნატოში არავის შეუშლის ხელს, რუსეთისთვის ეს ნიშნავს, რომ მისი სამხრეთელი მეზობელი გახდება ძლიერი, დემოკრატიული, აყვავებული სახელმწიფო, რომელიც ღია იქნება ინვესტიციებისთვის. საქართველოში უკვე ახლა შემოდის სერიოზული რუსული ინვესტიციები, მათ შორის სტრატეგიულ სფეროებშიც. საქართველო ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას.

მაგრამ რუსეთში ვინმე თუ ფიქრობს, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის ბაზარზე ღვინისა და ბორჯომის გაყიდვა, მწარედ ტყუვდება. ეს პროდუქცია ჩვენ შეგვიძლია გავყიდოთ სხვა ქვეყნებში, და ვყიდით კიდეც — ევროპაში, შეერთებულ შტატებში, სულ უფრო ვაუმჯობესებთ ხარისხის სტანდარტებს. ჩვენი ღვინოებისა და მინერალური წყლების აკრძალვით დაზარალდნენ მხოლოდ რუსეთელები, რომლებსაც ძალზე უყვარდათ ეს სასმელები. მთავარია ის, რომ საქართველოს სტრატეგიული ინტერესები, ისევე როგორც რუსეთის სტრატეგიული ინტერესები, რომლებსაც ჩვენ პატივს ვცემთ, არ შეილახოს იმის გამო, რომ რუსეთში ზოგიერთები არასწორად აღიქვამენ მიმდინარე მოვლენებს ან შეგნებულად ამახინჯებენ ყველაფერს.

**— რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ, რომელიც თბილისში იანვარში დაბრუნდა, მხარი დაუჭირა საქართველოს ნეიტრალიტეტს. თუ არის შესაძლებელი, რომ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ, მის ტერიტორიაზე გაჩნდეს ნატოს ბაზები?**

— გადაწყვეტილებებს მივიღებთ ჩვენი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის გათვალისწინებით. საქართველოს არასდროს განუცხადებია ოფიციალურად თავის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა ბაზების განლაგების გეგმების შესახებ. არ არის სწორი ამ თემის ხელოვნურად გაზვიადება, ისევე როგორც ჩვენთვის ნეიტრალიტეტის შემოთავაზება.

**— ხომ არ ცდილობს საქართველო უცხო ჯარების შეყვანას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში? შარშან საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა ამ ტერიტორიებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანა...**

— როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ინტერნაციონალიზაციაზე, ვგულისხმობთ იმას, რომ ეს საკითხები უნდა გადაწყდეს და არა — გაიყინოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ზონებიდან გამოდევნეს სხვადასხვა ეროვნების 200 ათასზე მეტი კაცი. არ გამოვა ეთნიკური წმენდის დაკანონება. საჭიროა ამ ადამიანების დაბრუნება, ინფრასტრუქტურის აღდგენა, ინვესტიციათა მოზიდვა. ყოველივე ამას უთუოდ შეუწყობს ხელს სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ არ არის რუსეთის ტერიტორიები და არც არასდროს გახდება მისი!

არიან სახელმწიფოები, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას სამშვიდობოთა გამოგზავნისთვის, არსებობს საამისო სახსრები, და არის კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში პროგრესის მიღწევის შესაძლებლობა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები კი უკვე თვითონ გამოთქვამენ მზადყოფნას, თანამშრომლობისთვის, ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.

**— 4 მარტს აფხაზეთში გაიმართება პარლამენტის არჩევნები...**

— ... რომელსაც არ ვცნობთ არც ჩვენ და არც საერთაშორისო გაერთიანება. რა არჩევნებზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა იქ მცხოვრებთა რიცხვი ნაკლებია დევნილების რაოდენობასთან შედარებით! ამას თეორიულადაც კი არ შეიძლება ვუწოდოთ „ხალხის ნება-სურვილის გამოვლინება“ როგორც ეს წარმოაჩინეს რუსეთში. თუ ასეთ კამპანიას მხარს დავუჭერთ ახლა, მომავალში ყოველივე ეს შეიძლება აისახოს თვით მრავალეროვან რუსეთზეც.

**— საქართველოს წინანდელი ხელისუფლება აცხადებდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების გასაღები მოსკოვში იყო. თქვენც ასე მიგაჩნიათ?**

— ეს გასაღები არის თბილისში, სოხუმში, ცხინვალში. სხვაგან არსად არ უნდა ვეძებოთ იგი. როცა საქართველოს წინანდელი ხელისუფლება ამას ამბობდა, მოსკოვში ზოგიერთ პოლიტიკოსს შეექმნა იმის ილუზია, თითქოს მათ ყველაფერი შეეძლოთ. ეს ასე არ არის. აფხაზები და ოსები დაგვიჯერებენ ჩვენ. საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც ამ ხალხებს ექნებათ აყვავების შესაძლებლობა, და სადაც ისინი თავს დაცულად იგრძნობენ.

კოსოვოსაც არანაირი დამოკიდებულება არა აქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. კოსოვოში რუსეთი იცავს ეთნიკური წმენდის მსხვერპლთ. საქართველოს ტერიტორიაზე კი რუსები მხარს უჭერენ, იმათ ვინც განახორციელა ეთნიკური წმენდა.

**— საქართველო მხარს უჭერს 2014 წლის ოლიმპიური ასპარეზობის სოჭში გამართვას. აფხაზებიც ამის მომხრე არიან. იქ იმედი აქვთ, რომ ოლიმპიადისთვის გაიხსნება სოხუმის აეროპორტი, აფხაზებს შეეძლებათ ოლიმპიური ობიექტის აშენება, ტურისტების მიღება...**

— სოჭი ვერ გახდება იმის სტიმული აფხაზებისთვის, რომ ისინი ჩამოშორდნენ საქართველოს. ჯერ მათ უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ დააბრუნონ ყველა ეროვნების ლტოლვილები მშობლიურ კერებში. ჩვენი ნებართვის გარეშე ვერანაირ აეროპორტს ვერ გახსნიან.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# თუ რეალური დემოკრატიის გზაზე სერიოზული ნაბიჯები არ გადაიდგა, სოციალური ძვრებია მოსალოდნელი

**„საქართველოს სომხობა დღესაც, ისევე, როგორც ეს წინათ, ვერ იღებს აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში“, — განაცხადა „მრავალეროვანი საქართველოს“ არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ არნოლდ სტეპანიანმა.**

როგორც მან თქვა, „პრობლემები იყო და ახლაც არის, ხოლო სიტუაციის სასიკეთოდ შემობრუნებაზე თუ ვილაპარაკებთ, უმჯობესი იქნება შევცვალოთ სახელმწიფოში მიდგომა ეთნიკათაშორის ურთიერთობის მიმართ“.

ფაქტობრივად თუ არა, კონსტიტუციით მაინც, სომხები საქართველოს მოქალაქეები არიან, თქვა შემდეგ არნოლდ სტეპანიანმა. მისი აზრით, არ არის დამაკმაყოფილებელი ჯავახეთის სომხობასა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ სომხებს შორის ურთიერთობის დონე. აქ შექმნილი სიტუაცია სხვადასხვა სიბრტყეში უნდა განვიხილოთ. როგორც სტეპანიანმა თქვა, ჯავახეთში შექმნილი სიტუაცია განსხვავდება იმისგან, რომელშიც იმყოფებიან ამ კუთხის ფარგლებს გარეთ სომხები. „მაგალითად თბილისელი სომხები ნაკლებად პოლიტიზებულები, ნაკლებად აქტიურები და უფრო მეტად ინტეგრირებული არიან საქართველოს ცხოვრებაში, და, ბუნებრივია, ამ ადამიანებს სხვა პრობლემები აქვთ“. — განაცხადა მან. იმის მიუხედავად, რომ, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 280 ათასი სომეხი ცხოვრობს, „ჩვენ უბრალოდ, არ გვაქცევენ ყურადღებას, ჯავახეთს კი საერთოდ, ერთ შორეულ, მიყრუებულ კუთხედ მიიჩნევენ და, როგორც კი რუსული სამხედრო ბაზა დატოვებს ახალქალაქს, ამ რეგიონების მიმართ ყურადღებას საერთოდ არავინ აღარ გამოიჩენს“, — აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ.

„ჩვენ რომ შევძლოთ ლობირების სერიოზული სისტემის შექმნა, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის ამერიკის სომეხთა ასამბლეა, მაშინ იძულებული გახდებოდნენ ჩვენთვის ანგარიში გაეწიათ“, — მიაჩნია არნოლდ სტეპანიანს.

ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობასა და ამ ცოტა ხნის წინათ ხელმოწერილ შეთანხმებასთან დაკავშირებით, არნოლდ სტეპანიანმა განაცხადა, რომ „ჯავახეთის მოსახლეობას ეს მოუტანს მოკლევადიან ეკონომიურ შედეგებს, მაგრამ იმის თქმა, თუ რა მოხდება შემდგომში, ძალზე რთული იქნება, რადგან თვით ამ პროექტის ამოქმედება გულისხმობს სომხეთის რეგიონულ იზოლაციას. „როგორც კავკასიაში მცხოვრები ადამიანი, დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ქვეყნის ჩამოშორება რეგიონულ პროექტებში




მონაწილეობისგან, ნეგატიურად აისახება სამხრეთ კავკასიის უშიშროების ერთიან სისტემაზე“, თქვა მან.

შეეხო რა საქართველოში შექმნილ შიდაპოლიტიკურ ვითარებას, არნოლდ სტეპანიანმა ხაზი გაუსვა იმ სირთულეებს, რომელიც ქვეყანაში არსებობს დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით. „ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება დემოკრატიის ილუზიას ქმნის უცხოელი მეთვალყურეებისთვის, ქვეყნისშიდა ცხოვრებაში კი აშკარა დიქტატურაა დამყარებული. თუ უახლოეს მომავალში არ გადაიდგმება სერიოზული ნაბიჯები სახელმწიფოს რეალური დემოკრატიზაციის, ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისა და, საერთო ანგარიში — ადამიანების უფლებათა დაცვის, ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების გზაზე, სოციალური ძვრები გარდუვალი იქნება“, — დაასკვნა არნოლდ სტეპანიანმა.

REGNUM

# უკრაინა მზად არის აფხაზეთის მოვლენებში ჩაერიოს



**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო აცხადებს, რომ უკრაინის მხარე მზად არის, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის „გაყინული“ კონფლიქტის მოწესრიგებაში. ასეთი განცხადება მან გააკეთა „რუსთავი-2“ ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას იუშჩენკომ განიხილა უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ქვეყნის წინსვლა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, აგრეთვე ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ესახება სამომავლოდ თანამშრომლობა დსთ-ს ფარგლებში.

საუბრის ცალკე თემა იყო უკრაინა-საქართველოს ურთიერთობა. იუშჩენკომ აღნიშნა, რომ ეს ორი ქვეყანა ერთნაირად ეკიდება მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას. „ჩვენ ვაყალიბებთ ევროინტეგრაციის პოლიტიკას, ჩვენი სტრატეგიული მიზანია ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება, თავისუფლების და დემოკრატიის ღირებულებათა მტკიცე დაცვა“, — თქვა იუშჩენკომ.

შეგახსენებთ, რომ 1-2 მარტს უკრაინის პრეზიდენტი ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა საქართველოს. ვიზიტის ფარგლებში უკრაინის სახელმწიფოს მეთაური შეხვდება საქართველოს უმაღლეს თანამდებობის პირებს. გარდა ამისა, დაგეგმილია მთელი



რიგი საერთაშორისო დოკუმენტების ხელმოწერა, რომელთა შორის არის შეთანხმება ქერჩი-ფოთი-ბათუმის საბორნე გადასასვლელის შექმნისა და მისი ერთობლივი ექსპლოატაციის შესახებ, შეთანხმება მეწარმეობის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე, შეთანხმება ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და მინერალური წყლებისთვის გეოგრაფიული დასახელებების გამოყენებისა და მათი დაცვის შესახებ. თბილისში იუშჩენკო მონაწილეობას მიიღებს ტარას შევჩენკოს ძეგლის გახსნის ცერემონიაში, შეხვდება საქართველოში უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებს, ეწვევა თბილისის მ.გრუშევსკის სახელობის უკრაინულ სკოლას.

REGNUM

● ავღანეთის ქალაქ ბაგრამში, ამერიკელთა ბაზის ჭიშკართან თავი აიფეთქა კამიკაძემ. აფეთქების დროს ბაზაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი



## ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ბოსნიელთა იმედგაცრუება გამოიწვია

**ბოსნიელ მუსლიმანთა სასულიერო ლიდერებმა იმედგაცრუება გამოთქვეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რომლის მიერ გამოტანილი დასკვნის თანახმად, სერბეთს, როგორც სახელმწიფოს, არ ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა ომის წლებში ბოსნიაში გენოციდის გამო.**

ბოსნიის პრეზიდენტის პოსტზე მუსლიმანთა თემის წარმომადგენელმა ჰარის სილაიჯიჩმა განაცხადა, რომ იმედგაცრუების მიუხედავად, მიესალმება სასამართლოს მიერ იმ ფაქტის აღიარებას, რომ სერბეთმა დაარღვია კონვენცია გენოციდის თავიდან აცილების შესახებ.

თავის მხრივ, სერბეთის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა მოუწოდა ქვეყნის პარლამენტს, მიიღოს დეკლარაცია, რომელიც უპირობოდ დაგმობს სრებრენიცაში ჩადენილ დანაშაულს.

ჰააგის სასამართლომ გამოაცხადა, რომ სერბეთს, როგორც სახელმწიფოს, არ ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა ბოსნიაში გენოციდისთვის, მაგრამ ბელგრადს ყველაფერი არ გაუკეთებია ამ შემზარავი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

1992-95 წლების ბოსნიის კონფლიქტის პერიოდში სასამართლომ გენოციდის დამადასტურებლად ცნო მხოლოდ ერთი ფაქტი: 1995 წელს ქალაქ სრებრენიცაში ბოსნიელი სერბებმა მოკლეს 8 ათასი მუსლიმანი მამაკაცი და მოზარდი.

სასამართლო პროცესის თავმჯდომარემ, ბრიტანელმა მოსამართლემ როზალინ ჰიგინსმა განაცხადა, რომ „სრებრენიცაში გენოციდის ფაქტების გამო არ შეიძლება დავდოთ ბრალი სერბეთის სახელმწიფო ორგანოებს და სასამართლო ხმათა უმრავლესობით ადგენს, რომ სერბეთს არ ჩაუდენია გენოციდი და არც კავშირი ჰქონია ამ დანაშაულთან“.



ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბელგრადი მნიშვნელოვან და სამხედრო ფინანსურ დახმარებას უწევდა ბოსნიის ტერიტორიაზე არსებულ ბოსნიელ სერბთა სახელმწიფო წარმონაქმნს, ეგრეთ წოდებულ „სერბთა რესპუბლიკას“ და, შესაბამისად, დიდი გავლენა ჰქონდა ბოსნიელ სერბებზე.

ბოსნიას იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა გენოციდში სერბთა სახელმწიფოს უშუალო ბრალეულობის დამტკიცებას და სერბეთს მოსთხოვდა მრავალმილიარდიან რეპარაციას, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ამ ნაწილში ბოსნიის სარჩელი.

უმაღლესი სასამართლო ორგანო, რომელიც არჩევს გაეროს წევრ-სახელმწიფოებს შორის სადავო საკითხებს, მოქმედებს ჰააგაში 1946 წლიდან. 15 მოსამართლეს, რომელთაგან ყველა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელია, 9 წლის ვადით ირჩევენ.

საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება აუცილებელია აღსრულებისთვის, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არ შეასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, მეორე მხარეს უფლება აქვს, მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს.

## აფეთქება ავღანეთის ბაზაში

**ავღანეთის ქალაქ ბაგრამში, ამერიკელთა ბაზის ჭიშკართან თავი აიფეთქა კამიკაძემ. აფეთქების დროს ბაზაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი.**

ამერიკელთა მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა ექვსი კაცი, მათ შორის ერთი ამერიკელი და ერთი სამხრეთკორეელი სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე ბაზის მომსახურებით დასაქმებული ფირმის უცხოელი თანამშრომელი – სამოქალაქო პირი. მანამდე კი იტყობინებოდნენ, რომ დაიღუპა 18 კაცი.

ავღანელ თალიბთა წარმომადგენელი ტელეფონით დაუკავშირდა ბი-ბი-სის ბიუროს და აცნობა, რომ ბაზაზე თავდასხმა მისი მოძრაობის მიერ იყო ორგანიზებული.

ავღანეთის პოლიციაში განმარტეს, რომ კამიკაძემ თავი აიფეთქა ბაზის შესასვლელთან.

დიკ ჩეინი რეგიონში მოგზაურობს. მან ღამე გაათია ქაბულიდან 60 კილომეტრზე მდებარე ბაგრამის სამხედრო ბაზაში. ამერიკელ სამხედროებს მიაჩნიათ, რომ აფეთქების სამიზნე, სავარაუდოდ, დიკ ჩეინი არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, სამხედროთა თქმით, ეს იყო უშუალო თავდასხმა, ამიტომაც გამოცხადდა განგაში. თავდასხმის დროს ჩეინი საუზმობდა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად.

როგორც თეთრი სახლი იტყობინება, აფეთქებიდან საათნახევრის გასვლის შემდეგ, ვიცე-პრეზიდენტმა დატოვა ბაზა. მან ქაბულში გამართა მოლაპარაკება ავღანეთის პრეზიდენტთან ჰამიდ ყარზაისთან, რის შემდეგაც ომანს გაემგზავრა.

## ერაყში კანონი ნავთობის შესახებ მოიწონეს

**ერაყის მთავრობამ დაამტკიცა ნავთობის შესახებ ეროვნული კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის უზარმაზარი ნავთობის მარაგების ექსპლოატაციის შედეგად მიღებული შემოსავლების განაწილებას ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის.**

ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური მალიქიმ ამ შეთანხმებას უწოდა „საჩუქარი მთელი ერაყელი ხალხისთვის“.

2003 წლის შემდეგ, როცა ქვეყანაში ამერიკელთა ხელმძღვანელობით შეიჭრნენ კოალიციის ჯარები, ერაყის შიიტი უმრავლესობა და სუნიტთა და ქურთთა უმცირესობა ვერ შეთანხმებულან იმაზე, თუ როგორ გაინაწილონ ნავთობის შედეგად მიღებული შემოსავლები.

ახლა კანონპროექტი უნდა მოიწონოს ერაყის პარლამენტმა. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება კანონის დამტკიცების შესახებ მიიღეს თვით კაბინეტის მიერ დადგენილ ვადაზე დაგვიანებით – 2 თვის შემდეგ.

ერაყს აქვს მსოფლიოში სიდიდით მესამე ნავთობის მარაგი, რომლის უმეტესი ნაწილი განლაგებულია ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, სადაც ძირითადად შიიტები ცხოვრობენ. მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, შემდგომი ექსპლოატაციისთვის ყველაზე შესაფერისია ნედლეულის მარაგი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ქურთებით დასახლებულ მიწაზე.

კანონპროექტი ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც დაარეგულირებენ ერაყის ნავთობის მრეწველობაში უცხოურ ინვესტიციათა დაბანდებას. ახალი კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ნავთობის გაყიდვის შედეგად ამონაგები სახსრების განაწილებას ქვეყნის 18 პროვინციას შორის, მათი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.



საქმე №2/62-07

### თბილისის საქალაქო სასამართლო

# განჩინება

### გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

26 თებერვალი, 2007 წ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძემ, ერთპიროვნულად განვიხილე შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ დირექტორის განცხადება შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.**

### დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გაიხსნას შპს „საქართველო ავსტრიის ერთობლივი საწარმო „მეტეხის“ ქონებაზე (იურიდიული მისამართი, ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №67, გენერალური დირექტორი ლევან გაჩეჩილაძეძ გაკოტრების საქმის წარმოება;

2. აეკრძალოს შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხს“ თავისი ქონების განკარგვა;

3. მოვალის ქონების მართვა დაევალოს გაკოტრების მმართველს;

4. შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ოთარ ჯანჯალაშვილი. დაბადებული 1979 წლის 2 მარტს. მცხოვრები ქ. თბილისში, ვ. ბარნოვის ქ. №71, ბინა №32, ტელ: 877.96.11.11 სამართალმცოდნე;

5. განემარტოს გაკოტრების მმართველს, რომ იგი თავისი მოვალეობის შესრულებაზე პასუხისმგებელია გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე და ზიანის მიყენების შემთხვევაში, ეკისრება მისი სრული ოდენობით ანაზღაურება;

6. დაევალოს გაკოტრების მმართველს დანიშვნისთანავე აღწეროს საწარმოს ქონება, შეადგინოს ბალანსი და აღნიშნული დოკუმენტები წარმოუდგინოს გაკოტრების სასამართლოს;

7. დაევალოს შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ ყველა კრედიტორს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 21 (ოცდაერთიძ დღის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ ვალის არსებობას. ეცნობოს კრედიტორებს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად;

8. შეჩერებული იქნას შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ შესრულება ბათილია, თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში;

9. დაევლოს ყველა იმ პირს, რომელსაც შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ ქონების მიკუთვნებულ ნაწილზე აქვს საკუთრების ან გირავნობის უფლება, მოთხოვნათა წაყენების ვადაში განუცხადონ შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ;

10. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ ქონების მიკუთვნებულ ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი პირი ვალდებულია ვალდებულების შესრულება ან/და ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ გაკოტრების მმართველის მიმართ;

11. შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ გაკოტრების საქმის გახსნის დროდ განისაზღვროს 2007 წლის 26 თებერვლის 17 საათი;

12. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა მოწვეულ იქნეს 2007 წლის 27 მარტს 15 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობაში (თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №1, სასამართლო სხდომის დარბაზი №10ძ;

13. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნას 2007 წლის 29 მარტს 15 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობაში (თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №1, სხდომის დარბაზი №10ძ;

14. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხს“ გააჩნია საქმიანი ურთიერთობა;

15. დაევალოს შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხის“ გაკოტრების მმართველს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, ასევე ელექტრონული საშუალებით, ასევე განჩინების ყველა იმ სახელმწიფოში გამოქვეყნება, რომელშიც იმყოფება გაკოტრების საქმესთან დაკავშირებული პირები ან არის გაკოტრების მასის კუთვნილი ნაწილები. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე. გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;

16. გაეგზავნოს განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო და სამეწარმეო რეესტრში შესატანად.

17 განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

**მოსამართლე: ე. ცისკარიძე**

**„არაფერს ველი, მტკივა ნერვები,
და თავზე მადგას სასოწარკვეთა.
უფალო, ლოცვას ნუ მოაცილებ,
ძალა მიეცი ჩემთა ბაგეთა!“**



№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

⊙ თარიღი

# სულის მკურნალი

**დაბადებიდან 85 და მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ ფსიქიატრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შოთა გამყრელიძეს.**

ბატონი შოთა დაიბადა 1922 წლის 28 თებერვალს იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ზოდში. მისი მამა – საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის ოფიცერი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის იყო რეპრესირებული. ობლად დარჩენილი და-ძმა იზრდებოდნენ ქართული ტრადიციების, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის ატმოსფეროში, თუმცა თან სდევდათ გაჭირვება. საჩხერის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბ-ნი შოთა შევიდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, საიდანაც გაიწვიეს დიდ სამამულო ომში, მოსკოვისათვის ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და მოათავსეს ქ. მოსკოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, გაუკეთეს 2 რთული ოპერაცია ქვემო კიდურებზე. ექიმების თავდადებული შრომით მოხიბლულმა ახალგაზრდამ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გადაიტანა საბუთები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან სამედიცინო ინსტიტუტში – სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი მედიცინას.

1947 წელს დაიწყო ბ-ნი შოთას, როგორც ექიმის მოღვაწეობა, რომელიც შეიძლება სამი სიტყვით დახასიათდეს. ესენია: კომპეტენტურობა, პატიოსნება და ეროვნულობა. აი ბ-ნი შოთას სიცოცხლის გზის მანათობელი ფასეულობები და მისი წარმატების საფუძველთა საფუძველი.

იუბილარის 60-წლიანი მოღვაწეობა მედიცინის ურთულეს, უსათუთეს და უმძიმეს დარგში – ფსიქიატრიაში მიმდინარეობს სამი ძირითადი მიმართულებით. ესენია: სამკურნალო, პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა.

პროფ. შ. გამყრელიძე ფსიქიატრიული პათოლოგიის დიაგნოსტიკის უდიდესი სპეციალისტია. ფსიქიატრიული პათოლოგიის მკურნალობაში გამოირჩევა რადიკალური მიდგომით, თანამედროვე ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენების მაღალი კლასით.

მის მრავალმხრივ სამკურნალო მუშაობაზეა დაფუძნებული პედაგოგიური საქმიანობა. მისი ლექციები გამოირჩევა საკითხის ღრმა ანალიზით, სპეციალური ლიტერატურის უბადლო ცოდნით, საკუთარი მასალის გადმოცემის სილაღით.

ცალკე ანალიზს მოითხოვს იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელსაც მყარ საფუძველს უქმნის მისი ნიჭიერება, მრავალმხრივი სამკურნალო და პედაგოგიური მოღვაწეობა, სპეციალური ლიტერატურის არა მარტო ღრმა ცოდნა, არამედ ანალიზის უნარი.

ბატონ შოთას გამოქვეყნებული აქვს 13 მონოგრაფია, 300-მდე სამეცნიერო შრომა.

ფუნდამენტურია და ყოველი ექიმისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს შ. გამყრელიძის კაპიტალური მონოგრაფია „შიზოფრენია გუშინ, დღეს, ხვალ. ნარკვევები ფსიქიატრიის ისტორიიდან“. (2004წ. ეს მონოგრაფია მსოფლიო ფსიქიატრიის ისტორიაა. მსგავსი ნაშრომი არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ ლიტერატურაშიც არ მოიპოვება. იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაშიც. მონოგრაფიაში მოცემულია შიზოფრენიის შესახებ არსებული ყველა მნიშვნელოვანი თეორიის ღრმა ანალიზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახულია პრობლემის კვლევის პერსპექტივები და განვითარების გზები. ნაშრომში პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი ქართული ფსიქიატრიის ისტორია. მედიცინის სხვადასხვა დარგებში თანამედროვე ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი სწორედ ისაა, რომ მათში არ არის ასახული ქართველი ავტორების მიღწევები და დამსახურება.

განსაკუთრებით დიდია პროფ. შოთა გამყრელიძის დამსახურება ფსიქოფარმაკოლოგიაში, რომლის ფუძემდებელი ქართულ ფსიქიატრიაში სწორედ ის გახლავთ. აღსანიშნავია ის, რომ ამ მხრივ მისი ღვაწლი სცილდება საქართველოს ფარგლებს. ფსიქოფარმაკოლოგიის საკითხებს ეძღვნება მისი 7 მონოგრაფია და 200-მდე სამეცნიერო შრომა.

ცნობილია, რომ სწორედ ფსიქოფარმაკოლოგიამ მოახდინა გადატრიალება ფსიქიატრიაში. ფსიქოფარმაკოლოგიის განვითარებამ საშუალება მისცა სპეციალისტებს ღრმად ჩასწვდომოდნენ ფსიქიკურ აშლილობათა პათოგენეზს. გადაესინჯათ ფსიქიკურ სნეულებათა ნოზოლოგია, გამოეყოთ ე.წ. მოსაზღვრე მდგომარეობები. სწორედ ეს სფერო გახლავთ ბ-ნი შოთას კვლევის ძირითადი მიმართულება.

გარემოებათა გამო დღეს თანამედროვე ადამიანის სნეულებათა სტრუქტურაში წინ წამოიწია ისეთმა ფსიქიურმა აშლილობამ, როგორიც არის დეპრესია. ამ პათოლოგიას ავადმყოფობათა ჩამონათვალში დღეს მე-3 – მე-4 ადგილი უკავია გულსისხლძარღვთა პათოლოგიის, ტრავმების და ონკოლოგიურ სნეულებათა შემდეგ. ბ-ნი შოთა სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი პათოლოგიის უბადლო მცოდნე და ბრწყინვალე მკურნალია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ მისი ღრმა ცოდნა ფსიქოფარმაკოლოგიაში ვლინდება ფსიქოტროპული პრეპარატების დასაბუთებული შერჩევით და დოზირებით, გამოყენების რადიკალიზმით და რაციონალობით.

ბ-ნი შოთას ღვაწლის აღიარებაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ 1988 წელს, მაშინ, როდესაც მოღვაწეობდნენ ქართული ფსიქიატრიის კორიფეები – ა. ზურაბიშვილი, ნ. ნანეიშვილი, ე. გოგრონიძე, ბ-ნი შოთა არჩეულ იქნა ეროვნული ფსიქიატრიული საზოგადოების პრეზიდენტად, ხოლო პაციენტთა მხრივ აღიარება მადლიერებით გამოიხატება.

პროფ. შ. გამყრელიძის საერთაშორისო აღიარების დასტურია მისი აქტიური მონაწილეობა ფსიქიატრთა ოთხ მსოფლიო კონგრესში.

უდავოა, რომ ბ-ნი შოთას წარმატებები მნიშვნელოვნად განაპირობებულია იმით, რომ 58 წელია მას გვერდით უდგას შესანიშნავი ქართველი მანდილოსანი ქ-ნი ნათელა ფუტკარაძე. ბედნიერების, სიკეთის და სიხარულის წყაროა ბ-ნი შოთასათვის მისი 3 შვილი, 6 შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი – პატარა შოთა.

ერთ-ერთ თავის მონოგრაფიაში მეცნიერული პრობლემის განხილვისას ბ-ნი შოთა წერს: **„კატეგორიული პასუხის გაცემა ჩვენს კომპეტენციას ალბათ აღემატება, თუმცა საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოთქმა ამ დარგში ნახევარ საუკუნეზე მეტი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების მქონე სპეციალისტს არ უნდა ეკრძალებოდეს“.**

აი ბრძენი პიროვნების, მეცნიერის გამონათქვამი. იქნებ ეს წინადადება მაინც რომ წაეკითხათ და გაეთავისებინათ ჩვენი ხელისუფლების თინეიჯერებს, გაეგოთ, რა დიდად ძნელი და საპასუხისმგებლოა კომპეტენტური აზრის ფორმირება და დეკლარირება, უფრო კარგად იქნებოდა ჩვენი საქმე.

მაგრამ, ვაი რომ, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას შოთა გამყრელიძის კი არა, შოთა რუსთაველის წიგნიც არა აქვს წაკითხული და ალბათ შინაგანად ეთანხმებიან იმას, ვინც წიგნის შემეცნებით ღირებულებას საეჭვოდ მიიჩნევს.

პროფ. შ. გამყრელიძის ბიბლიოთეკაში ინახება შ. რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემის 200 ეგზემპლარი.

ჩემო ძვირფასო, საყვარელო, მარად ახალგაზრდა უფროსო მეგობარო და მოძღვართ-მოძღვარო ბატონო შოთა! სწორედ დღეს, „როცა სიყვარულის ჩახერგილია ყველა ხეობა ადამიანის ნაკლისა და სისუსტის ქვებით“, როცა ქვეყანაში შექმნილი ვითარება ბუნებით ოპტიმისტ ქართველ კაცს ათქმევინებს:

**„არაფერს ველი,
მტკივა ნერვები,
და თავზე მადგას
სასოწარკვეთა.
უფალო, ლოცვას
ნუ მოაცილებ,
ძალა მიეცი ჩემთა ბაგეთა!“**

ცხადზე ცხადია, რომ თქვენ ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვისაც უფალმა დააკისრა დეპრესიით, ნიჰილიზმით, უიმედობით შეპყრობილ თანამოქალაქეთა გვერდით დგომა და დახმარება. აკი წარმატებით ართმევთ კიდეც თავს თქვენს უაღრესად საჭირო, საპატიო მისიას – შეჭირვებულთა ცხოვრებისაკენ შემობრუნების დიდ საქმეს. თქვენი ყოველდღიური ძალისხმევა უფლისა და სამშობლოს მიერ თქვენზე დაკისრებული მისიის აღსრულებისთვის ბრძოლაა. ჩვენთვის კი საამაყო და სამაგალითოა, რომ ასე მსუბუქად ეზიდებით ამ მძიმე ტვირთს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას.

**ქრისტესმიერი სიყვარულით და
უღრმესი პატივისცემით
სულხან ქემოკლიძე,
პროფესორი.**

⊙ ინფორმაცია

## აეროპორტია თუ ბარბის სახლი?

**საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი ფიქრია ჩიხრაძე პარლამენტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომხდარ ინციდენტებზე რეაგირებას სთხოვს.**

როგორც დეპუტატმა გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით თავის დროზეც უამრავი კითხვა არსებობდა, რომლებსაც პასუხები უნდა გაეცეს.

მისივე თქმით, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს საკითხით, მთავრობის წარმომადგენელი კომიტეტის სხდომაზე მოიწვიოს და ვითარება გაარკვიოს.

– უნდა გაირკვეს, ეს ხალხი აეროპორტს აშენებდა თუ ბარბის სახლს? – აღნიშნა ჩიხრაძემ და, საკითხში კომიტეტის ჩაურევლობის შემთხვევაში, სამთავრობო საათის რეჟიმის გამოყენება არ გამორიცხა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ შესაბამის კომიტეტს შეუძლია გაერკვეს ამ საკითხში, მისივე თქმით, ამ თემაზე მუშაობა მთავრობაშიც მიმდინარეობს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ბიძინა ბრეგაძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ქარისგან სახურავის გადახდას პრობლემად არ მიიჩნევს.

ამის შესახებ ბრეგაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მემარჯვენეების წევრის ფიქრია ჩიხრაძის გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ჩეხეთში ყოფნის დროს შეესწრო ფაქტს, როდესაც ახლად აშენებულ აეროპორტს ქარმა სახურავი გადახადა, თუმცა ოპოზიციას აჟიოტაჟი არ აუტეხავს.

– ასეთ ფაქტებში დრამატული არაფერია, – აღნიშნა ბრეგაძემ.

## კახა შარტავა პრეზიდენტის განცხადებებს უპასუხებს

**ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა ორი კვირის წინათ პრეზიდენტის მიერ ოპოზიციის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს უპასუხებს.**

შარტავას თქმით, ეს არის პრეზიდენტის მხრიდან ბინძური ბრალდება, რომელსაც აუცილებლად პასუხი უნდა გაეცეს.

**– ჩემი პარტიის წინააღმდეგ ბოლო ხანებში პრეზიდენტმა ბინძური ბრალდებების სერია განახორციელა. კონკრეტულად თითქოს ბალაფშმა აფხაზეთის საბაჟოზე სერიოზული თანამდებობა შემომთავაზა. თუმცა ამის წინააღმდეგ რუსები წავიდნენ, რაზეც მე გავბრაზდი და ჩამოვაყალიბე პოლიტიკური პარტია და ხალხს მოვუწოდე, ბოდიში მოეხადათ აფხაზებისთვის. ეს მთელი აბდაუბდაა, რომელიც სიმართლესთან არანაირ კავშირში არ არის. მოგვიანებით დაგვაბრალეს რუსებთან ალიანსი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მითი ბალაფშის მხრიდან შემოთავაზებული თანამდებობის შესახებ გივი თარგამაძემ გაავრცელა. მინდა ხელისუფლებას ვუთხრა, რომ მმართველი პარტია, რომელსაც ნაციონალურ პარტიას უწოდებენ, ეს არის კრიმინალებით და მაფიოზებით დაკომპლექტებული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას სათავისოდ იყენებს,** – განაცხადა შარტავამ.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენ-ის მიხედვით

⊙ სიკვდილი უკან იხევს

## ახალი ლაზერი სისხლძარღვთა ქირურგიისთვის



**რუსეთის მეცნიერების აკადემიის ა. პროხოროვის სახელობის ზოგადი ფიზიკის სპეციალისტებმა შექმნეს ისეთი ქირურგიული ლაზერული დანადგარი, რომელიც გულის სისხლით ნორმალური მომარაგების აღსადგენად არის გამიზნული, დანადგარი ერბიუმის იონებით აქტივირებულ მინაზე მყარსხეულოვანი ლაზერის ბაზაზე შეიქმნა. იგი მსუბუქია და პატარა ჩემოდანივით გამოიყურება, იკვებება საყოფაცხოვრებო ელექტროქსელიდან, ამიტომაც შეიძლება პერსონალური სამედიცინო ხელსაწყოს სახითაც გამოვიყენოთ.**

ოპერაციები, რისთვისაც განკუთვნილია ეს ხელსაწყო, ენიშნებათ კორონარული სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანებების მქონე პაციენტებს, რომლებსაც აორტაკორონარული შუნტირება ვერ უტარდებათ. ასეთი ავადმყოფები გულის იშემიური დაავადებების მქონე პაციენტთა მეოთხედს შეადგენენ. სისხლის მიმოქცევის უკმარისობით დაავადებულ გულში ლაზერის მეშვეობით ხდება პატარა ნახვრეტების პერფორირება. ეს ნახვრეტები სწრაფად იკრავს პირს, მაგრამ შეხორცების პროცესში მათ პერიფერიაზე ახალი სისხლძარღვები წარმოიქმნება.

აპარატმა უკვე გაიარა წინასწარი გამოცდები, მისი გამოყენებით იკვეთებოდა რბილი ქსოვილები, რომლებშიც ღრმა ნახვრეტები კეთდებოდა. როგორც ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, მიყენებული ჭრილობები საშუალოდ მე-5, მე-7 დღეს, ანუ სხვა ლაზერების გამოყენების შემთხვევებზე 5-6 დღე-ღამით უფრო ადრე ხორცდებოდა, დანადგარი გულის კუნთში 3-4 სმ. სიღრმის ნახვრეტების „გაბურღვის“ საშუალებას იძლევა, იმპულსის ხანგრძლივობის ცვლით შეიძლება არხების სიღრმის რეგულირება.

ამ შესანიშნავი აპარატის შემქნელები ( აპარატს მსოფლიო ანალოგები არ გააჩნიაძ ირწმუნებიან, რომ მისი გამოყენება შეიძლება არა მარტო გულსისხლძარღვთა ქირურგიაში.

უცხოური პრესის მიხედვით

# სპორტი

● რუსეთის ნაკრებმა ყველა შეხვედრა წააგო და ნული ქულით ბოლო ადგილზე გამოვიდა. ნაკრების ასეთი ფიასკოს მიზეზად პირველ რიგში გუნდში ჩომახიძის არყოფნა დაასახელეს



**⊙ მხარე**

# „ჭიდაობის პროფესორის“ სახელობისა

**ამას წინათ ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციამ სამტრედიაში დიდი ქართველი ფალავნის, ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, საკავშირო ჩემპიონატების ხუთგზის გამარჯვებულის, „ჭიდაობის პროფესორად“ აღიარებული ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირი მოაწყო ქართულ ჭიდაობაში.**

სასპარეზოდ სხვადასხვა რეგიონის 52 სპორტსმენი გამოვიდა ხალიჩაზე ხუთ წონით კატეგორიაში. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **60 კგ.** 1. ტარიელ ჯანაშია (სამტრედია), 2. გიორგი ყველაშვილი, 3. ლევან ოთინაშვილი (ორივე — ყვარელი). **70 კგ.** 1. ზვიად მაზანდარაშვილი (გორი), 2. ვასილ ბერუაშვილი (რუსთავი), 3. მანუჩარ მარგიანი (სამტრედია). **80 კგ.** 1. ლევან წიკლაური (ყვარელი), 2. ოთარ ახალაია (ზუგდიდი), 3. ლევან ზარდიაშვილი (გურჯაანი). **90 კგ.** 1. გოდერძი ჯავახაძე, 2. იასონ ნემსაძე (ორივე — ქუთაისი), 3. ლაშა ბერიძე (რუსთავი). **მძიმე წონა.** 1. გიორგი დარძული (რუსთავი), 2. დავით ცინცაძე (ქუთაისი), 3. ზაზა ჩაჩუა (სამტრედია).





ავადმყოფობის გამო ბატონმა ვახტანგმა ტურნირზე დასწრება ვერ მოახერხა, მაგრამ შეჯიბრების მონაწილეებს სითბოთი სავსე წერილი გაუგზავნა: **„მოხარული ვარ, რომ ჩემს მშობლიურ კუთხეში, სადაც ჭიდაობა ვისწავლე, დღეს ამგვარი ტურნირი ეწყობა. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ: ქართული ჭიდაობის დარი რაინდული და ლამაზი შერკინება მსოფლიოში არ არსებობს. ჩემს ყველა გამარჯვებას მას ვუმადლი. ვიმედოვნებ, დადგება დრო და მომავალი დიდი ჩემპიონები სიამაყით გაიხსენებენ, რომ პირველ წარმატებას სამტრედიაში გამართულ ასპარეზობებზე მიაღწიეს...“**

საგულისხმოა, რომ ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე პირველად აჟღერდა ქართული ჭიდაობის ჰიმნი, რომლის ტექსტი და მუსიკა კახეთის რეგიონში ქართველთა შორის კულტურული ტრადიციების მოძიებისა და თანადგომის კავშირ „ლაზარეს“ კოორდინატორს აკაკი (თემურ) პაპაშვილს ეკუთვნის. ჰიმნის შემსრულებელია სახელოვანი მომღერალი თემურ წიკლაური.

შეჯიბრება სამტრედიის კაპიტალურად რეკონსტრუირებულ სპორტულ კომპლექსში გაიმართა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და ქართული ჭიდაობის პატრიოტების — გიორგი მიქელაძის, თამაზ კენჭოშვილის, ლაერტ ზუბადალაშვილის, სს „ყაზბეგის“, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის“ თანადგომით. საპრიზო ადგილებზე გასული ათლეტები დაჯილდოვდნენ. გაისად მსგავს ტურნირს ვახტანგ ბალავაძის მშობლიური სოფელი ლანირი უმასპინძლებს.

**დიმიტრი დუნდუა,**
***ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტი.***

**⊙ ორბიტაზე**

## ჰოკეიზე იეჭვიანა!

**სამხრეთ კორეის პოლიციამ ორშაბათს დააპატიმრა ვინმე კიმი, რომელიც ეჭვიანილია თავისი ცოლის — იქაური ჰოკეის ყოფილი ვარსკვლავის მკვლელობაში.**

ეჭვმიტანილი არ უარყოფს თავის დანაშაულს — ის ეჭვიანობდა თავისი ცოლის გატაცებაზე — ჰოკეიზე. მოკლა რა თავისი ცოლი, მის გვამს 5 დღე შინ ინახავდა, შემდეგ კი ჩადო ჩემოდანში და სანაგვეზე გადააგდო.

ან გარდაცვლილი სპორტსმენი 2000 წლამდე ჩრდილოეთ კორეის ნაკრებში თამაშობდა, შემდეგ კი სამხრეთ კორეაში გადასახლდა და 4 წლის შემდეგ ამ ქვეყნის



ეროვნულ ნაკრებში დაიწყო თამაში. ქმარს უნდოდა, ცოლს სპორტული კარიერა შეეწყვიტა და მთელი დრო ოჯახისთვის დაეთმო.

## კურნიკოვამ თავი შეგვახსენა

**ჩოგბურთის ყოფილმა ლამაზმანმა ანა კურნიკოვამ თავი კვლავ შეგვახსენა. როგორც ამბობენ, ის რეკლამით დიდძალ ფულს აკეთებს.**

ყოფილმა ჩოგბურთელმა და ამჟამად მომღერალ ენრიკე იგლესიასის „გულისსწორმა“ სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა კომპანიასთან K-Swiss, ჩოგბურთის აღჭურვილობას რომ ამზადებს. ანა გადაიღეს ორ სარეკლამო ფილმში, ერთ-ერთს მარტის დასაწყისში გაუშვებენ ეთერში, კურნიკოვას ფოტოები გამოქვეყნდება რეკლამასთან ერთად ჟურნალ-გაზეთებშიც.

„ძალზე კმაყოფილი ვარ ჩოგბურთის ასეთ ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობით. მისი პროდუქცია ხომ მოხერხებულობით, ელეგანტურობით და სტილით გამოირჩევა“, — ამბობს ანა, თუმცა არ ამჟღავნებს, თუ ყოველივე ამისთვის რამდენი გადაუხადეს.

ამავე დროს კურნიკოვამ იკისრა ერთობ მძიმე საქმეც — საჩვენებელ ტურნირებზე გამოვიდეს მხოლოდ ამ კომპანიის ნაწარმით.



**⊙ წყალბურთი**

# ჩომახიძემ რუსეთი „დაალალატა“?!

**წყალბურთში რუსეთის ნაკრების ლიდერმა, ცენტრალურმა თავდამსხმელმა რევაზ ჩომახიძემ — სიდნეის (2000 წ.) და ათენის (2004 წ.) ოლიმპიადების ვერცხლისა და ბრინჯაოს, 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის „ბრინჯაოს“ პრიზიორმა, 2002 წლის მსოფლიო ლიგის გამარჯვებულმა და 2002 წლის მსოფლიო თასის მფლობელმა — უარი თქვა რუსეთის ეროვნულ გუნდში თამაშზე, რის მიზეზად, რუსული პრესის თანახმად, გადაღლა და უამრავი ტრავმა დაასახელა.** ქართველმა წყალბურთელმა მონაწილეობა არ მიიღო ამ დღეებში ათენში გამართულ ოთხი ნაკრების ტურნირში Samartzictis cup. აქ რუსეთის ნაკრებმა ყველა შეხვედრა წააგო და ნული ქულით ბოლო ადგილზე გამოვიდა. ნაკრების ასეთი ფიასკოს მიზეზად პირველ რიგში გუნდში ჩომახიძის არყოფნა დაასახელეს.

ქართველი წყალბურთელის ასეთი გადაწყვეტილება დიდ დარტყმად მიიჩნიეს მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც მელბურნში 17 მარტიდან 1 აპრილამდე უნდა გაიმართოს.

როგორც რუსეთის წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ევგენი შარონოვი აცხადებს, რევაზის ტრავმები არ არის გამამართლებელი მიზეზი ნაკრებში გამოუცხადებლობისთვის, წყალბურთელები უარესი ტრავმებით გამოცხადებულან, რადგან ეროვნულ გუნდში თამაში უდიდესი პატივია და თუ ჩომახიძე გადაიფიქრებს, მასაც უდიდეს პატივს მიაგებენ.

* * *



**აქვე გაუწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებმა, ტრადიციისამებრ, ბრწყინვალედ იასპარეზა ქალაქ მარიუპოლში გამართულ უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე ტურში, სადაც სამივე შეხვედრა მოიგო (სხვათა შორის, მსაჯთა „ხუშტურების“ მიუხედავად).**

**სამწუხაროა, რომ ასეთი წარმატებაც კი სათუოს ხდის სოსო მაისურაძისა და ირაკლი კიკალიშვილის შეგირდთა გამგზავრებას აღნიშნული ტურნირის მესამე რაუნდში. მიზეზი ბანალურია — უსახსრობა. იქნებ ვინმემ იკისროს „ჯვაროსანთა“ დაფინანსება — საქართველოში ხომ ათეულობით მილიარდერ-მილიონერი გვყოლია!**

**⊙ ჭადრაკი**

# მორელიადან — ლინარესამდე

**შორეული მექსიკის ქალაქ მორელიაში დასრულდა მე-20 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირის პირველი წრე, ახლა მოჭადრაკეები ევროპაში, კერძოდ, ესპანურ ლინარესში გადაინაცვლებენ.**

ერთობ სენსაციური გამოდგა მე-5 ტური. ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 16 წლის ნორვეგიელმა მაგნუს კარლსენმა დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, მექსიკაში „ბედი არ სწყალობდა“. ნორვეგიელმა ამ გამარჯვებით ლიდერობა მოიპოვა.



მართალია, დაფაზე საყაიმო მდგომარეობა იყო, მაგრამ ბულგარელმა დიდოსტატმა მძიმე თავდაცვის გაგრძელება აღარ ისურვა, თუმცა დრო საკმარისი ჰქონდა და დანებდა. მეექვსე ტურში კი იგი ყაიმზე ლეკოს მოურიგდა.

სომეხმა მოჭადრაკემ ლევონ არონიანმა ლამაზად ითამაშა აქამდე ტურნირის ლიდერთან ვიში ანანდთან და გამარჯვებასაც მიაღწია. მეექვსე ტურის დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა მექსიკური ბოლო, მე-7 ტური. ტურნირის მთელ პირველ ნაწილში პირველად სამ პარტიაში აღინიშნა გამარჯვება.

პირველ გამარჯვებას მიაღწია ვესელინ ტოპალოვმა. მან მძიმე ბრძოლაში, 48-ე სვლაზე დაამარცხა რუსეთელი მოროზევიჩი.

მართალია, ვიში ანანდმა თავდაპირველად უგერგილოდ გაითამაშა დებიუტი პეტერ ლეკოსთან, მე-20 სვლაზე თითქოს დამარცხება გარდაუვალი იყო, მას სასწაული თუ გადაარჩენდა, მაგრამ ცაიტნოტს მიახლოვებულმა უნგრელმა დიდოსტატმა ვერ შეძლო სათანადო სვლების მოძებნა. ინდოელმა კი მოახერხა ფიგურების ისე გადაადგილება, რომ 41-ე სვლაზე გამარჯვებასაც მიაღწია.

თუმცა უკრაინელ ივანჩუკს თავიდან ძალზე მცირე უპირატესობა ჰქონდა არონიანთან, მაგრამ 49-ე სვლაზე მაინც შეძლო სრულუფლებიანი ქულის მოპოვება.

ყაიმზე მხოლოდ კარლსენი და სვიდლერი 27-ე სვლაზე შეთანხმდნენ:

7 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერობენ ანანდი და კარლსენი. 4 ქულა აქვს ივანჩუკს, 3,5 ქულა — არონიანს და სვიდლერს, 3 ქულა — ლეკოსა და ტოპალოვს, ხოლო 2 ქულა — მოროზევიჩს.

მცირე შესვენების შემდეგ ტურნირის მეორე წრე 2 მარტს ესპანეთის ლინარესში განახლდება.

● ვინ უნდა მიხედოს ამ ქვეყანას, თუ არა ჩვენ? ვინ უნდა დაიცვას იგი? ვინ უნდა ააშენოს და დაამშვენოს? ცხადია, ჩვენ!



№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

◎ ფილმის პრემიერის შემდეგ

# გრძნობა მამულის მოვლისა

**გეხსომებათ: ამ რამდენიმე წლის წინათ, ტელევიზიით უჩვენეს ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი „დაგვიანებული კადიში“ (ებრაელთა სულის მოსახსენიებელი ლოცვაძ, რომელშიც, ბევრ საგულისხმო პასაჟთან ერთად, ასეთი კადრიც იყო — საქართველოში ვიზიტად მყოფი ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი პატივს მიაგებს თბილისში დაკრძალული ბებიის საფლავს.** საერთოდ, ფილმი ებრაელთა დაკარგულ საფლავებზე მოგვითხრობდა და მაყურებელს ჩააგონებდა — ერი, რომელიც არ ივიწყებს თავისი წინაპრების საფლავებს, შეუძლებელია პატივს არ სცემდეს სხვათა საფლავებს. სურათის ავტორების — ცნობილი მწერლისა და დრამატურგის **გურამ ბათიაშვილის** და ცნობილი კინორეჟისორის **მერაბ კოკოჩაშვილის** თანამშრომლობა ამ ფილმით არ დასრულებულა, თითქოს „დაგვიანებული კადიშის“ გაგრძელებასავით გამოვიდა მათი ახალი დოკუმენტური ფილმი **„იმ ეშქახეხ, იერუშალაიმ“ („თუ დაგივიწყო, იერუსალიმ“ძ,** რომელიც სულ ახლახან უჩვენეს „ტელეიმედში“ და რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად, უპირველესად, სწორედ ისრაელში.

იმ დღეს ჩემი ძველი მეგობრები რედაქციაში მესტუმრნენ და ახალი ფილმის შესახებ ბევრი საინტერესო რამ მიამბეს, რომელთაგან ზოგს, ქვემოთ ვთავაზობ ჩვენს მკითხველს:

**გურამ ბათიაშვილი:**

— „თუ დაგივიწყო, იერუსალიმ, გახმეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას“ — ეს ფრაზა უხსოვარი საუკუნეებიდან ასაზრდოებდა ებრაელ ერს და, აკი, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, მან საქმით აღასრულა ყოველივე — დაიძრა დედასამშობლოსკენ — ისრაელისკენ. მე მხედველობაში მყავანან „საბჭოთა ებრაელები“, უპირველესად კი ქართველი ებრაელები, რომელთა, შეიძლება ითქვას, თავგანწირულმა ცდამ, შედეგი გამოიღო, გზა გახსნა სამშობლოსაკენ.

**— მაინც, რა ჩაიდინეს ასეთი?**

— ვაჟკაცური საქციელი... 1969 წლის აგვისტოში თვრამეტმა ქართველმა ებრაელმა არალეგალურად წერილი გაგზავნა გაეროში და მოითხოვა ისრაელში რეპატრიაცია. ეს ის დროა, როდესაც გრომიკომ გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა, არც ერთ ებრაელს არ სურს საბჭოთა კავშირის დატოვებაო. და აი, მოხდა საოცრება — ისრაელის წარმომადგენელმა სწორედ ტრიბუნაზე, ცხვირწინ დაუდო გრომიკოს თვრამეტი ქართველი ებრაელის წერილი. რასაკვირველია, მთელ მსოფლიოში გახმაურდა ეს ამბავი (მხოლოდ ჩვენ „ვიჯექით ჭურში“ძ, ამის შემდეგ მოსკოვში, გორკის ქუჩაზე, ცენტრალურ ტელეგრაფში გაიმართა ქართველ ებრაელთა აქციები...

ეს იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომლის სათავეებთან, როგორც აღვნიშნე, ქართველი ებრაელები იდგნენ. ისინი მიისწრაფოდნენ დედასამშობლოს მოსავლელად! სამშობლოს მოვლა კი დიდი ნიჭია, დიდი ვალიცაა, ხომ ამბობს გალაკტიონი: „ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია!“

ებრაელები ამ გრძნობით მიიჩქაროდნენ ისრაელისკენ და გახდნენ კიდეც მისი ბატონ-პატრონნი.



**მერაბ კოკოჩაშვილი:**

— გურამის იდეა მომეწონა. მით უმეტეს, ახლანდელ სიტუაციაში, როდესაც საქართველოდან წასულია და კვლავაც მიდის უამრავი ახალგაზრდა ქართველი. სამშობლოს მოვლისა და პატრონობის იდეა აუცილებელი გახდა ჩვენთვის. ვინ უნდა მიხედოს ამ ქვეყანას, თუ არა ჩვენ? ვინ უნდა დაიცვას იგი? ვინ უნდა ააშენოს და დაამშვენოს? ცხადია, ჩვენ! რა დამავიწყებს: ისრაელში ყოფნისას ბატონმა არიელ შარონმა გვითხრა, მეწვიეთ მამულში და იქ გადავილოთ ზოგი რამეო. მივდივართ უდაბნოში, მივდივართ და უცებ გამოჩნდა ოაზისი — მწვანეში ჩაფლული შარონის მამული — მისი მარჯვენით მოვლილი და დამშვენებული, თანაც, საგანგებოდ, პალესტინის ავტონომიის სიახლოვეს.

ეს გრძნობა უნდა გვასაზრდოებდეს განსაკუთრებით დღეს, რადგან საქართველოს არცთუ კარგი ხანა უდგას.

**— ფილმი, ცხადია, ძირითადად, ისრაელში გადაიღეთ, არა?**

— დიახ... „გზამკვლევთა“ თაობიდან ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათ დარჩათ შვილები, შვილიშვილები... სწორედ ისინი უვლიან ისრაელს და დიდი მადლიერებით იგონებენ წინაპრებს.

**გურამ ბათიაშვილი:**

— ორიოდ კვირის წინათ მე და მერაბი ისრაელში ვიყავით მიწვეული. ჯერ იერუსალიმში გაიმართა ჩვენი ფილმის პრემიერა, შემდეგ კი ხულონში და თელ-ავივში, უზარმაზარი იყო ემოცია, რომელსაც ფილმის თითოეული ეპიზოდი იწვევდა. შეხვედრები ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა.

ფილმის წარმატებაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი უკვე შეისყიდეს ისრაელის ტელეარხებმა და მალე უჩვენებენ კიდეც... ყველა გვილოცავდა და განსაკუთრებით გახარებული იყო ბატონი ეფრაიმ გური — ამ პროექტის ხელმძღვანელი და ბევრი კარგი საქმის სულისჩამდგმელი.

**— მეც გილოცავთ, მეგობრებო... კვლავ წარმატებებს გისურვებთ!**

**მერაბ კოკოჩაშვილი:**

— მინდა თანადგომისთვის მადლობა ვუთხრა იერუსალიმისა და ხულონის მერიას, საქართველოს საელჩოს ისრაელში, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს — ბატონებს ლაშა ჟვანიას, მიხ. მირელაშვილს, შალომ დავიდს და სხვ.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათებზე: კადრი ფილმიდან; ფილმის პრემიერის შემდეგ ხულონში: მარცხნიდან — ბიბლიის (ძველი აღთქმისძ ქართულად მთარგმნელი შალომ დავიდი, ქალაქ ხულონის მოცეკვავეთა ანსამბლის ხელმძღვანელი გურამ მიხელაშვილი, კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, დრამატურგი გურამ ბათიაშვილი, მომღერალი ავთანდილ ქოსაშვილი.**

◎ განახლებული დადგმა

# მართლაც უკვდავი

**ოთხწლიანი პაუზის შემდეგ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე კვლავ გაცოცხლდა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. ოთხი წელი თითქოს არცთუ ისე დიდი დროა, მაგრამ ვინც განახლებულ პირველ წარმოდგენებს დაესწრო, დამეთანხმება, რომ იგი ყველას მოგვენატრებია და ის, რაც ჩვეულებრივი გვეჩვენებოდა, თურმე ძალიან ღირებული ყოფილა. ოპერის კომედიური სიუჟეტი მუსიკალური ელვარებით, თეატრალური სისხარტით ახლაც ძლიერ ხიბლავს მსმენელს. პოპულარობა მას 88 წლის წინათ, პირველი აჟღერებიდანვე დაეკვება.**

„ქეთო და კოტეს“ რეპერტუარიდან გაქრობის მიზეზი თეატრში მიმდინარე გარდაქმნები იყო და აი, ამჯერად დირექციამ გადაწყვიტა მისი განახლება 1991 წლის დადგმით, რომლის რეჟისორი იყო გიგა ლორთქიფანიძე, დირიჟორი რევაზ ტაკიძე, მხატვარი თეიმურაზ მურვანიძე, კოსტიუმების მხატვარი ივანე ასკურავა, ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი. სხვათა შორის, ამ სადადგმო ჯგუფის წევრებს „ქეთო და კოტეს“ მაღალმხატვრული გააზრებისათვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

*— ამ ნაწარმოების ყოველი ახალი მოსმენის შემდეგ რწმუნდები, თუ რა თვითნაბადი ტალანტი და გენიალური კომპოზიტორია ვიქტორ დოლიძე, ღრმად ეროვნული, თბილისური, ფანტასტიკური მუსიკა, ამასთან, ყველასათვის გასაგები. გასულ წლებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში არ იყო სცენა, სადაც ეს ოპერა არ იდგმებოდა, იგი ჟღერდა პოლონეთშიც, ჩეხეთშიც, უნგრეთშიც, ბულგარეთშიც. როცა იგი დავდგით, 1991 წელს, არეული ქვეყანა გვქონდა, სამოქალაქო ომამდე მისული და წარმოიდგინეთ, სპექტაკლი სულ ანშლაგით გადიოდა. დღეს მასში მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შევიტანეთ. არ შემიძლია არ გამოვყო მომღერალ თამარ გურგენიძის ღვაწლი, რომელმაც რეჟისორის ასისტენტობა კარგად მოირგო. თავის დროზე იგი არაჩვეულებრივი იუმორით ძერწავდა ბარბალეს პარტიას, ახლა ამ როლში მსმენელთა წინაშე პირველად წარსდგება ნატალია ვოლჩენკო. ქეთოს როლს ასევე დებიუტანტი ჰყავს ნინო ჩაჩუას სახით,* — გვითხრა სპექტაკლის წინ **გიგა ლორთქიფანიძემ.**



**რევაზ ტაკიძე, დამდგმელი დირიჟორი:** *ეს მართლაც უკვდავი ნაწარმოები ძალიან მოკლე დროში აღვადგინეთ, ამისთვის მადლობა ეკუთვნის მის ყველა მონაწილეს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ორკესტრისა და გუნდის როლი და მონდომება. განახლებული და გაზრდილი ორკესტრისთვის ხომ ეს ფაქტობრივად ახალი ნაწარმოები იყო. ეს ოპერა როსინის ნებისმიერ ოპერას უტოლდება და იგი უნდა ვაჩვენოთ უცხოეთში. მახსოვს, 2003 წელს „ქეთო და კოტე“ ისრაელში, ფესტივალზე წარვადგინეთ ტიტრებით და წარმოიდგინეთ, იქაურ მსმენელებს ზუსტად ისეთი რეაქცია ჰქონდათ, როგორც ჩვენში.*

განახლებული თბილისური დადგმის მონაწილეებმა ყველაფერი იღონეს, რომ სპექტაკლი ისეთივე ტემპერამენტიანი და სისხლსავსე გამოსულიყო, როგორც ამ ქმნილებას შეეფერებოდა, ეფექტიან მუსიკალურ სახეებსა და მელოდიებში ქალაქური ფოლკლორისა და კომიკური ჟანრისთვის დამახასიათებელი ნიუანსებს უხვად მიმართეს ლიანა კალმახელიძემ და ნინო ჩაჩუამ, გია მახარაძემ, ბესიკ გაბიტაშვილმა და სულხან გველესიანმა, ომარ ხოფერიამ და ტარიელ ჭიჭინაძემ, ეკა გაბიტაშვილმა და ირინე ალექსიძემ, ვანო გალუაშვილმა და გივი ფეიქრიშვილმა, თამაზ საგინაძემ და ნუგზარ გელაშვილმა, ნატალია



ვოლჩენკომ და ლეილა გოცირიძემ, მზია დავითაშვილმა და ვარდო ცერცვაძემ...

სპექტაკლი, ალბათ, კიდევ უფრო მოიკრეფს ძალას და გმირთა ხასიათებიც კიდევ უფრო დაიხვეწება როგორც ვოკალური, ისე არტისტული თვალსაზრისით. მსმენელი მადლიერი დარჩა სპონსორებისა, რომელთაც იზრუნეს მათი ხალისიანი განწყობისათვის. სარეკლამო სააგენტო „სარკემ“ კი მათ ლამაზად გაფორმებული პროგრამები დაახვედრა. მაყურებელმა არც ტაში დაიშურა მონაწილეთათვის და დარბაზი ერთხელ კიდევ იმ რწმენით დატოვა, რომ „ქეთო და კოტე“ მართლაც ის უკვდავი ქმნილებაა, რომელიც მუდმივად უნდა ცოცხლობდეს სცენაზე.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

● დღემდე იმის თაობაზე ვკამათობთ, ნარკომანია დაავადებაა თუ დანაშაული. ამასობაში კი, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ხელიდან გვეცლება



⊙ განგაში!

# 240 000 ნარკომანი ისედაც გაუბედურებულ საქართველოში?!

**დიახ, 240 000! – ეს ციფრი ეცოტავებათ კიდეც საქმეში ჩახედულ სპეციალისტებს. ალბათ, სამართლიანადაც. 240 000 ნარკომანის დათვლა-აღრიცხვა მოხერხდა, მაგრამ... რაც ვერ მოხერხდა?! ზოგიერთი ექსპერტი მთლად გულს გვიხეთქავს და ნახევარ მილიონსაც ასახელებს ოთხმილიონიან ქვეყანაში.**

...ამას წინათ რედაქციიდან ქალაქის ჩვეულებრივი ტელეფონით გლდანის მასივში, ერთ სოლიდურ დაწესებულებაში ვრეკავდი. ბევრი ვეწვალე, მაგრამ ძველი ქსელების აბონენტს ვერ დავუკავშირდი. ბოლო ცდაზე უცნობი ბიჭების საუბარში ჩავერთე და... ჩემი „დასახშობი“ ყურებით აი, რა მოვისმინე:



*– გეგა, შენა ხარ „ბრატ“, მგონი ვიღაც ჩაგვერთო... ფეხებზე მკიდია, ამო წამალი გავჩითე.*

*– საიდან, ტო, გიჟად ვიყავი, რომელი იშოვე?..*

*– მაგრა ვიჩალიჩე, სახლში გადამალული ოქროს ბეჭედი ვიპოვე, მგონი ბებიაჩემის ნაქონია, ნაღდი ბაჯაღლო იყო. დედაჩემს მაგრა „გაუტყდება“, მარა, გავაჩუმებ. კაი ფასი მომცეს, თეთრი ვიყიდე...*

*– აუ, ჯიგარი ხარ. ფული სულ არ დახარჯო, ხვალაც დაგვჭირდება.*

*– ბებიაშენისამ, ხვალ შენ გაყიდე რამე...*

*– ხო იცი, „ბრატ“, მე აღარაფერი დამრჩა, ჩემი დედა... თანაც იმდენი ვალი მაქვს...*

*– მაშინ ღმერთს უმღერე „თუ გამაჩინე, კიდეც მარჩინე, ამ უფულობას გადამარჩინე“...*

*– შენ რა, ამღერდი? უკვე კაიფში ხარ? შე ახვარო, მოვრბივარ, ჩემი დოზა შემინახე...*

ნაცნობი დიალოგია, არა, მკითხველო! თქვენ, ალბათ, უარესებიც მოგისმენიათ.

ნარკომანიით, პროსტიტუციით, ძარცვა-გლეჯით, ჰომოსექსუალებით და იაფიან-ძვირიანი მეძავებით გადავსებული რესტორნების, ღამის კლუბების, საუნების, კაზინოების პატრონი ქვეყნის შვილებს, ამ ხასხასა დემოკრატიის პირობებში, რა უნდა გვიკვირდეს.

დღემდე იმის თაობაზე ვკამათობთ, ნარკომანია დაავადებაა თუ დანაშაული.

ამასობაში კი, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ხელიდან გვეცლება.

ნარკომანია, ძირითადად, უმძიმესი დანაშაულის – ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგია.



რა ეშველება „შეშლილ“ კაცობრიობას, როცა იარაღით ვაჭრობის შემდეგ, ნარკობიზნესი, ნარკომაფია, ნარკოტიკებით გაცხოველებული აღებ-მიცემობა მსოფლიოში მეორე ადგილზე დგას და მილიონობით ადამიანი ჩვენი შვილების, ძმების, დების, ძირითადად სულსწრაფი და „მდუღარე“ ახალგაზრდობის სიცოცხლის ხარჯზე მდიდრდება!

ისე, რომელი უფრო ბინძურია, იარაღის ვაჭრობით ნაშოვნი ფული თუ ნარკობიზნესით? – რა თქმა უნდა, ერთიერთმანეთზე უარესია, მაგრამ...

ნარკომანი უშუალოდ ამ ბინძური ვაჭრობის პირდაპირი მსხვერპლია.

საქართველოშიც დაუნდობლად ებრძვიან წვრილ თუ მსხვილ ნარკობარონებს, მაგრამ ნარკომანთა რიცხვი მაინც ყოველწლიურად იზრდება.

მაშასადამე, მოჩვენებით ებრძვიან, დიდი ფულის ხათრით ყველას გვატყუებენ, თვალებში ნაცარს გვაყრიან.

ისედაც ინერტულმა, გაუბედურებულმა საზოგადოებამ კი რა ქნას, როგორ იაქტიუროს?

არადა, მსოფლიოს მომაკვდავი ქვეყნების რიგში მტკიცედ დამკვიდრებულ საქართველოს 240 000-ზე მეტი (თუ ნახევარი მილიონი არა!ძ ნარკომანი რომ ეყოლება, რისი იმედი უნდა გვქონდეს?

იქნებ, რაიმე, გონივრული გვირჩიო, მკითხველო!

**სპარტაკ ქოზულია**

## გახსენება

# გიორგი ვაჩეიშვილი



დღეს ორმოცი დღე სრულდება, რაც ჩვენთან აღარა ხარ, ჩვენო მარად დაუვიწყარო, საყვარელო გიორგი, 25 თებერვალს 15 წლისა უნდა გამხდარიყავი, მაგრამ ოხერმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. ხან იმასაც კი ვფიქრობთ, სიკვდილმა იქნებ მართლაც იმიტომ წაგიყვანა თავისთან, რომ მუდამ კარგებს არჩევს და კარგებს ეტანება.

ცხენისწყალი, სადაც შენ ცურვა გიყვარდა და რომლის ნაპირებზეც შენს თეთრ ცხენს აძოვებდი ხოლმე, თითქოს ჩვენი ცრემლების მდინარედ იქცა. ჩვენთან ერთად, შენს დედ-მამასთან ერთად, შენს ბებიებთან და ბაბუებთან ერთად, შენს ძამიკოსთან და ნათესაობასთან ერთად დამწუხრებულია მთელი სოფელი მარანი.

სანამ საშინელი და უკურნებელი სენი გამოგიტყვრებოდა, ავადმყოფობა რა იყო, არ იცოდი. ყველასთვის სასურველი და საყვარელი იყავი. პატარაობიდანვე ისე შეიყვარე ფეხბურთი და უკვე ისე თამაშობდი, რომ არავის ეჭვი არ ეპარებოდა შენს მომავალ კარგ ფეხბურთელობაში.

აწ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი უმანკო სულისათვის, რომლის პატრონიც ამიერიდან, გვწამს, თავად უფალი იქნება. შენ კი უდროო სიკვდილისგან დაკოდილ ჩვენს გულებში იცოცხლებ და მარტო საფლავს არ დავანებებთ შენს თავს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მარად 15 წლისად დარჩენილო, ამქვეყნად გაუხარელო, შვილო გიორგი.

**შენი დამწუხრებული ახლობლები**



მეუღლე ზამირა გაგლოევა, შვილები ალიონა, ოლეგი, ანა, სიძე იგორ ბლაგიძე, შვილიშვილი დიმიტრი ბლაგიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იური ფეოდორის ძე ტებლოევი.

პანაშვიდი 1, 2 III, 16 სთ. დაკრძალვა 3 III, 14 სთ. მის. დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-2 კორპუსი, IX სართული.

შპს გამომცემლობა „სამშობლოს“ კოლექტივი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამომცემლობის მთავარი ენერგეტიკოსის, ღვაწლმოსილი მუშაკის

იური ტებლოევის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ეთერ ქემერტელიძე ღრმა მწუხარებით იუწყება ახლო ნათესავის, ღვაწლმოსილი პიროვნების

კარლო ქობალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1,2, III, 16 სთ. მისამართი: იყალთოს მთა 1 (ბახტრიონზეძ, გამოსვენება 3 III, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე რუსუდან ხოჯავა, შვილი დათო, რძალი თინათინი, შვილიშვილები გიორგი, ელენე, ლიზი, დისწულები ნათია, ფრიდონი, დათო, ცოლისძმა გიორგი, ბიძაშვილები და მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან.

ოთარ ზასოხაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 III 16 სთ. გამოსვენება 3 III, 14 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 62 VI სადარბაზო.

გაზეთ „თბილისის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კოლეგა, ამაგდარი ჟურნალისტი

ზინა ივანეს ასული დიაკონიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ჭირისუფლებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები იუწყებიან, კოლეგისა და მეგობრის

ზინა დიაკონიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერანი კალათბურთელები იუწყებიან საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის, სპორტის ოსტატის

ვენერა მჭედლიძის

გარდაცვალებას.

შვილები ლია, ნანა მირცხულავები, შვილიშვილი ქეთა ბილანიშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

ნინო აკაკის ასული სირაძე

დაკრძალვა 1 მარტს 15 სთ.

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ორი დღის წინათ შემისრულდა საპენსიო ასაკი, ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში. შეიძლება დავინიშნო პენსია? თუ შეიძლება, ისიც მირჩიეთ, ვის მივმართო?**

**მარიამ იაკობაშვილი**

**პასუხი:** თქვენ სრული უფლება გაქვთ, მიიღოთ პენსია და იმუშაოთ კიდეც. პენსიის დანიშვნის თაობაზე, გირჩევთ განცხადებითა და საბუთებით მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**კითხვა: ვარ 72 წლის, მაქვს 36 წლის შრომის სტაჟი, როდესაც სოცდაზღვევაში წარვადგინე საბუთები, როგორც თბილისელმა პენსიონერმა, პენსიაზე სტაჟის გამო, დანამატის დასარიცხად, აღმოაჩინეს, რომ ადრე, 2004 წ-ში, მიმუშავია 10 თვე შრომითი ხელშეკრულებით, რაც პენსიის დამნიშნავი განყოფილებისთვის არ მიცნობებია და არასწორად მიმიღია საპენსიო თანხები. ამჟამად ამ თანხებს მიკავებენ მთლიანად, ერთბაშად, რამდენად სწორია სოცდაზღვევის ფონდის განყოფილების ასეთი მოქმედება?**



**გედევან ციხისელი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც საპენსიო თანხის არასწორად გაცემა გამოწვეულია პენსიონერის მიერ ჩადენილი არასწორი ქმედებით, იგი უნდა აღდგეს სახელმწიფო ბიუჯეტში, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, პენსიის გაცემის შეწყვეტას და თანხების ერთბაშად დაბრუნებას კანონი არ ითვალისწინებს.

ზედმეტად დარიცხული საპენსიო თანხების დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში შესაძლებელია მხოლოდ სოციალური დაზღვევის ფონდის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან ფონდის გადაწყვეტილებით არა უმეტეს პენსიის 20 პროცენტისა, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით არა უმეტეს პენსიის 50 პროცენტისა.

ასე რომ, თქვენ პენსიას სრული ოდენობით განყოფილებაში უკანონოდ გიკავებენ, რაც შეგიძლიათ გაასაჩივროთ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში (ვფიქრობთ, ეს არც დაგჭირდებათ, თუ ჩვენს მიერ მოცემული ზემოაღნიშნული პასუხით მიმართავთ სოცდაზღვევის ფონდის განყოფილებას, თქვენი კანონიერი უფლების დაცვის საკითხზე: – ყოველთვიურად დაგიკავებენ დანიშნული პენსიის – 48 ლარის მხოლოდ 20 პროცენტსძ.

* * *

**კითხვა: ვარ 90 წლის, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი, მწოლიარე ავადმყოფი. ძალა რომ მქონდეს, აუცილებლად მივიღებდი მონაწილეობას აქციებში, რომელიც შეღავათებთან დაკავშირებით, ჩვენი უფლებების დასაცავად მოაწყვეს ომის ვეტერანებმა, მაგრამ, ვაი რომ, დავბერდი და მუხლი აღარ მიჭრის. აქციაზე კი არა, ქუჩაში კვირაში ერთხელაც არ შემიძლია გასვლა. მოგვერია ეს მთავრობა დავრდომილ, ბრძოლაგამოვლილ მოხუცებს. წლების განმავლობაში არავითარ გადასახადებს არ ვიხდიდით, ახლა მათ სინდისზე იყოს ჩვენთვის შეღავათების გაუქმება, ჩვენ ხომ ისედაც ძალიან ცოტა დავრჩით და ნუთუ ასე გავაღარიბებთ თუ დაგვაფასებენ? იქნებ ის მითხრათ, პირადად მე, I ჯგუფის ინვალიდს, რა ოდენობის თანხა მომეცემა კომუნალური გადასახადის სანაცვლოდ?**

**ნიკოლოზ მატკავა**

**პასუხი:** ბატონო ნიკოლოზ, კარგად გვესმის თქვენი გულისტკივილი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოქმედი კანონის განმარტება და თქვენამდე სწორად მოტანა შეგვიძლია. პირადად თქვენ შეღავათების ნაცვლად კომპენსაცია თვეში 44 ლარის ოდენობით გეკუთვნით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

№ 38. ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 2007 წელი.

● ლადო ჭიპაშვილი: — ჯანდაცვის სამინისტროს სახელით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში შემოსული ყველა ვაქცინა უმაღლესი ხარისხისაა



◉ ჯანმრთელობა

# დაიწყო ბავშვთა იმუნიზაციის პროგრამა

**„დროული აცრა თქვენი ბავშვის ჯანმრთელობის მცველია!“ — ამ დევიზით გუშინ საქართველოში იმუნიზაციის აუცილებლობის შესახებ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია დაიწყო.**

კამპანიის პრეზენტაცია ჯანდაცვის სამინისტროში გაიმართა, რომელსაც საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, პარლამენტის ჯანმრთელო-



ბის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ჯოვანა ბარბერისი, კერძო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სანდრა რულოვსის განცხადებით, ბავშვთა იმუნიზაციის პროგრამის ძირითადი დამფინანსებელი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდია, თუმცა საშიშ ინფექციურ დაავადებათა აღმოფხვრაში მათ მრავალი დონორი ორგანიზაცია და კერძო სექტორი ეხმარება.

— ბოლო 10 წლის განმავლობაში ბავშვთა იმუნიზაციის რიცხვმა იმატა, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ მრავლად არიან დედები, რომლებიც, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, თავს არიდებენ აცრების ჩატარებას, — განაცხადა სანდრა რულოვსმა.

ლადო ჭიპაშვილის თქმით, ყველა დედას შეუძლია დარწმუნებული იყოს ვაქცინის ხარისხში.

— ჯანდაცვის სამინისტროს სახელით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში შემოსული ყველა ვაქცინა უმაღლესი ხარისხისაა, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც გუშინ დაიწყო, წლის ბოლომდე გაგრძელდება.

კამპანიის მიზანია საქართველოში მცხოვრები 1 წლამდე ასაკის ბავშვთა დროული იმუნიზაციით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

ინტერპრესნიუსი

◉ ინფორმაცია

## რა ზრდის საჰაერო ტარიფებს?

**დღეისათვის საქართველოს ავიაბაზარზე 4 ეროვნული და 14 უცხოური ავიაგადამზიდავი ფუნქციონირებს. საქართველო თავისი მცირე ტერიტორიის გამო მნიშვნელოვან შიდასახელმწიფოებრივ საავიაციო გადაზიდვებს არ ახორციელებს. ადგილობრივი რეგულარული რეისები სეზონურად სრულდება მხოლოდ თბილისი-ბათუმისა და თბილისი-მესტიის მიმართულებით.**

როგორც ექსპერტმა სამოქალაქო ავიაციის საკითხებში გიორგი ჩარხიანმა აღნიშნა, დღემდე საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება საქართველოს გაფორმებული აქვს დაახლოებით 25 სახელმწიფოსთან.

**„წლების განმავლობაში საქართველოდან და საქართველოსკენ ევროპის მიმართულებით რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ხორციელდებოდა არარეალურად მაღალ ფასებში, რამაც გამოიწვია საქართველოს საავიაციო ბაზრის მიმზიდველობის დაკარგვა და მგზავრთნაკადის მკვეთრი შემცირება“,** — განაცხადა ჩარხიანმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ბუნტის დროს დაზარალებული პატიმარი მივიწყეს

**2006 წლის 27 მარტს ციხის ბუნტის დროს დაზარალებული პატიმრის რევაზ მეზურნიშვილის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქმის გამოძიებას ითხოვს.**

როგორც ადვოკატმა ავთანდილ ზარდიაშვილმა განაცხადა, 27 მარტის ღამეს რევაზ მეზურნიშვილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმის თანამშრომლებმა ავტომატის ტყვიებით ფეხები გადაუმტვრიეს.

**— ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმარი ოთხი თვე იწვა. ტრავმატოლოგიური განყოფილებიდან ყველას შეუძლია გამოითხოვოს ავადმყოფობის ისტორია და დარწმუნდებიან, რომ მის მიმართ სპეცრაზმის თანამშრომლებმა სისასტიკე ჩაიდინეს. ამ ფაქტის გამოძიებით პროკურატურა არ ინტერესდება,** —აცხადებს ზარდიაშვილი.

რევაზ მეზურნიშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 დაწესებულებაში 2006 წლის 26 მარტს, ციხის ბუნტამდე ერთი დღით ადრე გადაიყვანეს.

მეზურნიშვილს თელავის რაიონულმა სასამართლომ 2006 წლის 24 მარტს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მას თელავში მდებარე ერთ-ერთი შენობიდან თუჯის რადიატორების ქურდობაში ედებოდა ბრალი.

ინტერპრესნიუსი

◉ უკანონო ჭრა

## ხეებს ანადგურებენ

**გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე ხეტყის უკანონოდ გადაზიდვის ფაქტი გამოავლინეს.**

სამგზავრო ავტობუსით 10 კუბური მეტრი წაბლის ჯიშის დახერხილი მასალა სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ.

გუშინვე გარემოს დაცვის ინსპექციის ოზურგეთის რაიონის სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა სოფელ აკეთში 4 კუბური მეტრი სხვადასხვა ჯიშის მოჭრილი სამასალე მერქანი იპოვეს.

სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი, დაახლოებით, 12 ათას ლარს აღწევს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ლარის კურსი

**28 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3691 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7130 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2660 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9712 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4850 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3961 ლარი. |

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

**დაიჭირა მოხუცმა დაშამ ოქროს თევზი.**

**— რას ინატრებ, დედაბერო? — ეკითხება თევზი.**

**— მინდა, რომ ჩემ ვასკას ყოველ დღე შეეძლოს თავისი ნატვრის ასრულება!**

**— წადი სახლში და მისი ნატვრა დღესვე ასრულდება, — უთხრა თევზმა.**



**მივიდა სახლში დაშა და ხედავს — ვასკას შუა ოთახში დაუდგამს არყის სახდელი ქვაბი.**

* * *

**მივიდა რაბინოვიჩი ხაიმის დუქანში და ნახა მაგიდაზე დაგდებული სამკაპიკიანი.**

**— რად აგდია აქ ეს მონეტა?**

**— მინდა, შევამოწმო, ჩემი ნოქარი პატიოსანია თუ არა.**

**— ესეც შემოწმებაა რა — სამკაპიკიანი. სულ ცოტა, მანეთიანი მაინც უნდა დაგედო.**

**— ესეც შემოწმებაა რა — მანეთიანი! მანეთიანს მეც ავიღებდი.**

* * *

**საწყენია, როდესაც ძალიან ლამაზი ხარ, ყურადღებას კი არავინ გაქცევს, მაგრამ გაცილებით უარესია, როდესაც საშინლად მახინჯს ყველა შენ გიყურებს.**

* * *

**იმისთვის, რომ მოატყუო სავარაუდო მოწინააღმდეგე, უნდა შექმნა რაც შეიძლება ბევრი ყალბი სამიზნე: დაე, მან მთელი ტყვია-წამალი ფუჭად დახარჯოს! უნდა შექმნა ყალბი აეროდრომები, ყალბი სამხედრო ბაზები, ყალბი სარაკეტო დანადგარები. მაგრამ მოწინააღმდეგის დეზინფორმირების ოსტატობის მწვერვალი მაინც ის არის, რომ შექმნა ყალბი სამხედრო სარდლობა ყალბი თავდაცვის მინისტრის მეთაურობით!!!**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14.
ტ: 899 537616; 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.